

ბიზო ვაშაქიძე



**პერსონალური ბორნადო
ფარაონის სულისათვის**

პირამიდის საიდუმლო
საქართველოში გაიხსნა

2003

ავტორი მადლობას უძღვნის ბაჩანა აფაშიას,
ვისი გულისხმიერი შენეებითაც დაისტამბა ეს წიგნი.

Gizo Vashakidze

PERSONAL PYRAMIDE FOR PHARAO'S SOUL

The Mystery of the Pyramides Has Been Disclosed in Georgia

პროფ. არჩილ ხანთაძე
რედაქტორი

დოც. ჯემალ მონღიძე, დოც. ნაზარ ჯიქია
რეცენზენტები

ივანე კიკნაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მონოგრაფიაში განხილულია ეგვიპტელთა სულიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე სტიქიონის – ტორნაფოს ღვთაების რანგში აყვანის და მისი ხელოვნური გამოწვევის ფაქტები – პირამიდის შეშვებით. აღნიშნული ისტორიული მოვლენა დასტურდება როგორც მეტეოროლოგიური მტკიცებულებებით, ასევე პირამიდების ტექსტებში არსებული იეროგლიფების გამოფერით. წარმოდგენილი იეროგლიფების გამოფერა ხორციელდება ძველევგვიპტური – სიმბოლური მეთოდის გამოყენებით, რომელიც უარყოფილია მსოფლიოში უნაპირობო თანამედროვე მეცნიერთა მიერ. ნაშრომში მოცემულია ერთი და იგივე იეროგლიფების, როგორც ძველევგვიპტური, ასევე თანამედროვე მეთოდით მიღებული ურთიერთსაწინააღმდეგო ტექსტების ანალიზი. წარმოდგენილი გამოკვლევა დააინტერესებს, როგორც ვინცო სპეციალისტებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

წიგნში გამოყენებულია ხართან დოლინაჰვილის
და ნანა ტაბატაძის ფოტოები

© გიზო ვაშაკიძე 2003

საავტორო უფლება დაცულია კანონით.

ნახილი I

შესავალი

მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა, ეგვიპტე, უძველესი დროიდან იწვევდა გარე სამყაროს მცხოვრებთა ინტერესს. გარდასულ საუკუნეთა ისტორიკოსები მოიხსენიებდნენ ეგვიპტეს, როგორც ძალზე განვითარებულ ქვეყანას, მას გამოარჩევდნენ სხვა ქვეყნებისგან არა მარტო ნაყოფიერი მიწის, არამედ განსხვავებული წესჩვეულებებისა და ლეთისმსახურების გამო.

პერიატე, დიადორი, სტრაბონი და მრავალი სხვა ისტორიკოსი თუ მოგზაური გაკვირვებულნი იყვნენ ეგვიპტის ქალაქების სიდიადით, მდინარე ნილოსის განსაკუთრებული თვისებებით, პირამიდებისა და სასახლეების ლაბირინთებითა და თვითმყოფადობით.

ქვეყანას ეგვიპტე ნიადაგის შავი ფერის გამო უწოდა. უბრაულ ენაში არის ცნობა, რომლის თანახმადაც ბიბლიური ნარლენის შემდეგ მიზრაემის თაობა დაშორალი მიწის სწორედ ამ ტერიტორიაზე დასახლდა, რის გამოც ამ ქვეყნის მოსახლეობა ბიბლიაში მიზრაემის სახელითაა მოხსენიებული.

შავ და ნაყოფიერ მიწას ეს ქვეყანა მდინარე ნილოსს უნდა უმაღლოდეს. ნილოსი ეკვატორიალური აფრიკის მაღალი მთებიდან იწყება, მთელ ეგვიპტეს გაივლის და ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება. მისი წყალობით შუიქმნა უდაბნოთა შორის მყოფი ეს ოაზისი. ნილოსის წყლით ირწყვებოდა და ნაყოფიერდებოდა მთელი ქვეყანა. იგი იძლეოდა თევზს და სასმელ წყალს ეგვიპტელებისათვის. ამ და სხვა მრავალი სიკეთის გამო, უძველეს დროში მოსახლეობა დასახლდა და დაქვიდრდა ნილოსის გასწვრივ, თავდაპირველად ეგვიპტის მოსახლეობა ცალკეული ნომების (დასახლებული პუნქტების) სახით იყო წარმოდგენილი. მათი დიალექტი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რის გამოც, ცალკეულ ნომებს ერთმანეთის საუბარი არ ესმოდათ. როგორც ისტორიკოსები იუწყებიან, ქრისტეს შობამდე დაახლოებით 3000 წელს მეფე მენესმა გააერთიანა ნილოსის მიდამოში მცხოვრები მოსახლეობა და დააარსა ერთიანი სახელმწიფო —

ეგვიპტე. ამ ეპოქიდან დაიწყო სამოქალაქო და რელიგიური კანონების განმტკიცება, განვითარდა კულტურული ტრადიციები, საფუძველი ჩაეყარა დამწერლობას. ეგვიპტე იქცა ძველი ეპოქის უძლიერეს სახელმწიფოდ. ეგვიპტურმა ცივილიზაციამ დაახლოებით 2500 წელი იარსება. ქრისტეს შობამდე 525 წელს დასუსტებული ქვეყანა გიქსოსებმა დაიპყრეს, შემდეგ მონაცვლეობით ეგვიპტეს განაგებდნენ: ბერძნები, რომაელები და არაბები. ამ პერიოდში ძირძველი მოსახლეობის ნაწილი ტოვებს ეგვიპტეს. სამშობლოში დარჩენილ მკვიდრი მოსახლეობის მკირე ნაწილს დამპყრობელმა არაბებმა „კოპტ“ უწოდეს. ეს სიტყვა არაბულ „კუბტ“-ისგან წარმოდგება და „ეგვიპტელს“ ნიშნავს.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ეგვიპტელებმა ანუ კოპტებმა ქრისტიანობა მიიღეს. კოპტების სასახელოდ უნდა ითქვას ის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მათ შეინარჩუნეს როგორც ქრისტიანობა, ასევე კოპტური ენა, რომელიც ითვლებოდა ძველეგვიპტური ენის მემკვიდრედ. კოპტურმა ენამ საბოლოოდ მაინც ვერ გაუძლო არაბულის შემოტევას და დაახლოებით 600-700 წლის წინ შეწყვიტა არსებობა. მას შემდეგ მხოლოდ ღვთისმსახურები თუ იყვნებდნენ კოპტურ ენას წირვის აღსავლენად.

დღესდღეობით ეგვიპტის სახელმწიფო ენა არაბულია. დედაქალაქი - ქაირო. 5000 წლის წინ კი ქვეყნის დედაქალაქი მემფისი იყო. უძველესი დედაქალაქის მახლობლად მდებარე სამარხის შესახებ არსებული ლეგენდა დღემდეა შემორჩენილი. ლეგენდა გვამცნობს, რომ სამარხებში მიცვალებულთა სიმშვიდეს იცავდა ეგვიპტელთა ღვთაება „სოკარი“, რომელიც იეროგლიფებში წარმოდგენილია ადამიანის ტანითა და შევარდნის თავით. სწორედ ამ ღვთაების სახელი დაერქვა იმ მიდამოს, სადაც დღეს მდებარეობს ქალაქი საკარა. საკარის ცნობილ სამარხთა კომპლექსში დგას პირველი პირამიდა, რომელსაც საფეხურებიანს ეძახიან იმის გამო, რომ მისი კედლები უზარმაზარი კობის საფეხურებს წააგავს. პირამიდა აიგო ფარაონ ჯოსერისათვის (2609-2590 წ.წ. ქრისტეს შობამდე). ამ ეპოქიდან იწყება პირამიდების ისტორია.

პირამიდების დანიშნულება

ხეოფსის პირამიდას „მსოფლიოს შვიდ საოცრებათა“ შორის პირველი ადგილი უკავია. უძველესი ხელნაწერი მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შესახებ ეკუთვნის ფინიკიელ მწერალ ანტიპატრს (II ს. ქრისტეს შობამდე). სია შემდეგნაირად გამოიყურება:

ხეოფსის პირამიდა
სემირამიდას დაკიდებული ბალები
ზეფსის ქანდაკება ოლიმპოში
არტემიდეს ტაძარი
პალეკარნასის მავზოლეუმი
როდოსის კოლოსი
ალექსანდრიის შუქურა

დრომ თავისი გაიტანა, მსოფლიოს 7 საოცრებიდან მხოლოდ და მხოლოდ პირველი შემორჩა. საკითხს პირამიდების დანიშნულების შესახებ მიპყრობილი პქონდა და აქვს მსოფლიო მოაზროვნეთა ყურადღება. ეს ინტერესი განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში გამძაფრდა. უამრავმა ერისშვილმა ჩააკითხა პირამიდებს გამოსაკვლევად. თანამედროვე საშუალებებით: კოსმოსური ხომალდებით, ვერტიკალურებით, ულტრაიისფერი სხივებით აღჭურვილი კაცობრიობა ცდილობს ამოცნოს პირამიდის საიდუმლო, მაგრამ იგი არ ნებდება. უამრავ ენაზე დაიწერა საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ნიგნები, გამოქვეყნდა სტატიები, გამოითქვა მრავალი ვერსია თუ პიპოთეზა. ერთი ცხოვრება ცოტაა, რათა ბოლომდე გაეცნო იმ მასალას, რაც ამ მიმართულებით შეუძნა ადამიანის გონებამ. მოვიყვან ერთ-ერთ ასეთ ვერსიას, რომელიც გამოთქვა მეცნიერთა ერთმა ნაწილმა. მათი აზრით პირამიდა ნარმოადგენდა ობსერვატორიას, ხოლო მისი კედლების დაბრის კუთხე ასტრონომიული მიზნებისთვის ყოფილა შერჩეული და იგი სპეციალურად ყოფილა მიმართული პოლარული ვარსკვლავისაკენ.

მეცნიერთა სხვა ჯგუფის განცხადებით ეს ვერსია უსაფუძვლო გამოდგა, ვინაიდან ხეოფსის პირამიდის თავზე არსებული სიბრტყე, რომელზეც ობსერვატორია უნდა მდგარიყო, თურმე ადრე არ არსებობდა. ხოლო

პოლარულ ვარსკვლავს პირამიდის მშენებლობის დროს აბსოლუტურად სხვა მდებარეობა აქონდა, ვიდრე დღეს აქვს. ერთი გვთავაზობენ ვერსიებს, მეორენი უარყოფენ მათ. ასეთი შემთხვევები პირამიდის თემის გარშემო მრავლად დაგროვდა.

დროთა განმავლობაში პირამიდების გარშემო შეიქმნა ციფრული მისტიკა. მკვლევართა ერთი ნაწილი თავშეკაცებს იჩენს მისტიკური აზროვნების მიმართ. სხვანი აცხადებდნენ, რომ პირამიდები წარმოადგენდნენ მხოლოდ ფარაონთა სამარხს, ხოლო მათი გრანდიოზულობა და თვითმყოფადი ფორმები ფარაონთა განდიდებასა და მათი ნეშტების კარგად დამალვას ემსახურებოდნენ. ამით, ჩემი აზრით, ისინი გაურბიან რთულ ამოცანაზე პასუხის გაცემას, ვინაიდან ფაქტი ფაქტად რჩება, პირამიდების დანიშნულება დღემდე საიდუმლოებითაა მოცული.

რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება?

შეგახსენებთ, რომ ძველი ეგვიპტელი მეცნიერები იგივე ლეთისმსახურები იყვნენ. ისინი არა მარტო პირადი და ყოფითი პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ ლეთისმსახურებისთვისაც ეჭიდებოდნენ მეცნიერებას. ანუ რელიგია და მეცნიერება ძველ დროში ერთ ადამიანში ერთიანდებოდა. დღეს კი ეს ორი მცნება სრულიად დაშორდა ერთმანეთს. შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ პირამიდის დანიშნულება დღემდე გაუხსნელი დარჩა.

პირამიდის დანიშნულება - ქრისტეს შობიდან 2003 წელი.

თავდაპირველი სრული ფორმის, თეთრი ფერის პირამიდა თავისი პარამეტრების და ფერის შეშვეობით ახდენდა ტემპერატურის არათანაბარ გადანაწილებას მიწაზე, რაც ატმოსფეროში არსებულ თანხვედრ მიზეზებთან ერთად ასრულებდა ტორნადოს წარმოქმნის ხელისშემწყობ-მამროვოცირებელ ფუნქციას. წიგნში განხილულმა თემამ მოიცვა მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ეგვიპტოლოგია, ენათმეცნიერება, მეტეოროლოგია და თეოლოგია.

ერთმა მოვლენამ, ტორნადომ, სხვადასხვა მეცნიერებაში დაგროვილ რამდენიმე ათეულ კითხვას ერთდროულად გასცა პასუხი. ამ ფაქტმა აღნიშნულ მეცნიერებათა შორის შეერა ნრე, რაც ქეშმარიტი მსჯელობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ნაშრომში არის მკვდელობა, პასუხი გაეცეს ძველ ეგვიპტეში მომხდარ რამდენიმე ძირითად მოვლენას. ძირითადის გარშემო მიმდინარე პერიპეტულების შესახებ მხოლოდ მიახლოებით შეიძლება საუბარი. ვინაიდან

ძველ და ახალ ეპოქათა შორის უზარმაზარი ნისლით მოფენილი ათასწლეულებია აღმართული.

კითხვა: რას ეძახდნენ ძველი ეგვიპტელები ტორნადოს?

ლეგენდა გვამცნობს: გარდაცვლილი ფარაონის ნეშოს ასვენებდნენ პირამიდაში. ფარაონის მუმიას ტოვებდა „კა“. ეგვიპტური წარმოდგენით „კა“ არის ადამიანის ორფული, რომელიც ტოვებდა ადამიანს სიკვდილის შემდეგ და რომელსაც თავისუფლად შეეძლო გადასელა მინიერიდან არამინიერ სამყაროში. დატოვებდა რა სამარხ ოთახს, „კა“ მიუმართებოდა პირამიდის წვერისაკენ, სადაც მას ელოდებოდა ფარაონების მამა - მზის ღმერთი „რა“, თავის შხედრით*, საიდანაც გარდაცვლილი ფარაონის „კა“ ანუ სული იწყებდა მოგზაურობას მარადისობაში.


ჩვენი წიგნის მეტეოროლოგიურ ნაწილში არის მტკიცებულებანი იმისა, რომ პირამიდაზე ციდან ეშვებოდა ტორნადო, ხოლო ეგვიპტური ლეგენდები გვამცნობენ, რომ პირამიდის წვერზე ეშვებოდა ღვთაება „რა“ შხედრით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი: იმას, რასაც ჩვენს ეპოქაში ვეძახით ტორნადოს, ძველი ეგვიპტელები 5000 წლის წინ ეძახდნენ „რა“-ს შხედარს. სახელების ეს სხვაობა სრულიად ნორმალური მოვლენაა. მარტოოდენ ჩვენს დროში სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნულ მეტეოროლოგიურ მოვლენას რამდენიმე სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, ესენია: ტორნადო, სმურჩი, ტრომბი, ქარბორბალა... რა გასაკვირია, რომ ძველ ეგვიპტეში აღნიშნულ მოვლენას ჩვენთვის უცხო სახელი, „რა“-ს შხედარი რქმეოდა...

– რა შეიძლება გამხდარიყო ტორნადოსთვის „რა“-ს შხედრის სახელის შერჩევის საფუძველი?

ტორნადოს წარმოშობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ღრუბლიანი ამინდი. ღრუბლების გამო მზის მრგვალი დისკი ცაში აღარ მოჩანს. ამავდროს ღრუბლებში ჩნდება უზარმაზარი, შეიძლება ითქვას, ღვთიური ძალის მქონე მოვლენა, რომლის ზედა ნაწილი მრგვალი დისკის ან ნახევარდისკის ფორმისაა (სურ. 1). ამის შემხედვარე ეგვიპტელებს, შესაძლებელია, შეჰქმნოდათ შთაბეჭდილება, თითქოს მზის დისკი დაეშვა მინისაკენ, შეიმოსა ღრუბლით, ხოლო ღრუბლიდან მინამდე შექმნა ცეცხლოვანი სვეტის ფორმის ხილული არსება, რომელსაც გააჩნია მინიდან ცისკენ შეწოვის, ატაცების უნარი. შესაძლოა, სწორედ ამ ვიზუალური სახისა და აღნიშნულ თვისებათა გამო შეარქვეს ეგვიპტელებმა ტორნადოს „რა“-ს შხედარი.



სურ. 1. ნებრასკა, 24 ივნისი, 1930 წ.
(Oliver, 1931, fig. 6)




სურ. 2. საქარა, ფარან ჯოსერის საფუბრებთან მიწაშია.

მოკვეთი პირამიდების მშენებლობის ქრონოლოგიას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი საფეხურებიანი პირამიდა ფარაონ ჯოსერისათვის იქნა აშენებული. იგი გახლავთ ქვის პირველი მონუმენტური ნაგებობა დედამიწაზე (სურ. 2). ჯოსერის პირამიდის არქიტექტორი იმზოტეპი, ეგვიპტური გადმოცემით იყო ქვით მშენებლობის ფუძემდებელი, ავტორი ძველი სწავლებისა და განათლებისა. იმზოტეპმა თავისი სიბრძნე ადამიანთა მკურნალობაშიც გამოავლინა. ამის გამო პტოლმეების ეპოქაში იგი აიყვანეს მკურნალობის ღვთაების რანგში. იყო რა ფარაონ ჯოსერის მთავარი წინოსანი, იმზოტეპი ხელმძღვანელობდა ფარაონის სამარხის – პირამიდის მშენებლობას.

უჩვეულო საქმეა იმზოტეპის მიერ სამშენებლო მასალის – ხის ბოძების და აგურის, ახალი მასალით – ქვით შეცვლა. ჩვენი ვარაუდით, ასეთი ცვლილება უნდა ყოფილიყო მშენებლობის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგი, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, არავითარი ქვით ნაშენი შენობა იმზოტეპის დრომდე არც ეგვიპტეში და არც მის გარეთ სამყაროში არ გვხვდება.

იბადება კითხვა – ქვით მშენებლობა იყო იმზოტეპის ანონიმური გამოგონება, თუ არსებობდა რაიმე ანალოგი, რის მიხედვითაც იმზოტეპი სამარხის შენობის ასაგებად ცვლის სამშენებლო მასალას – აგურსა და ხის ბოძებს კლდიდან ამოკვეთილი ქვით?

ერთი რამ აშკარაა, ერთი ობიექტის – სამარხის შენობისას, ერთდროულად უარი ითქვა ორ ტრადიციაზე:



სურ. 3. მდარე ხომის ეგვიპტური სამარხი – მასტაბა.

პირველი – შეიცვალა ტრადიციული ეგვიპტური სამარხის – მასტაბის (სურ. 3) ფორმა საფეხურებიანი პირამიდის ფორმით, რომელიც კლდეს მოგვაგონებს.

მეორე – შეიცვალა ტრადიციული სამშენებლო მასალა – აგური და ხის ბოძები ახალი მასალით – კლდიდან ამოკვეთილი ქვით.

როგორც ხედავთ, ორივე ცვლილებისას ფიგურირებს სიტყვა „კლდე“. ამ სიტყვის ხმარება შეიძლება პირამიდების დაბასიათებისას, უნაიდან

ისინი ტოყეებზე „კლდის“ შთაბეჭდილებას და უმეტესობა მათგანი ნაშუ-
ნებია „კლდიდან“ ამოჭრილი ქვით. ჩემის აზრით, ამ გარემოებას შემ-
დეგი ახსნა აქვს: პირამიდა არის ბუნებაში არსებული კლდის ანალოგი
ანუ კლდე არის პირამიდის არქიტექტურული ფორმის წინასახე.
კლდეზე დაკვირვებით დადგინდა ტორნადოს ჩამოყალიბების მასტი-
მულირებელი მიზეზები, რის შემდეგაც აშენდა ხელოვნური კლდე ანუ
პირამიდა.

ფარაონ ჯოსერის შემდეგ ვიდრე ფარაონ სნეფრუმდე აშენდა შვიდი
პირამიდა. ამ პირამიდებიდან უმეტესობა ძლიერაა დაზიანებული. ზოგი-
ერთ მათგანს მინისზედა ერთი ან ორი სადღესური აქვს შემორჩენილი.
სხვები მხოლოდ მინისქვეშა ოთახებითაა წარმოდგენილი.


პირამიდების ფორმის სახეცვლილების ყველაზე უფრო საინტერესო
მაგალითს გვიჩვენებენ ფარაონ სნეფრუს არქიტექტორები, რომლებმაც
სამი სხვადასხვა ფორმის პირამიდა ააშენეს. თავდაპირველად ისინი ამ-
თავრებენ წინამორბედი ფარაონის დაუმთავრებელ პირამიდას, რომე-
ლიც მდებარეობს სოფელ მედუმთან. შემდეგი ორი პირამიდა, რომელიც
სნეფრუსთვის იყო აშენებული, მდებარეობს სოფელ დახშურთან. ერთ-
ერთ მათგანს ეძახიან ვარდისფერ პირამიდას გარემოპირკეთების, ქვის
ფერის გამო. იგი სწორკედლიანი პირამიდაა. მისი კედლების დახრის
კუთხე 30 გრადუსია. სიმაღლე 99 მეტრი. მისგან ორი კილომეტრის და-
შორებით დგას სნეფრუს კიდევ ერთი პირამიდა, რომელსაც ეძახიან
თეთრ პირამიდას, ნიშნად გარემოპირკეთების ქვის თეთრი ფერისა. მას
მეორე სახელიც აქვს: პირამიდა ორმაგი დახრით, ნიშნად ამ პირამიდის
გვერდის დახრის ორმაგი გრადუსისა. პირამიდის გვერდის თავდაპირვე-
ლი დახრა 50°-ია. შუა სიმაღლის მერე დახრა იცვლება და იგი 43° ხდე-
ბა (სურ. 4ა). ეს პირამიდა აღსანიშნავია იმით, რომ მის გარშემო ყრია
უამრავი ქვის ბლოკი, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს ქვები ჩა-
მოყრილია პირამიდის ზედა ნაწილიდან, რის გამოც მეცნიერებს გაუჩი-
ნდათ აზრი იმის თაობაზე, რომ ამ პირამიდის თავდაპირველი ფორმა იყო
სწორი. 1970 წელს ბრიტანელმა ფიზიკოსმა კურტ მენდელსონმა გამოთ-
ქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირამიდის თავდაპირვე-
ლი ფორმა იყო სწორი, ანუ ძირიდან წვერომდე გვერდების დახრის კუთ-
ხე 50° უქონდა.

კურტ მენდელსონმა ეს მოსაზრება მას მერე გამოთქვა, რაც გამოთვა-
ლა, თუ რა რაოდენობის საშენებლო ბლოკები აკლია ამ პირამიდის ზე-

და ნაწილს სწორი პირამიდის მისაღებად. ეს რაოდენობა დაემთხვა პირამიდის გარშემო დაყრილ ბლოკების რაოდენობას, რის გამოც მან დაასკვნა, რომ პირამიდის თავდაპირველი ფორმა იყო სწორი. თუ ეს ასეა, მაშინ რას შეიძლება დაენგროს პირამიდის თითქმის ნახევარი?



სურ. 4ა. დაბნური. ფარაონ სნეფრუს თეთრი პირამიდის დღევანდელი სახე.




სურ. 4ბ. ფარაონ სნეფრუს თეთრი პირამიდის თავდაპირველი სახე. პირამიდის თავზე წარმოგვიჩინოს ტორნადოს მბრუნავი მოძრაობა.

ფარაონ სნეფრუს „თეთრი პირამიდა“ ანუ „პირამიდა ორმაგი დაბნით“ შეიძლება იყოს პირველი პირამიდა, რომელზედაც კოლოსალური ძალით იმოქმედა ტორნადომ და რომელმაც ასე აშკარა კვალი დატოვა პირამიდის წვერზე. ნგრევის ამ ვერსიას შემდეგი გარემოება ამაგრებს. თუ დაუკვირდებით სნეფრუს თეთრი პირამიდის თავდაპირველ და ნგრევის შემდეგ მიღებულ ფორმებს (სურ. 4.ა.ბ.), დაინახავთ, რომ მათ აერთიანებთ ერთი გარემოება – ორივე ფორმა ცენტრალური ღერძის მიმართ სიმეტრიულია. იმისთვის, რომ რაიმე ფიგურაზე ზემოქმედების შემდეგ კვლავ სიმეტრიული ფიგურა მივიღოთ, საჭიროა მასზე განვახორციელოთ მბრუნავი ზემოქმედება. მაგალითისთვის მოვიყვანოთ სახარატო წარხის პრინციპი. სახარატო წარხში დამაგრებული დასამუშავებელი ფიგურა ტრიალებს. საჭრელი დანის მიდებით ფიგურა პატარავდება, ამასთან კვლავ სიმეტრიული რჩება ცენტრალური ღერძის მიმართ. იგივე ეფექტს მივიღებთ, თუ ფიგურა იდგება, ხოლო ბრუნვით მოქმედებას

დანები შეასრულებენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სიმეტრია მიიღწევა მბრუნავი ზემოქმედებით. ვინაიდან ზემოაღნიშნული პირამიდა ნგრევის შედეგად კვლავ სიმეტრიული ფორმის დარჩა, შესაძლოა, ნგრევა განხორციელებულიყო პირამიდის წვერზე დაშვებული მბრუნავი ზემოქმედებით. თუ ჩვენ, სიტყვა მბრუნავს – მოტრიალეს გადავთარგმნით ესპანურ ენაზე, მივიღებთ „ტორნადოს“-ს. ტორნადო ცოდან ეშვება, რის გამოც პირამიდის წვერო თავისუფლად შეიძლება მოხვედრილიყო ტორნადოს სვეტის ცენტრში (სურ. 4 ბ). ასეთი პოზიციიდან ტორნადო პაერის მბრუნავი ზემოქმედებით შეძლებდა იმ სიდიდის და ტიპის ნგრევას, რაც სწეფრუს თეთრ პირამიდაზეა განხორციელებული.

ტორნადოს თვისებებში გათვითცნობიერებულ სპეციალისტებს არ გაუჭირდებათ სწეფრუს თეთრი პირამიდის ზედახედიში გადაღებული ფოტოსურათით დაადგინონ, პირამიდის გარშემო მიმოფანტული ქვების განლაგება ემთხვევა თუ არა ტორნადოსათვის დამახასიათებელ ნგრევის მონახაზს. ასეთი სახით მიმოფანტული ნანგრევების მონახაზი, განსაკუთრებით, ამერიკელებისთვისაა ცნობილი. მუ-ნ სურათზე მოცემულია ირვინგში დანგრეული სკოლის ზედახედი, სადაც სკოლის ფუნდამენტის ნანგრევები ჩახვეულად-სპირალისებურად არის განლაგებული ცენტრის გარშემო.




სურ. 5. სკოლა ირვინგში. ნანგრევების განლაგება ფუნდამენტზე და მის გვერდით (Funley, 1881).


სამწუხაროდ, სნეფრუსს თეთრი პირამიდის ზედხედის სურათი ვერ მოვიპოვე. რის გამოც ვერ ვახდენ ირვინგში დანგრეული სკოლისა და სნეფრუსს ნანგრევების ზედხედების შედარებით ანალიზს. მაგრამ ერთი რამ აშკარად წარმოდგენილი თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს. კერძოდ, ცნობილია, რომ სნეფრუსს თეთრი პირამიდის ნანგრევები არ ყრია პირამიდის ერთ რომელიმე მხარეს, არამედ პირამიდის გარშემო მეტნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. ასეთი აღწერილობა ტორნადოს შიგნით პაერის სპირალისებური მოძრაობის ნაკვალევის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაზედაც ზემოთ აღნიშნული სკოლის სურათიც მეტყველებს.

სნეფრუსს თეთრი პირამიდის დახასიათება: სიმაღლე – 100 მეტრზე ოდნავ მეტი, დახრის კუთხე – 50° , გარემოპირკეთების ქვის ფერი – თეთრი რა მნიშვნელობა აქვს პირამიდის ამ მარცვებებს?

მათი დანიშნულება ძალზედ უბრალოა. მოგეხსენებათ, თეთრი ფერი ყველაზე კარგად ისხლექს მზის სხივს, მითუმეტეს ეგვიპტელი მშენებლები ზედმინუენით კარგად აპრიალებდნენ პირამიდის გარემოპირკეთების ქვას.



სურ. 6. 30° -ით დახრილი კედლიდან არეკლილი მზის სხივა.



სურ. 7. 50° -ით დახრილი კედლიდან არეკლილი მზის სხივი.

წარმოვიდგინოთ პირამიდა, რომლის კედლებს 50° -ის ნაცვლად 30° -იანი დახრა აქვს. ასეთ პირამიდაზე დაცემული შუადღის მზის სხივთა უმეტესობა სივრცეში გაიშლება (სურ. 6), როგორც აღნიშნეთ, სნეფრუსს თეთრი პირამიდის დახრის კუთხე 50° იყო, ამ გრადუსით დახრილ კედელზე შუადღით დაცემულ სხივთა უმეტესობა პირამიდის გარშემო ტერიტორიაზე დაეცემოდა (სურ. 7), სადაც ასხლექილი მზის სხივის რაოდენობა ემატება იგივე ტერიტორიაზე პირდაპირ დაცემულ მზის სხივთა რაოდენობას. ამით პირამიდის გარშემო ჯამური რაოდენობა იქნებოდა,

რის გამოც ნიადაგი ძლიერ ხურდება, რაც თავის მხრივ პაერის ძლიერ გათბობას განაპირობებს. ხოლო პირამიდის კედლები შზის სხივთა ას-ხლეტვის გამო არ გათბებოდა, შესაბამისად არ გათბებოდა პაერი მის თავზე. აღნიშნული პროცესი განაპირობებს ტემპერატურის მკვეთრ ნახტომს - განლაგებით ცივი ცენტრი (პირამიდა), ცხელი გარემო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პირამიდის გარემოპირკეთების ქვის თეთრი ფერი და კედლების დახრის კუთხე ერთი და იგივე მიზანს ემსახურებოდნენ. ისინი ქმნიდნენ ტემპერატურის არათანაბარ განაწილებას.


ფარაონ სნეფურუს შემდეგ გაშეფადა მისი შვილი ფარაონი ხეოფსი. ქაიროს გარეუბანში ხეოფსმა ააგო უდიდესი პირამიდა, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა სამარხთა უდიდეს კომპლექსს ეგვიპტეში. ამ კომპლექსში განლაგებულ პირამიდებს მსოფლიო გიზეს პირამიდების სახელით მოიხსენიებს. მამის მიერ აშენებული სამი პირამიდიდან ხეოფსი იმეორებს სწორედ თეთრი პირამიდის ძირითად მახვენებლებს:

სიმაღლე - 146,5 მეტრი, დახრის კუთხე - 51° , გარემოპირკეთების ქვის ფერი - თეთრი.

ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს იმ აზრს, რომ პირამიდის სწორედ ამ მოდელმა გაამართლა, აღასრულა რა თავისი დანიშნულება, კერძოდ შეძლო „რა“-ს მხედრის გამოწვევა.

მამის პირამიდის ძირითადი მახვენებლების გამოორების პარალელურად ხეოფსის პირამიდაში საკუთარი მოდელის გაუმჯობესების ფაქტები ჩანს. კერძოდ, გაზრდილია პირამიდის სიმაღლე, სარკოფაგის ოთახი პირამიდის შიგნით 6მ მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული, საიდანაც პირამიდის გარე კედლებამდე ორი საპაერო ხერელია გაყვანილი (სურ. 8).

რაში შეიძლება დასტორვებოდა ეს ცვლილებები ფარაონ ხეოფსს? ეს საკითხი განვიხილოთ წარმოდგენილი თეორიის ქრიალში - ტორნადო ანუ „რა“-ს მხედარი ეშვება ციდან პირამიდის წვერისაკენ. ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება სარკოფაგის ოთახის პირამიდის წვერთან ახლო მოთავსებისაკენ ლტოლვა. ასეთი მიდგომით ისიც ირკვევა, თუ რატომ გახდა საჭირო სარკოფაგის ოთახიდან ხერელების გაყვანა პირამიდის გარე კედლებამდე. ჩემი აზრით, ეს ხერელები ფარაონის სულის ადვილად გასასვლელ გზას წარმოადგენდა პირამიდიდან მისი წვერისაკენ, სადაც სული ციდან დაშვებული „რა“-ს მხედარს უნდა შეხვედროდა.



ხურ. 8. ფარაონ ხეოფსის პირამიდა - ქრილი.

ხეოფსის პირამიდას აკლია 9 მეტრის წვერი. მის ადგილას მიღებულია 10X10 მეტრზე სწორი ფართი. ასეთი სიცარიელის შესავსებად საჭიროა ასობით ბლოკი, რომელთა საერთო წონა ათასობით ტონას აღწევს.

რატომ არ აქვს ხეოფსის პირამიდას წვერი?

მასზე „რა“-ს მხედარი ანუ ტორნადო დაეშვა და ჩვეული ძალითა და მბრუნავი ზემოქმედებით კვლავ სიმეტრიული ფორმა დაგვიტოვა, თუ არსებობს რაიმე სხვა გარემოება?

ქრისტეს შობამდე I საუკუნეში ისტორიკოსი დიოდორი აფიქსირებს ხეოფსის პირამიდის წვერის არარსებობას. ამ პერიოდისათვის ხეოფსის პირამიდას გარემოპირკეთების თეთრი ქვა ჯერ კიდევ ჰქონდა, რის გამოც, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანი ასულიყო 50°-ით დაბრილ კედელზე და ხეოფსის წვერი თავად მოეხსნა.

მემატიანე სხვა ცნობასაც გვანდის, კერძოდ დაახლოებით XIII საუკუნეში მოსახლეობამ მოხსნა ამ პირამიდის გარემოპირკეთების ქვები და წვერი. არის აგრეთვე ისეთი ინფორმაცია, თითქოს ხეოფსის პირამიდის წვერი მინისძვრამ მოანგრია.

რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს ამ, ერთი შეხედვით, ერთმანეთის სანინა-აღმდეგო ინფორმაციებს?..

შეგახსენებთ, რომ ხეოფსის პირამიდას 9 მეტრი აკლია. ვთქვათ, დიოდორმა იხილა ხეოფსის პირამიდა, რომელსაც 6 მეტრი სიმაღლე აკლდა. ხოლო დანარჩენი 3 მეტრი პირამიდამ დაკარგა შემდგომ საუკუნეებში,

ბდამიანთა ზემოქმედების ან მიწისძვრის შედეგად. აქედან გამომდინარე, ეს ინფორმაციები შეიძლება თანაარსებობდნენ იმდაგვარად, რომ ერთი მეორეს არ გამოორიყბავდეს.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. დიადორის მიერ ნანახი ხეოფსის ნაკვეთილი პირამიდის ფორმა გახლავთ ერთ-ერთი ეგვიპტური იეროგლიფის იდენტური . ეს იმის დამადასტურებელია, რომ ხეოფსის პირამიდად ნაკვეთილი ფორმა ძველ დროს მიიღო, რაც უძველეს იეროგლიფებშიც აისახა. ამ იეროგლიფის და ტორნადოს ჩანახატს შორის ურთიერთკავშირზე შემდეგ თავებში უფრო ღრმად ვისაუბრებთ.

ხეოფსის შემდეგ ფარაონის ტახტზე ადის მისი ძმა ხეფრენი. იგი იმეორებს მამის და ძმის სამარხის წარმატებული მოდელის ძირითად სახეს.

სიმაღლე – 138 მეტრი, კედლის დახრა – 50° , გარემომორკეთების ქვის ფერი – თეთრი.

ხეფრენის პირამიდაში ერთი სიახლე ჩანს. პირამიდის გარშემო ნყლისთვის არხია გათხრილი.



სურ. 9. გიზე. ფარაონ ხეფრენის პირამიდა.

რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა ნყლის არხს პირამიდის გარშემო? მოგვხსენებათ, ტორნადო წარმოიშვება მხოლოდ და მხოლოდ ღრუბლიან ამინდში. ღრუბელი ყალიბდება ტენიანი პაერისგან, ტენს პაერი

იქნეს წყლისგან, წყლისთვის საჭიროა რეზერვუარი – არხი. ამრიგად, პირამიდის გარშემო არსებული არხი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პირამიდისა და ტორნადოს ურთიერთკავშირს.

იბადება კითხვა: საკმარისი იქნებოდა ამ არხიდან ამართქლებული ტენი ტორნადოს ღრუბლების ჩამოსაყალიბებლად?

ტორნადოს ღრუბელი არხების გარეშეც ყალიბდება; მდინარეების, ტბების, ზღვებისა და ოკეანეებისგან მონაბერი ტენიანი ჰაერისგან. რათქმა უნდა, პირამიდის გარშემო არსებული წყლის არხი დამოუკიდებლად ვერ ჩამოაყალიბებდა ტორნადოს ღრუბელს. მაგრამ ეს არხი აშკარად მოქმედებოდა ამაში პირამიდის გარშემო არსებულ კლიმატს. ანუ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ არქიტექტორთა ჩანაფიქრში გამოიკვეთა სურვილი, პირამიდის გარშემო ჰაერში ყოფილიყო რაც შეიძლება მეტი ტენი. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ხეფრენის პირამიდა ტორნადოს ხელოვნურად გამოსაწვევ ყველაზე უფრო დახვეწილ მოდელს წარმოადგენდა.

ასეთი დასკვნა ახალი კითხვის დაბადების საფუძველი ხდება.

თუკი ხეფრენის პირამიდა ტორნადოს ხელოვნურად გამოსაწვევ ყველაზე დახვეწილ მოდელს წარმოადგენს, მაშინ მას რატომ არ აქვს ნვერი მონგრეული?

პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ნვერი მასაც მკირედ დაზიანებული აქვს. მას აკლია ბოლო ქვა.  ამ ქვას „პირამიდონს“ უწოდებდნენ, ვინაიდან იგი ზუსტად პირამიდის ფორმას იძიებდა. დავუშვათ, ეს ქვა ტორნადოს მონგრეული არ არის და შევეცადოთ, პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას.

ჩემი აზრით, ეგვიპტელების მიზანი იქნებოდა არა პირამიდის ნვერის დანგრევა, არამედ ტორნადოს გამოწვევა. ეს აბსოლუტურად განსხვავებული მიზნებია. თუკი სნეფრუს თეთრი პირამიდაზე დაეშვა ძალზე ძლიერი ტორნადო, რომელმაც მისი ნვერი დაშალა და დაანგრია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სხვა პირამიდასაც ისეთივე ძალის ტორნადო უნდა გამოეწვია. მოსალოდნელი ტორნადოს ძალას ეგვიპტელები ვერ განსაზღვრავდნენ, ვინაიდან არსებობს როგორც ძლიერი, ასევე – სუსტი ტორნადოები და მათი ძალას განსაზღვრავს ცაში მიმდინარე მეტეოროლოგიური პროცესები. ჩვენს ეპოქაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ტორნადოს ადამიანები და ცხოველები აუტაცია და რამდენიმე მეტრის დაშორებით უვნებლად დაუსვია მიწაზე. ასეთი ძალის ტორნადო ვერ

დაანგრევდა ხეფრენის პირამიდის მრავალტონიან ბლოკებს. არსებობს ტორნადოები, რომლებიც სანყის ეტაპზე სუსტები არიან, რამდენიმე საათის შემდეგ კი უდიდესი ძალისანი ხდებიან. როგორც ვიცით, ციდან მონაზე დაშვებულ ტორნადოს პირიზონტალური გადაადგილების ძალაც აქვს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ განვითარების რა ეტაპამდე იდგებოდა ტორნადო პირამიდის თავზე. თუკი ის იქამდე იდგებოდა პირამიდის წვერზე, სანამ უდიდესი ძალისა გახდებოდა, მაშინ დაანგრევდა პირამიდის წვერს. ისეთ კვალს დატოვებდა, როგორც სნეფრუს თეთრ პირამიდაზეა დარჩენილი. ხოლო თუკი ტორნადო მხოლოდ სანყის სუსტ სტადიაში მოხდებოდა პირამიდის წვერზე, ხოლო შემდეგ პირიზონტალურად გადაადგილდებოდა, მაშინ იგი პირამიდის მრავალტონიან წვერს ვერ დაანგრევდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუკი ხეფრენის პირამიდას წვერი მთელი აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არახდროს არ გამოუწვევია ტორნადო. ისიც კი დასაშვებია, რომ აღნიშნულ პირამიდას ყველაზე მეტი ტორნადო გამოენუა, მაგრამ ან სუსტი ძალისანი, ან მათი მიწასთან შეხება პირამიდის შორიახლო ტერიტორიაზე მომხდარიყო, რის გამოც ხეფრენის პირამიდის წვერი უვნებელი დარჩებოდა.

აღნიშნული ნაშრომის განხილვისას დაიბადა კითხვა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა წარმოდგენილ თეორიას. იგი შემდეგნაირად უღერს: ტორნადო ეს არის მეტად ძლიერი და დამანგრეველი ძალის მქონე მეტეოროლოგიური მოვლენა, ხოლო, როგორც ვიცით, ფარაონის მუშია უნდა ყოფილიყო უსაფრთხო და მშვიდ საშუალო განსასვენებელში. მაშინ როგორ აიხსნება დასანგრევად განწირული და მშვიდობიანი ადგილის თანარსებობა?

ჩემი აზრით, ამ რთულმა კითხვამ კიდევ უფრო გაამდიდრა წარმოდგენილი თეორია.

პირამიდის გარშემო არსებული ფაქტები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ პირამიდა, რომელიც იწვევდა ტორნადოს, წარმოადგენდა ფარაონთა ნეშთის დროებით ნაცაყუდელს ანუ ფარაონის ნეშთი იქ განისვენებდა პირველ აუცილებელ ტორნადომდე.

მოგვხსენებათ, ტორნადო რაოდენ ძლიერი მეტეოროლოგიური მოვლენაა. რისკი იმისა, რომ ფარაონის ნეშთი პირველი ტორნადოს დროს პირამიდაში უნდა ყოფილიყო, აუცილებელი და გამართლებული იყო, რადგან უნდა აღსრულებულიყო სანუკვარი ოცნება – სულის ღვთაება

„რა“სთან აყვანა. შემდგომი რისკი უაზრო და სახიფათო იქნებოდა. ჩემი აზრით, პირველი ტორნადოს შემდეგ ეგვიპტელებს ფარაონის ნეშტი გამოაქონდათ პირამიდიდან და ხდებოდა მისი გადასვენება უფრო უსაფრთხო და მშვიდ სამარხში, იქ, სადაც ნეშთის სიმშვიდეს არ დაემუქრებოდა ძლიერი მეტეოროლოგიური მოვლენა. ამ კუთხით საინტერესო ანალიზის გაკეთება შეიძლება ხეოფსის მამის, სნეფრუს პირამიდებზე. როგორც აღვნიშნეთ, მისთვის ერთ სოფელში აშენდა ორი პირამიდა - თეთრი პირამიდა, რომელიც, ჩემი აზრით, ტორნადომ დაანგრია და მეორე - ვარდისფერი, რომელიც ტოვებს სწორედ რომ მშვიდი სამარხის შთაბეჭდილებას, ენაიდან იგი არ ახდენდა ისეთ ზემოქმედებას კლიმატზე, როგორსაც მისი მეზობელი თეთრი პირამიდა. ამას შემდეგი მიზეზები განაპირობებდა:

პირამიდის კედლის დახრის კუთხე - 30° , გარემოპირკეთების ქვა - ვარდისფერი.



სურ. 10. დახური. ფარაონ სნეფრუს ვარდისფერი პირამიდის დღევანდელი სახე.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, 30° -ით დახრილ პირამიდის კედელზე დაკეზული შუადღის მზის სხივი აისხლიტება პაერში და არა მის გარშემო ტერიტორიაზე. რაც შეეხება ვარდისფერ ქვას, იგი ისე ინტენსიურად არ აისხლიტავს მზის სხივს, როგორც თეთრი. ამის გამო იგი თავად თბება და ათბობს მასთან შეხებაში მყოფ პაერს. ამ მონაცემებით ვარდისფერი პირამიდა ტორნადოს ხელისშემწყობ ტემპერატურულ ნახტომს ვერ განახორციელებდა. ასეთი ტიპის შენობა შესაძლოა ყოფილიყო ფარაონის ნეშთის წყარ და საიმედო სამარხი. ამ ვერსიის სასარგებლოდ კიდევ ერთი გარემოება შეტყველებს. ვარდისფერი

პირამიდა თეთრი პირამიდისგან სულ რაღაც 2 კმ-შია აშენებული. ეს სიახლოვე ნეშთის უპრობლემოდ გადმოტანას შეუწყობდა ხელს.

დროებითი ნავსაყუდელის შთაბეჭდილებას ტოვებს ხეოფსის და ხეფრენის ნეშთებისათვის აშენებული პირამიდები, ვინაიდან მათი სარკოფაგის ოთახები არ არის მოპირკეთებული, მოოქროვილი და მოხატული ისე, როგორც ამას ფარაონების მუდმივ სამარხებში ვხვდებით. მაგალითისათვის ტუტანხამონის სამარხის დასახელებაც კმარა. სამარხი, რომელიც ქერიდან იატაკამდე მოხატულ-მოოქროვილი აღმოაჩინეს კლდეთა სიღრმეში.

ხეოფსის პირამიდის განსასვენებელ ოთახში არ იქნა ნაპოვნი სარკოფაგის თავსაფარი.

ამას ჩვენი თეორია შემდეგნაირად ხსნის.

სარკოფაგზე თავსაფარის დაფარება პირველ ტორნადომდე შექმნიდა ზედმეტ ბარიერს სულის და „რა“-ს მუდროს შეხვედრის გზაზე. ჩვენი თეორიის მიხედვით პირველი ტორნადოს შემდეგ ნეშთი პირამიდიდან გამოჰქონდათ. სარკოფაგი ცარიელდებოდა. ცარიელ სარკოფაგს თავსაფარი არაფერში აღარ დასჭირდებოდა. ასე რომ, სარკოფაგის თავსაფარს არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა. ასეთი მსჯელობა ამართლებს ეგვიპტელთა შემდეგ სატყიელს; მათ არ გამოთიანეს და არ ჩააყოლეს თავსაფარი პირამიდის მშენებლობისას ფარაონის განსასვენებელ ოთახში შეტანილ სარკოფაგს.

ხეოფსის მუმისათვის არ აუშენებიათ მეორე უსაფრთხო პირამიდა. ამას შესაძლოა შემდეგი ახსნა ჰქონდეს - მოგეხსენებათ პირამიდის მშენებლობა უზარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული. არსებობს ისტორიული ჩანაწერები, სადაც აღნიშნავენ, რომ ხეოფსს უდიდესი პირამიდის დასამთავრებლად აღარ ჰყოფნიდა თანხები. შესაძლოა, სწორედ ეკონომიკურმა ფაქტორმა გადაწყვიტა ის, რომ ხეოფსმა, მამის მსგავსად, თავისი ნეშთის სამუდამო განსასვენებლად მეორე, მშუდი ბუნების ვარდისფერი პირამიდა არ ააშენა. ფაქტი ფაქტად რჩება, ხეოფსის ნეშთი არასდროს არავის უნახავს, სარკოფაგის ოთახში არც არავითარი ნიშანწყალი მისი ნეშთის მუდმივად იქ ყოფნისა არ არსებობს. სად არის გადასვენებული ის, დღემდე არავინ იცის. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ხეოფსის ნეშთის განსასვენებელი ოთახი თავად პირამიდაშია. ჩემი აზრით, ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან მისი პირამიდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენის ჩასახვის კერა იყო. ყოველ შემთხვევაში, თუკი ხე-

ოფსის ნეშთი მანც პირამიდაშია, მაშინ იგი უნდა იყოს ძალზედ ღრმად ჩამარხული, რადგან განმეორებით ტორნადოს ნეშთის სიმჭიდვე არ დაერღვია.

ბოლო დროს ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამს ეჭვს, რომ დიდ პირამიდას არ შეეძლო ფარაონის განსასვენებლის დანიშნულება. ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ ისინი სამ არგუმენტს წარმოადგენენ:

1. იმ დროის ნუსწვეულებების საწინააღმდეგოდ სარკოფაგის ოთახს არ გააჩნია არავითარი მოხატულობა;

2. ფარაონის განსასვენებელი სარკოფაგი მხოლოდ უხეშადაა დაშუშავებული, ანუ ბოლომდე არაა მზად, სახურავი არ არსებობს;

3. და ბოლოს - პირამიდას აქვს ორი ხერხელი, რომელთა გავლით პერი მოძრაობს გარე სივრციდან ფარაონის განსასვენებელ ოთახამდე. გარდაცვლილებს კი შეერი არ სჭირდებათ.

როგორც ხედავთ, საკმაოდ გაურკვეველი მდგომარეობა სუფევს ამ საკითხის გარშემო. ერთის მხრივ, პირამიდის 30-წლიანი მშენებლობა, უზარმაზარი ხარჯები, აუარებელ მშენებელთა ძალისხმევა. მეცნიერთა ნაწილს კი რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ფარაონი იქ არასდროს არ ყოფილა დასვენებული. და თუ მათ დავეთანხმებით, გაურკვეველი რჩება აზრი, იდეა პირამიდის მშენებლობისა!

ჩვენი ნაშრომი კი ზუსტად სცემს პასუხს ამ კითხვას, ისე, რომ ჩანს აზრი, იდეა და აუცილებლობა პირამიდის მშენებლობისა, ამავე დროს ახსნილია სარკოფაგის ოთახის უცნაური იერსახე. კერძოდ, ხეოფსის პირამიდა იყო ფარაონის ნეშთის დროებითი ნავსაყუდელი პირველ აუცილებელ ტორნადომდე, რის შემდეგაც ხდებოდა ნეშთის გადასვენების ცერემონიული უფრო უსაფრთხო და მშვიდ ადგილას. მოვლენათა ასეთი განვითარება საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ ზემოაღნიშნულ არგუმენტთა კონტრარტგუმენტები:

პირამიდაში არსებული სარკოფაგის ოთახი არ არის მოხატული, ვინაიდან იგი იყო ფარაონის დროებითი და არა სამუდამო ნავსაყუდელი.

ფარაონის ნეშთის პირამიდაში დროებით დასვენება იყო ფუნქციონალური კარგული სარკოფაგის თავსაფრის არარსებობის მიზეზიც;

სარკოფაგის ოთახიდან პირამიდის გარეკედელამდე ორი ხერხელის არსებობა პირამიდიდან სულის ადვილად გამოსვლას უკავშირდება.

ხეფრენის შემდეგ გაბეჭდა ფარაონ ხეოფსის შვილი მიკერენი, რომელმაც გიზეს მიდამოებში, მამისა და ბიძის, სამარხების გვერდით ააშენა

თავისი პირამიდა. წინაპართაგან განსხვავებით მიკერენის პირამიდა მცორე ზომისაა, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ეს პირამიდა ნითელი ქვით იყო მოპირკეთებული.

რატომ მოაპირკეთეს მიკერენის პირამიდა ნითელი ქვით?..

იმისათვის, რომ კარგად ჩაენვდეთ ამ პირამიდის მშენებლობის პერიპეტეებს აუცილებლად მიმაჩნია იმ ისტორიული ჩანაწერის გაცნობა, რომელიც მოგვითხრობს ფარაონ მიკერენის ტრაგიკულ ცხოვრებაზე. ფარაონის ტრაგედია შვილის გარდაცვალებით დაიწყო.

„ამის შემდეგ ქალაქ ბუტოში მცხოვრებ ორაკულისაგან იგი შეიტყობს წინასწარმეტყველებას იმის თაობაზე, რომ მას დარჩენილი აქვს 6 წლის სიცოცხლე, ხოლო მე-7 წელს უნდა აღესრულოს. დამწუხრებულმა მიკერენმა კაცი გაგზავნა ბუტოში ქალღმერთის სასაყვედუროდ.

– მე შევიძულე მამის და ბიძის საქმენი. მათ დაივიწყეს ღმერთები, გაანვალეს ხალხი, მე კი შეღავათისა და სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია მათთვის. მამამ და ბიძამ თავიანთი ბოროტი საქმეების მიუხედავად სიბერემდე იცოცხლეს, ხოლო მე ახალგაზრდა უნდა აღესრულო. რად არის ჩემზე ნაწყენი ქალღმერთი? – კითხულობდა ფარაონი. მან ასეთი პასუხი მიიღო:

– წინასწარმეტყველები იყო, რომ ეგვიპტე 150 წლის განმავლობაში უდიდეს უბედურებაში უნდა გახვეულიყო. შენმა წინამორბედებმა აასრულეს ეს წინასწარმეტყველება, შენ კი არა. სწორედ ამისათვის გსუჯის ქალღმერთი.

დაღონებულ მიკერენს ისლა დარჩენოდა, ცრუ წინასწარმეტყველებაში ემხილა ქალღმერთი. ბრძანა, ღამით ეგვიპტე ცეცხლოვანი ქალებით გაენათებინათ, რათა ღამე დღედ ქვეუღლიყო და ასე ამგვარად მისთვის განკუთვნილი სიცოცხლის 6 წელი 12 წლად გადაქცეულიყო“.


არიან ადამიანები, რომლებიც ამდაგვარ უბედულეს ხელნაწერებში მოთხრობილ ისტორიებს აღიქვამენ, როგორც ზღაპარს. მოდით, გავცნოთ იმ მკვლევართა აზრს, რომლებიც ამ ხელნაწერს ასე კი არ მიუდგნენ, არამედ სარწმუნო წყაროდ მიიჩნიეს და მიკერენის პირამიდის გამოკვლე-

ვა დაიწყეს. კვლევა წარმატებით დაითავრდა. პირამიდის ქვების შესწავლამ დაადასტურა ზემოაღნიშნული ისტორიული ჩანაწერის სისწორე. აღმოჩნდა, რომ პირამიდის შუანელამდე დალაგებული ქვები ზედმიწევნით ზუსტად და ხარისხიანადაა დამუშავებული, ხოლო შუა წელის შემდეგ — მეტად უხეშად და უხარისხოდ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მშენებლები თავდაპირველად აუქჩარებლად მუშაობდნენ, პირამიდის შუა წელამდე მოსულეს კი მიუვით მშენებლობის დაქვარების რაღაც მიზეზი. აქჩარებამ ზეგავლენა იქონია ქვების დამუშავების ხარისხზე. პირამიდის მშენებლობის დაქვარება მეცნიერებმა მიკერენის ნაადრევ სიკვდილს დაუკავშირეს, რაც დასტურდება ზემოაღნიშნულ ისტორიულ ჩანაწერშიც.

მიკერენის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ, რაც არ უნდა ეჭვარათ მშენებლებს, სამოცდაექვსმეტრიანი პირამიდის დამთავრებას მაინც დიდი დრო დასჭირდებოდა. ამ წლების მანძილზე მიკერენის ნეშოს მშენებარე პირამიდაში არაფერ დაასვენებდა, არამედ მოუჩინდნენ სადმე დროებით განსასვენებელ ადგილს. რამდენიმე წლის გარდაცვლილი მიკერენის ნეშოს მიატოვებდა სული. მიკერენის უსულო ნეშოსათვის „რა“-ს მხედრის გამოჩვენება აზრი დაეკარგებოდა. იმისათვის, რომ პირამიდას არ გამოეჩინა „რა“-ს მხედარი ანუ ტორნადო, არქიტექტორებს პირამიდის მშენებლობაში ცვლილებების შეტანა მოუწევდათ. არქიტექტორებს შეუძლოთ პირამიდა გარედან მოეპირკეთებინათ არა თეთრი, არამედ წითელი ქვებით, რომლებიც ინტენსიურად არ ისხლიტავენ მზის სხივს, რის გამოც თავადაც თბებიან და ათბობენ მასთან შეხებაში მყოფ პაერს. ეს გარემოება ტემპერატურის არათანაბარ განაწილებას შეუშლიდა ხელს, ამით კი ტორნადოს მასტიმულირებელი მიზეზი შესუსტდებოდა. როგორც ვიცით, არქიტექტორები ასეც მოიქცნენ.

საინტერესოა გიზუს პირამიდების: ხეოფსის, ხეფრენის და მიკერენის, ზედხედის განხილვა (სურ. 11). აღნიშნული პირამიდები წიბოებით ერთმანეთისკენაა მიმართული. პირამიდების კედლებიდან ასბლექტილი შუადღის მზის სხივები მოწას ეფინება და არ ანათებს მეზობელ პირამიდებს, რის გამოც სამოცე პირამიდა ინარჩუნებს სიცივეს. წარმოვიდგინოთ აღნიშნული პირამიდები სხვაგვარი განლაგებით, კერძოდ, ერთკვით, პირამიდები წიბოების მაგივრად გვერდებით მიქმართათ ერთმანეთისაკენ (სურ. 12). ამ შემთხვევაში ერთი პირამიდიდან ასბლექტილი მზის სხივი მეორე პირამიდის კედელზე დაეშვებოდა და გაათბობდა მას, რაც ხელს

შეუშლიდა პირამიდის ფართზე სოცოვის შენარჩუნებას. აქედან განოსდო ნარე შეიძლება ითქვას, რომ არეიტექტორებმა ამ შრომაც იზრუნეს და მონახეს გიზეა პირამიდების განლაგებაში ისეთი ოპტიმალური გამოსაგალო, როდესაც ტემპერატურის არათანაბარ განაწილებას არავერი შეუშლიდა ხელს.



სურ. 11. გიზეს პირამიდები (ხეოფსი, ზეფრენი, მკერენი).
პირამიდის კედლებიდან არეკლილი შუადღის მზის სხივების პირობითი სქემა.



სურ. 12. გიზეს პირამიდების ზელოვნური გადაადგილების შედეგად მიღებული სურათი.

კლიმატის ცვლილება ეგვიპტეში

დღესდღეობით პირამიდები ტორნადოს აღარ იწვევენ, ვინაიდან ჩამოშლილი აქვთ გარემოპირობების თეთრი ქვეები, რის გამოც იმ ინტენსივობით არ ხდება მზის სხივთა ასხლეტვა, როგორც ეს ადრე ხდებოდა, აღარ იქმნება ტემპერატურის არათანაბარი განაწილება, ამასთან ერთად ეგვიპტეში შეიცვალა კლიმატი, რაც ასრულებს უმთავრეს როლს ტორნადოს ჩამოყალიბების პროცესში.

ტორნადოს წარმოშობის ფიზიკური არსი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შესწავლილი. მისი წარმოშობის თეორია მრავალია და სხვადასხვაგვარი. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის საყოველთაოდ მიღებული და ყველა კითხვანუ პასუხის გამცემი. ტენიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების მიხედვით, ტორნადო განსაკუთრებით ხშირად ყალიბდება წყლის ზედაპირზე (ოკეანე, ტბა, ზღვა, წყალსაცავი...) განლაგებულ ელექტრის ღრუბელში, საიდანაც აორთქლებული ტენიანი პაერის სწრაფი აღმავალი დინებები კვებავს ელექტრის ღრუბელს დიდი რაოდენობის ტენით.

ძველ ეგვიპტეში ტორნადოს წარმოშობის ფაქტებს რეალური საფუძველი რომ ჰქონდეს, აუცილებელია, ვიცოდეთ, იყო თუ არა მისი გამომწვევი კლიმატი ძველად ამ ქვეყანაში.

ისტორიული წყაროები ცალსახად ადასტურებენ, რომ წარსულში ეგვიპტეში, პირამიდების მშენებლობის პერიოდში, გაცილებით უფრო რბილი და ტენიანი მავა იყო გაბატონებული, ვიდრე დღეს. ეს ფაქტი მრავალი მეცნიერული დაკვირვებით და გამოკვლევით დასტურდება. მოვიყვანოთ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების ა. ს. მონინისა და ი. ა. შიშკოვის აზრი ამ საკითხზე¹:

„კლიმატური ოპტიმუმის არსებობა იმ პოლიინტოლოგიური მონაცემებითაც მტკიცდება, რომლებიც მოპოვებულია კენის, ზამბიისა და ეკვატორიალური აფრიკის სხვა ქვეყნებიდან. ცენტრალურ აფრიკაში აღმოჩენილია გიპოპოტამებისა და ნიანგების არსებობის ნიშნები. იქვე გოლოცენურ ნამარხებში გვხვდება მტკნარი წყლის მოლუსკები. ახლახან რადიონახშირბადის ანალიზის გამოყენებით, აფრიკულ ტბებზე ჩატარებულმა პალეოშირეების გამოკვლევებმა გვიჩვენა,

რომ მთელ აფრიკაში ჩრდილო ტროპიკებიდან სამხრეთამდე გოლოცენის განმავლობაში ტბების დონეები გაცილებით მაღალი იყო, ხოლო მშრალი ხეობები და კალაპოტები წყლით იყო ამოვსებული. ტბების სანაპიროებზე და მის წყალსაცავებში ნაპოვნი ორგანული ნარჩენების რადიონახშირბადით დათარიღება ადასტურებს აფრიკული ტბების გაცილებით მაღალი დონეების არსებობას ათასწლეულების მანძილზე, 9-8 ათასი წლის წინ. ამიტომ ატმოსფერული ჰაერი, განსაკუთრებით ტუნიაში უნდა ყოფილიყო. მოპოვებული მონაცემების მიხედვით ძველ პერიოდში ნალექების რაოდენობა 165%-ით მეტი იყო, ვიდრე დღესაა აღმოსავლეთ აფრიკაში, ხოლო სუდანსა და მავრიტანიაში 200-400%-ით მეტი ნალექი მოდიოდა”.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ეცეპტეში გაცილებით მეტი ნალექი მოდიოდა, ვიდრე დღეს მოდის. ეს ფაქტი წყლის გაცილებით დიდი რეზერვუარების არსებობას ადასტურებს. შესაბამისად მეტი იქნებოდა აორთქლებაც, რის შედეგადაც ჰაერი ტენის დიდ მარაგს მიიღებდა. ეს კი როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ტორნადოს წარმოშობის ერთ-ერთი აუცილებელ პირობას წარმოადგენს.



სურ. 13. მდინარე ნილოსი. კოსმოსიდან გადაღებული ფოტოსურათი.

ქველ ეგვიპტეში წყლის მეტი მარაგის არსებობას კოსმოსიდან გადაღებული ფოტომასალაც ადასტურებს. ჩვენს ეპოქაში მდინარე ნილოსზე აშენდა ასუანის კაშხალი. კოსმოსიდან გადაღებულ სურათზე გამოსახულია ასუანის კაშხლის სამხრეთით მდებარე მდინარე ნილოსის კალაპოტი (სურ. 13). როგორც სურათზე ვხედავთ, კაშხლის აგების შემდეგ მდინარის ზედა ნაწილში დაიწყო წყლის დაგროვება. მოზღვავეებულმა წყლის მასამ შეავსო ნილოსის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მდინარის ფორმის არხები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მოჭარბებულმა წყალმა შეავსო მდინარე ნილოსში ჩამავალ, უძველეს დროში არსებულ მდინარეთა ამომშრალი კალაპოტები.

თანამედროვე გამოკვლევებისა და დაკვირვებების გარდა არსებობს მრავალ თვითშეილევლითა ჩანაწერები, რომლებიც მეტყველებენ წყლის უდიდეს განფენილობაზე ქველი ეგვიპტის ტერიტორიაზე. მოციყვანით პერიოდოტეს ჩანაწერი ეგვიპტის შესახებ (V საუკუნე ქრისტეს შობამდე)¹:

„როდესაც მდ. ნილოსი დიდდებოდა, იგი ტბორავდა მთელს ქვეყანას, მარტო ქალაქები მოჩანდა წყლის ზევით თითქმის ისე, როგორც კუნძულები მოჩანს ხოლმე ჩვენთან ეგეოსის ზღვაში. მთლიანად ეგვიპტის ქვეყანა ზღვად იქცეოდა ხოლმე. ამ დროს გემებით მგზავრობისას სარგებლობდნენ არა მდინარის კალაპოტით, არამედ პირდაპირი უმოკლესი გზებით. მაგალითად, ნოეკრატუსიდან მემფისში მგზავრობდნენ თვით პირამიდების გვერდის ავლით“.

ძლიერი სიყვანტე, დატბორილი ეგვიპტის თავზე მდებარე ქაერს შესძენდა და უდიდეს ტენს, რაც თავის მხრივ ტორნადოს წარმოშობისთვის ხელსაყრელ პირობას შექმნიდა.

ეგვიპტის დატბორვა დაახლოებით 4 თვის მანძილზე გრძელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდში დაასვენეს ფარაონ ხეოფსის ნეშთი პირამიდაში. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი — ხეოფსის პირამიდის მშენებლობის დამთავრების პერიოდში მისკენ მიმავალი მხოლოდ საბმელეთო გზა არსებობდა. მკვლევარების მიერ ხეოფსის პირამიდის გვერდით სპეციალურ სამალავში ნაპოვნია კარგად შენახული ფარაონის ნაწი. მეცნიერები თვლიან, რომ ხეოფსი სწორედ ამ ნავით იქნა სასახლიდან პირამიდამდე გადასვენებული. ე. ი. დასაფლავება მოხდა ნი-

ლოსის ადიდების ოთხთვიან პერიოდში. არსებობს ძველ ეგვიპტელ მხატვართა მიერ შესრულებული ნამუშევრები, სადაც ასახულია ფარაონთა ნეშთების ნავეებით გადაადგილების ფაქტები.



სურ. 14. ფარაონის ნეშთის გადასვენება ნავით.

ისტორიულად ცნობილია, რომ დატბორვის შემდეგ წყლით გაჟღენთილი მიწის სრულად გამოშრობას, ახალ ნაყლდილობამდე ეგვიპტის ცხელი მზე ვერ ასწრებდა. ე. ი. როგორც წყალდიდობის, ასევე წლის სხვა პერიოდებშიც მიწიდან მუდმივად ხდებოდა წყლის აორთქლება, რაც დიდი რაოდენობის ტენით ამარაგებდა ქაერს. ასე რომ, ტორნადოს წარმოშობა წლის ნებისმიერ დროს იქნებოდა შესაძლებელი.

ტორნადოს ხშირი ჩამოყალიბების შემთხვევები დიდად შეუწყობდა ხელს ეგვიპტელ მეცნიერთა დაკვირვებებს ამ მოვლენისადმი. კერძოდ, „ლიბიის მთათა მასივის მისადგომებთან, ქ. ფიეთან (ლუქსორი) აღმართულია პირამიდის მსგავსი ნვეტიანი კლდე — „რქა“⁴.

წყალდიდობის დროს ეს კლდეც კუნძულის სახეს მიიღებდა. კლდის დამრეცი კედლებიდან ასხლეტილი მზის სხივები გამოიწვევდა გარშემო მყოფი წყლის დამატებით გათბობას, რის გამოც, კლდე გარემოსთან შე-


დარებით საცივებს შეინარჩუნებდა. როგორც ვიცით, ღრუბლების ჩამოყალიბების შემთხვევაში იწყება გაცივების პერიოდი. კლდე გაცივებით მალე ცივდება, ვიდრე წყალი. ამ პერიოდში კლდესა და წყალს შორის არსებული ტემპერატურის არათანაბარი განაწილება პიკს აღწევს. ამრიგად, წყალში მდგარ კლდეს თავად ბუნებრივად შექმნილი ტორნადოს ხელშეწყობი ტემპერატურის არათანაბარი განაწილება განლაგებით – ცივი ცენტრი (კლდე) და თბილი გარემო (მის გარშემო მყოფი წყალი). არ არის გამორიცხული, რომ სწორედ პირამიდის მსგავსი კლდე – „რქა“ ყოფილიყო ეგვიპტელ მეტეოროლოგთა დაკვირვების ობიექტი, ხოლო შემდგომში იგივე კლდის ფორმას ზეგაეღვნა მოქმედინა თავად პირამიდის ფორმის ჩამოყალიბებაზე.

ნილოსის ადიდება

წყალდიდობის გათვალისწინებით ეგვიპტელებმა სოფლები და ქალაქები ამალღებულ ბორცვებზე ააშენეს (სურ. 15). წყალდიდობის პერიოდში დასახლებულ პუნქტებს შორის ტერიტორიები წყლით სრულად იფარებოდა, რის გამოც დასახლებულ პუნქტები კუნძულების სახეს იღებდნენ. წყალდიდობა გრიგორიანული კალენდრით 16 იანვარიდან 26 სექტემბრამდე გრძელდებოდა. წყალდიდობის დაწყების დღის შესახებ კოპტურ კალენდარში ძველ ეგვიპტელებს შემდეგი სიტყვები ეწერათ: „ღვთიური წყალობა ეშვება ნილოსის წყლებზე“.

ნილოსის ადიდება ეგვიპტელთა ცხოვრების მრავალ სფეროს განაპირობებდა. მათ შორის კალენდარსაც. სამოქალაქო კალენდრის მიხედვით ეგვიპტელები სამ სეზონს გამოჰყოფდნენ: „წყალდიდობა“, „აღმოცენება“ და „სიმშრალე“. თითო სეზონი 4 თვისაგან შედგებოდა. თითო თვეში 30 დღეს ითვლიდნენ. საერთო ჯამში 360 დღე იკრიბებოდა, რომელსაც ემატებოდა დღესასწაულების 5 დღე.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ნილოსის ადიდებას წინ უსწრებდა მოვლენები, რომლებიც აფრიკის კონტინენტის შუა ნაწილში ვითარდებოდა. ცენტრალურ აფრიკაში განვითარებული ქარები ამ დროისათვის აღმოსავლეთიდან მცირეუადენი გადახრით ქროდნენ. ამ ქარებს მოჰქონდათ ინდოეთის ოკეანიდან სქელი ორთქლი, რომელნიც შუა აფრიკის მთების მწვერვალებზე ნისლისა და თოვლის სახით ეშვებოდნენ.



бух. 15. җанһонс җанһондэн.

ცენტრალური წერტილი, რომლისკენაც მიემართებოდა ინდოეთის ღრუბლები, იყო ქვეყანა „უნიაუეზი“, რომლის სახელწოდება შპეკემ თარგმნა როგორც „მთვარის შინა“. ეს სახელი უმთხვევა იმ ქვეყნის სახელს, რომელიც ეგვიპტურ ლეგენდებში ნახსენებია, როგორც „მდინარე ნილოსის საწყისის ქვეყანა“.

დაგროვილი ღრუბლები წყალდიდობის მომტან წვიმებად იღვრებოდა, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ეკვატორის ქვეყნებისათვის. ეს ხდებოდა ძირითადად თებერვალში, „ცხელი მზის“ პერიოდში, რომლის სხივების ძალით დნებოდა თოვლი მაღალ მთებში. ყველა შრიდან იწყებოდა წყლების დინებები, დიდდებოდა ტბები. ათასობით პატარა მთების წყაროები მდინარეებს ემსგავსებოდა. წყლის ეს ნაკადი ეგვიპტისაკენ მიემართებოდა. 24 თებერვალს ეს წყალი გონდოკორს აღწევდა. წყალთან ერთად აქ შავი ღრუბლებიც მოდიოდა და იწყებოდა გაუთიავებელი წვიმები მთელი მარტის თვის განმავლობაში. ამ დროისათვის წყალი ჯერ არ მიემართებოდა ქვემოთ, ნილოსისაკენ. მას მდელოები და ტაობები ისრუტავდნენ. ეს ტაობები კვებაუდა მდინარე ნილოსს მთელი წლის განმავლობაში. წყალდიდობის პირველი ტალღა აბისინიიდან მოდიოდა. ტბა ტზანა წარმოადგენდა წყლის დასაგროვებელ რეზერვუარს, რომლიდანაც დასავლეთისაკენ უზარმაზარი წყლის რაოდენობა ჩაედინებოდა მდინარეში, რომელსაც ლურჯ ნილოსს (ბარუელ აზრიკ) ეძახიან. იმდენად, რამდენადაც ტბა ტზანა 2000 მეტრზე იმყოფება ზღვის დონიდან, ამიტომ ლურჯი ნილოსი, დიდი სისწრაფით ეშვებოდა და უერთდებოდა თეთრ ნილოსს (ბარუელ აბიად), რომელიც ცენტრალური აფრიკიდან მოედინება.

წვიმისა და თოვლის დნობისაგან წარმოშობილი წყლები ავსებდა უდიდეს ტბებს: ბარინგო, უკერევე, ალბერ ნია ნცა, ტანგანიიკა, ნიასა, ბემბა, ბანგვოლო და სხვ. დაძრული წყლები ავსებდა გზაზე მყოფ ტაობებს, რომლებშიც მრავალი თვის განმავლობაში მდგარი წყალი ეანგისფერი და სქელი იყო გაზრდილი ცხოველების, წყალმცენარეების ნარჩენებისა და მწერებისაგან, რომელთაც ცხოვრება, ამ თბილ, სქელ და ტალახიან გარემოში უყვართ. ტბებში ჩამავალი ახალი წყლები და ნაჭაობარი სქელი, ჭუჭყიან მასა მდინარეში ჩაედინებოდა.

მდინარე ნილოსში ამღვრეული მწვანე ფერის გაჩენას წყალდიდობის დაწყების ნიშნად მიიჩნევენ. სანამ მომწვანო, აყროლებული მასა ნილოსის მთელს სიგრძეზე იღვრებოდა, აფრიკის ცენტრალურ ნაწილში

კვლავ დიდძალი წვიმები მოდიოდა. ამ დროს ახალი წყლები ახალი ძალით უტყევედა მთებს, რომელთა ნიადაგიც განუწყვეტელი წვიმების გამო ნელ-ნელა იშლებოდა და მათი მონითალო-მოყაყისფრო ზედაპირული მასა წყლებს უფრთხედებოდა. რაც, რა თქმა უნდა, შესაბამისად ცვლიდა ნილოსის ფერს. ამ პერიოდს „წითელი ნილოსის“ პერიოდი ერქვა, რომელიც ქაიროს 31 ივლისს აღწევდა.



სურ. 16. თეთრი და ცისფერი ნილოსის შეერთება ხარტუმში.
პირამიდები ნუბიაში - დღევანდელი სუდანი (Замаровский, 1981).

წყალდიდობა მაქსიმუმ ხარტუმში 20 აგვისტოს აღწევდა, ასსუანში - 30 აგვისტოს, ოივანში - 5 სექტემბერს, ასოუტში - 13 სექტემბერს და ქაიროში - 26 სექტემბერს. წყლის ასეთი ნელი სელა უამრავი არხის არ-

სებობით აიხსნება, რომლებიც გაყვანილი იყო ნილოსის სანაპიროებიდან ეგვიპტის ღრმა რაიონებში.

წყალდიდობის სიმაღლე სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა იყო. მაგ. ცენტრალური აფრიკის ქაობებში და გონდოკორში 2 მეტრით, ხარტუმში წყალი 7 მეტრით დიდდებოდა. არ უნდა დაფიქნყოთ, რომ ხარტუმში ორივე ნილოსი ერთდება (სურ. 16). სემნების მახლობლად წყალი 12 მეტრს აღწევდა, ასუანში ძირითადად — 9 მეტრს, ხოლო დელტაში წყლის სიმაღლე 7 მეტრი იყო.

ამღვრეული და დაბინძურებული ნილოსის წყალი დასაღვებად აღარ გამოდგებოდა, ამიტომ წყალდიდობის წინა პერიოდში მოსახლეობა ზრუნავდა წყლისა და სანოვაგის მომარაგებაზე. 26 სექტემბერს წყლის დაკლება იწყებოდა. ასე ამგვარად, ნილოსის ფერისცვალება 100 დღე გრძელდებოდა, რაზეც მიგვითითებს პეროდოტე მემფისელ მოგვთა მონაყოლის თანახმად. წყლის დაკემა მდინარეში გრძელდებოდა 8 თვის განმავლობაში ნილოსის მთელ სიგრძეზე — ხარტუმიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ამ დროს ის არ იღებდა არცერთ შენაკადს და წვიმის არცერთ წვეთს. ამ დროს მხოლოდ წყლების ძლიერი აორთქლება ხდებოდა. წყლის მარაგი არასდროს არ შრებოდა ბოლომდე, ანუ განვლილი წყალდიდობის კვალი არ ქრებოდა ახალ წყალდიდობამდე.

ეგვიპტის კლიმატის ცვალებადობაზე ფრინველთა მიგრაციაც მიგვითითებს. ამ ქვეყნის ძველი მოსახლეობა ეთაყვანებოდა „იბისს“. მათ სხეულს აბალზამებდნენ და ინახავდნენ. იბისის მსგავსი ფრინველი დღესაც ცხოვრობს ეგვიპტეში. მაშალი აბუ ძალზედ ნააგავს იბისს. ნამდვილი იბისი კი აღარ ცხოვრობს ეგვიპტეში იმ მიზეზით, რომ ტბები და არხები, სადაც იბისი იჯდებოდა, ამომშრალია. ამის გამო ეს ფრინველი ეთიოპიაში გადასახლდა.

ბიბლია ეგვიპტის შესახებ

ბიბლიის მიხედვით, ეგვიპტეში უძველეს დროში ჩავიდნენ ებრაელები. ჯერ იოსები, შვილი იაკობისა, რომელიც ძმებმა მონად გაყიდეს. ცნობილი მოვლენების შემდეგ ფარაონმა იოსები ეგვიპტის მმართველად დანიშნა. ამის შემდეგ ეგვიპტეში ხდებიან იოსების ძმები და სხვა მრავალი იუდეველი, მათ შორის მოსე, რომელმაც ებრაელი ხალხი ღვთის ნებით სასწაულებრივ გამოიყვანა ეგვიპტიდან.

მოვიყვანოთ ბიბლიაში აღწერილი ისეთი ცნობები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენს მიერ აღწერილ მოვლენებს. ცნობა ბიბლიიდან ეგვიპტეში კლიმატის შეცვლის შესახებ.

ესაია წინასწარმეტყველი თავი 19 (1-12)

«ეგვიპტის განაჩენი. აჰა, ამხედრებულია უფალი მსუბუქ ღრუბელზე და მიდის ეგვიპტეში. შერიყვიან მის წინაშე ეგვიპტის კერპები და დაუდნებათ ეგვიპტელებს გულები.

აეაშხედრებ ეგვიპტელს ეგვიპტელზე: ძმა ძმას დაუნწყებს ბრძოლას, მოყვასი მოყვასს, ქალაქი ქალაქს, სამეფო სამეფოს.

დაიშრიტება ეგვიპტის სული მის წიაღში და ჩაეფუშავ მის თათბირს, კერპებს, მჩხიბავებს, მესულთანეებს და ჯადოქრებს დაუნწყებენ ძებნას სამკითხაოდ.

ჩაეგდებ ეგვიპტელებს სასტიკი ბატონის ხელში და მტარვალნი მუფე იხელმწიფებს მათზე, ამბობს შეუფე, ცაბაოთ უფალი.

წყალი დანყდება ზღვაში, ნილოსი დაინრიტება და დაშრება, მდინარეები ამყრალდება, დაიკლებს და დაშრება ეგვიპტის არხები, დატყნება ლელი და ლერწამი.

გადაშიშელდება მდინარეთა ნაპირები და მდინარეთა შესართავები, გადახშება ქალებში ნათესი, განქარდება და გაცამტვერდება.

დაღონდებიან მეთევზეები, აკვნესდებიან მდინარეში ანკესის მსროლელნი და წყლებზე ბადეთა გამშლელნი დაიწყებენ გოდებას.

შურცხვებიან ვარცხნილი სელის მკეთებელნი და მაქმანების მესოველნი.

დაილენება მისი დაზგები, ქორის მუშები დამწუხრდებიან.

შეიშალნენ ცოყანის მთავრები, გაცუდდა ფარაონის ბრძენი მრჩეველების თათბირი. როგორღა ეტყვიტ ფარაონს: ბრძენთა შეილი ეარ მე, აღმოსავლეთის მეფეთა შეილიო?

სად არიან შენი ბრძენი, რომ გამცნონ და გაგაგებინონ, რა გადაუნყვიტა ცაბაოთ უფალმა ეგვიპტეს? "

როგორც ეხედაეთ ღვთის განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი: ეგვიპტე მრავალგზის დაიპყრეს უცხო მეფეებმა. ნილოსი ძველებურად აღარ დიდდება, მისი შენაერთები გაქრნენ, ამოშრნენ ტბები და არხები. ძალზედ საინტერესოა იგივე თავის შემდეგი აბზაცები.

„გაბრიელდნენ ცოყანის მთავრები, მოტყუდნენ ნოფის მთავრები. შეაცდინეს ეგვიპტე მისი ტომების თავკაცებმა.

რეტი დაასხა მათ უფალმა და აატორტმანეს ეგვიპტე ყველა საქმეში, როგორც რწყვისას ტორტმანებს მთვრალი.

არაფერი ექნება ეგვიპტეს გასაკეთებელი, რისი გაცეთებაც თავსა და კუდს, შტოსა და ღეროს შეეძლება.

იმ დღეს დიაცვბოციოთ იქნებან ეგვიპტელები, შეშინდებიან და დაფრთხებიან ცაბაოთ უფლის ხელის მოწმევისაგან, მათზე რომ მოიწვეს ხელს.

შიშის ზარად ექცევა ეგვიპტეს იუდას შინა. ყველას, მის გამხსენებელს, შეაძრუნებს ცაბაოთ უფლის განაჩენი, მასზე რომ განაჩინა.

იმ დღეს ხუთი ქალაქი იქნება ეგვიპტეში, ქანაანურად მოლაპარაკე და ცაბაოთ უფლის დამფიცებელი; ერთს დაერწმევა მზის ქალაქი.

იმ დღეს იქნება უფლის სამსხვერპლო ეგვიპტის ქვეყნის შუაგულში და უფლის სვეტი მის საზღვართან.

იქნება ეს ცაბაოთ უფლის ნიშნად და სასწაულად ეგვიპტის ქვეყანაში, რადგან შეღალადეს უფალს დამრთგუნველთა გამო და მოუვლენს უფალი მაცხოვარს და პატრონს და იხსნის მათ.

გამოეცხადება უფალი ეგვიპტელებს და შეიცინობენ ეგვიპტელები უფალს იმ დღეს; შესწირავენ მსხვერპლს და ძღვენს აღუთქვამენ აღთქმებს და აღასრულებენ კოდეც.

დაპკრავს უფალი ეგვიპტეს, დაპკრავს და განკურნავს კოდეც; მიიტყუვან უფლისაკენ, შეინყნარებს მათ და განკურნავს.“

ზოგიერთი მკვლევარი ეგვიპტის შუაგულში ნახსენებ „უფლის სამსხვერპლოს“ - პირამიდებს უკავშირებს.

მე ასეთ დასკვნამდე ვერ მივუღი.

ხოლო – „მოუვლენს უფალი მაცხოვარს და პატრონს და იხსნის მათ“ და „გამოეცხადება უფალი ეგვიპტელებს და შეიცინობენ ეგვიპტელები უფალს იმ დღეს“ – ეს სიტყვები, ჩემი აზრით, უფალი იესო ქრისტეს ეგვიპტეში გატარებულ რამდენიმე წელს უკავშირდება. შემდგომ პერიოდში კი ეგვიპტელებმა – კოპტებმა მართლაც შეიცინეს უფლის არსი, ეზიარნენ რა ქრისტიანობას.

**ბიბლიაში ნახსენები ქარბორბალა
იერემია წინასწარმეტყველი
თავი 4 (11-14)**

„იმეამად ეტყვიან ამ ერს და იერუსალიმს: მწველი ქარი ქრის უდაბნოს ხმელგორებიდან, ჩემი ერის ასულის გზაზე, არც სანიაყებლად და არც გადასარჩევად.

ამაზე უფრო ძლიერი ქარი ატყდება ჩემგან და მაშინ მეც გაოჟოვებულად განაჩენს.

აჰა, ღრუბელივით ამოდის იგი, ქარბორბალაა მისი ეტლები, არნიეზე უსწრაფესია მისი ცხენები, ვაი ჩვენს თავს, გავნადგურდებით.

გულიდან ამოირეცხე ბოროტება, იერუსალიმო, რომ გადაარჩე! როდემდე უნდა იბუდოს შენს წიაღში უკეთურმა ზრახვებმა.“

რატომ შეიძლება აეცვანათ ეგვიპტელებს ღრუბლიდან ჩამომავალი გრიგალისებური მოვლენა – ქარბორბალა - ტორნადო ღვთაების რანგში, სულების ცაში ამყვანის რანგში?

იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი ამ კითხვას, მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ბიბლიიდან.

იობი

თავი 38 (1-2)

„მოუგო უფალმა იობს გრიგალიდან და უთხრა:

ვინ არის, რომ აბნელებს განგებას უგუნური სიტყვებით?“

როგორც ბიბლიიდან ჩანს, ძალზე ხშირად უფალი თავის რჩეულ ნინასწარმეტყველებს მიმართავს სტიქიონიდან, ღრუბლიდან, გრიგალიდან. ხოლო ნინასწარმეტყველები შემდგომში ღვთის ამ მიმართვას გადასცემდნენ ებრაელებს, ეგვიპტელებს და სხვა ხალხებს. შესაძლოა, ასეთი ფაქტები არასწორად გაათვითცნობიერეს ეგვიპტელმა მოგვებმა, რის შემდეგაც გრიგალის, სტიქიის ღვთაების რანგში აყვანა გადამწყვიტეს.

ძველ დროში მცხოვრები ადამიანები ყოველგვარ ბუნებრივ მოვლენაში ეშებდნენ პრაქტიკულ, რელიგიურ, მისტიკურ ახსნებს. ტორნადო ერთ-ერთი სტიქიური – გრიგალისებური მოვლენაა. მისი მოქმედება ვოზუალურად შეტად შთაბეჭდავი იყო და არის: იგი მიწიდან ცაში იტაცებს ყველაფერს, რაც კი გზად ხედება, გარკვეული დროის შემდეგ კი ყველა საგანი თუ სხეული კვლავ მიწას უბრუნდება.

აბრუნებს კი ტორნადო ყველაფერს უკან მიწაზე. თუ არის რაიმე, რა საც ის ცაში ტოვებს?..

ასეთი კითხვა შეიძლება გასწენოდათ ეგვიპტელებს დიდი ხნით ადრე, ვიდრე პირამიდებს ააშენებდნენ. შენობების და საგნების გარდა ტორნადო ცაში ადამიანებს ანუ სულიერ არსებებსაც იტაცებს, რამდენიმე ასეული მეტრის ფრენის შემდეგ ატაცებული ადამიანები ციდან მიწას უბრუნდებიან, უმეტესობა მათგანი – გარდაცვლილი. დაუკვირდით: ატაცებული იქნა „სულიერი“, ხოლო დაბრუნებული – „უსული“ სხეული. შთაბეჭდილება იქნება თითქოს ატაცებული ადამიანის სული ცაში დარჩა...

შესაძლოა, სწორედ ასეთი ქმედების გამო ტორნადოს მიწაერეს სულის ცაში ამყვანის დანიშნულება.

ფარაონი, ეგვიპტური ღვთაება „რა“-ს შვილად ითვლებოდა. პირამიდაზე დაშვებული ტორნადო ეგვიპტელთა რწმენით ეხმარებოდა ფარაონის „კა“-ს მშობელ „რა“-სთან შეერთებაში. შესაძლოა, ეგვიპტელები თელიდნენ, რომ პირამიდაზე დაშვებული „რა“ თავის მხედრით თავდაპირველად ფარაონის „კა“-ს მიიზიდავდა, ხოლო შემდეგ ნებისმიერი მიცვალებული ეგვიპტელის სულს. ეგვიპტელთა სამარხები ხომ ძალზე ხშირად გვხვდება პირამიდის კომპლექსთა შორიანხლოს. აქედან გამოძვინარე, პირამიდას უსაზღვროდ დიდი მისია ეკისრებოდა არა მარტო ფარაონთათვის, არამედ მთელი ეგვიპტისათვის.

სულის არსი ეგვიპტელთა წარმოდგენით

ეგვიპტელები განასხვავებდნენ ადამიანის მატერიალურ და არამატერიალურ შემადგენლობას. მატერიალურად ისინი თელიდნენ ადამიანის ხორციელ ბუნებას. არამატერიალურად კი თელიდნენ იმას, რასაც ჩვენ ვეძახით სულს. ეგვიპტელთა წარმოდგენით, კვდება მხოლოდ ადამიანის მატერიალური ნაწილი, არამატერიალური ნაწილები – სული და ადამიანის სახელი არ კვდება და შეუძლია იცხოვროს მარადიულად. იმას, რასაც ჩვენ სულს ვეძახით, ეგვიპტელები „ახ“, „ბა“ და „კა“-ს ეძახდნენ⁵.

მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით:

„ახ“ წარმოადგენდა ადამიანის სულიერ ძალებს, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის სხეულთან.

„ბა“ წარმოადგენდა დაახლოებით იმას, რასაც ჩვენ ვეძახით „სულიონშიდას“ ე. ი. არამატერიალურის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ დროს დაეტოვებინა გარდაცვლილის სხეული.

„კა“ წარმოადგენდა აღნიშნული სამეულის ძირითად ნაწილს. მას რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ. „სულიერი ორეული“, „ფხიზელი სული“, „სასიცოცხლო ძალა“, „სულიერი არსი“, „ადამიანის სულიერი მცველი“, „მეორე მე“. იგი ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა, ხოლო ადამიანის სიკვდილის მერე „მეორე მე“ აგრძელებდა სიცოცხლეს და ითხოვდა, რომ მისთვის მსხვერპლი შეეწირათ საკვების და სასმელის სახით, რის გარეშეც იგი მოკვდებოდა. სიტყვა „კა“-ს ისინი გადატანითი მნიშვნელობითაც იყენებდნენ. „კას სახლი“ იყო სამარხის ერთ-

ერთი სახელი. „კა“-ს მსახურად მოგვი ითვლებოდა, რომელიც ატარებდა და დაკრძალვის რიტუალს. საკუთარ „კა“-სთან გამგზავრება ნიშნავდა სიკვდილს.

არაამტყვეფნიური ცხოვრების ძირითად პირობად ეგვიპტელები თვლიდნენ გარდაცვლილის სხეულის შენარჩუნებას. იმისათვის, რომ ადამიანს ეცხოვრა სიკვდილის შემდეგ თავის არამატერიალურ არსში, საჭირო იყო მისი მატერიალური არსის შენარჩუნება. ამისათვის ხდებოდა გარდაცვლილთა ბალზამირება და საიმედოდ შენახვა. ამ პროცესს ეგვიპტელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ვინაიდან მათი რწმენით, თუკი გარდაცვლილის სხეულს რაიმე შეემთხვეოდა, მისი „ახ“, „ბა“, „კა“ დაკარგავდნენ არსებობის მატერიალურ საფუძველს და ადამიანი თავის არამატერიალურ ბუნებაშიც დაიღუპებოდა, რაც სრული სიკვდილის ტოლფასად ითვლებოდა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტეში დაკრძალვის რთული რიტუალები განპირობებული იყო სულის არაამტყვეფნიური ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებებით.

სიტყვა „პირამიდის“ არსი

ნაშრომის განხილვისას ოპონენტები ითხოვდნენ უფრო ძლიერი არგუმენტები მომეყვანა პირამიდისა და ტორნადოს ურთიერთკავშირის დასამტკიცებლად. სიტყვა „პირამიდის“ გარშემო არსებული ინფორმაცია იძლევა იმის საფუძველს, რომ პოლემიკა აღნიშნულ თემაზე დასასრულს მოუახლოვდეს. სხვა შემთხვევაში პოლემიკა მეტად პრიმიტიულ სახეს იღებს, დაახლოებით ასეთს:

კითხვა – დამამტკიცე, რომ „ჩაიდან“ ჩაის დალევასთან კავშირში მყოფი ჭურჭელია.

პასუხი – თუ თქვენ ამ ჭურჭელს თავად ეძახით „ჩაიდან“, რის დამამტკიცებას მთხოვთ მე?..

ადამიანებს სწვევიათ ამა თუ იმ ჭურჭელს, დანადგარს თუ შენობას შეურჩიოს სახელად ის სიტყვა, რასთანაც კავშირშია მისი დანიშნულება. მაგალითად: თუნუქის ფურცლისგან დამზადებულ ჭურჭელს დავარქვით „ჩაიდან“, ვინაიდან ჩაიდნით ჩაის დასამზადებელ წყალს ვადუღებთ.

რა არის აქ საკითხავი და საკამთო? არაფერი.

იგივე სიტუაცია შეიქმნა პირამიდის გარშემოც. ისმება კითხვა: დაამტკიცე, რომ შენობა, რომელსაც ქვია „ტორნადო“, ურთიერთკავშირშია ტორნადოსთან?!

პასუხი იგივე სახეს იღებს, რაც ჩაიდანზე გვქონდა.

თუკი თქვენ ამ შენობას ეძახით „ტორნადოს“, ამით თქვენ თავად მანიშნებთ აღნიშნული შენობისა და ტორნადოს ურთიერთკავშირზე!

რის დამტკიცებას მთხოვთ მე?!

გაგოცვირდებით ალბათ, როდის ეძახით ფარაონის სამარხის შენობას ტორნადოსო?

განმარტება: არსებობს ძველი ჩანაწერები, ტერმინები, სახელები, რომელთა არსის გათვითცნობიერება თანამედროვე აზროვნებით ძალზედ ძნელია. ასეთ სიტუაციებთან იყო დაკავშირებული უძველესი დროიდან შემორჩენილი ბერძნული სიტყვა „პირამიდის“ არსის გათვითცნობიერება.

ძველ დროში სიტყვა „პირამიდა“ -ს „ცეცხლოვანი სვეტის“ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვინაიდან ამ სიტყვის ფუძეა „πυρ“ - ცეცხლი. მუცნიერებმა ვერ ახსნეს „პირამიდისა“ და „ცეცხლოვანი სვეტის“ ურთიერთკავშირი, რის გამოც მოიხიწყეს ეს ფაქტი და სიტყვა „პირამიდის“ წარმოშობის ახალ ვერსიებს ეძებენ. არადა ძველ ბერძნებს ზუსტად ის სახელი დაურქმევიათ პირამიდისთვის, რასაც იწვევდა ის. ანუ ამ სიტყვის არსში აშკარადაა მითითებული შენობის დანიშნულება. ისტორიაში არაფერი იკარგება. არც ეს ცოდნა დაკარგულა, უბრალოდ ეს ცოდნა იკითხება ძველი ეპოქის აზროვნების გათვალისწინებით, რაც ძალზე იშვიათად გვხვდება დღეს.

„სვეტი“ - ციდან მინამდე ჩამოსული ტორნადოს ფორმა.

„ცეცხლოვანი სვეტი“ - ტორნადოს ერთ-ერთი სახეა.

ვინაიდან ტორნადოს წარმოშობა ელქექის ღრუბლებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ხშირია ღრუბლის შიდა გაელევა, რაც ტორნადოს ყელს განათებული ცეცხლოვანი სვეტის სახეს აძლევს. ტორნადოსთან დაკავშირებულ ელექტრულ მოვლენებზე მოგვიხსენიებს რუსი მეცნიერი დ. ვ. ნალიცკინი⁷:

„1890 წ. 19 აგვისტოს მომხდარი ცნობილი ტორნადოს, სახელწოდებით ეუ-ს მოქმედებისას ცეცხლოვანი სფეროები არაერთგზის იქნა შემწნეული. ტორნადოს დედა ღრუბლის

საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნისას თან ახლდა მრავალი ცეცხლოვანი სფერო. პაერი იმდენად იყო დამუხტული ელექტრობით, რომ ერთ-ერთი შენობის წინ მდებარე რკინის გოსოსები ნაპერწკლებს ყრიდა. შვეიცარიაში ტორნადოს მოქმედებისას ცეცხლოვანი სფერო გატეხილი ფანჯრიდან სახლში შეიჭრა, სადაც ორი ბავშვი იმყოფებოდა. ცეცხლის ფერი, მუსტისოდენა ბურთი აუჩქარებლად მიკურავდა პაერში და უახლოვდებოდა ბავშვებს. შემონებული ბავშვები მეორე ოთახში გაიქცნენ. პატარა მავიდის ქვეშ დაიმალა, დიდი მის გარშემო დარბოდა. ცეცხლოვანი სფერო კი ბავშვებს მიპყვებოდა, შემდგომ ოთახი გადაკვეთა და დერეფნის გავლით ქუჩაში გაცურა კვალისა და ხმაურის გარეშე.

სხვა ელექტრული მოვლენები, რომლებიც თან ახლავს ტორნადოს – არანაკლებ შთაშვებდაეია. ხანდახან უნრო და განიერი გაელეებები ტორნადოს წრეში აქცევის. ხან მთელი მისი გარეკანი განათებულია უცნაური ყვითელი ნათებით. არის შემთხვევები, როცა ტორნადოს დედა ღრუბელში მოჩანს ცეცხლოვანი სფეროს მსგავსი მოლურჯო წარმონაქმნები, მაგრამ გაცილებით დიდი ზომებისა და გაბნეული შემოსაზღვრულობით. ხანდახან ყალიბდება ცეცხლოვანი სვეტები, რომლებიც ნელ-ნელა გადაადგილდებიან (Frankenfield, 1896). ატმოსფეროს ელექტრობასა და ტორნადოს შორის კავშირი ქეშმარიტად არსებობს. მაგრამ მისი ბუნება ბოლომდე არ არის შესწავლილი. არ უნდა დაევიწყოთ, რომ სხვადასხვა ნაწილაკის, პირველ რიგში კი მტვრის ხაზუნი ტორნადოს შიგნით აღწევს უწყველო ზომებს და ძლას. ხაზუნი კი ელექტრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ტორნადოს ელქექის ღრუბელში არსებული ელექტრომოვლენები წარმოადგენენ ერთგვარ პულსურ გენერატორს (pulse generator), რომელიც აღწერილია ჯონსის ნაშრომებში (Jones, 1965). ეს ერთგვარი ელექტრული აქტივობის ცენტრია, რომელიც მოჩანს ტორნადოს ღრუბლებში მომრგვალებული ლაქების სახითა და ღია ცისფერი შეფერილობით. იგი ჩნდება ტორნადოს დაწყებამდე 30-90 წუთით ადრე. თავის ბოლო სტატიაში ვონეგუტს (Vonnegut a. Meyer,

1965) მოაყვას „განათებული სვეტების“ ღამის ფოტოგრაფია, რომლებიც ფორმით ტორნადოს ნააგავდნენ და ელექტრის ღრუბლის სიახლოვეს მდებარეობდნენ. „განათებულ სვეტებს“ ოთხი ტორნადო მოაყვებოდა თან.



სურ. 17. განათებული სვეტები ტორნადოს მახლობლად, ტოლედო, ოჰაიო, 1965 (Vonnegut, 1960).

ვონეგუტი თვლის, რომ სვეტები კავშირში იყვნენ ტორნადოსთან, და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს – „ელექტრულ ძალებსა და ელექტრულ გახურებას შესწევს უნარი მისცეს სანყისი ტორნადოს“ (Vonnegut a. Meyer, 1966, p. 68.) ძალზედ სანტიერესოა ვონეგუტის მონათხრობი თვითმხილველთა მიერ ტორნადოში ნანახი მნათობი მოვლენების აღწერილობის შესახებ: „ცეცხლოვანი სფეროები... გაელვებანი... მოყვითალო-თეთრი... ნათელი გარსის... განუწყვეტელი სიკაშკაშე... ცეცხლოვანი კოლონა ... მანათობელი კოლონა... რგოლის ფორმის სიკაშკაშე... მნათობი ღრუბელი ცეცხლის აღის ფერი... მუტი ლურჯი ფერის მოტრიალუ ზოლები... ლურჯი ფერშკრთილი ნისლოვანი ზოლები... აგურისფერი წითელი კაშკაში... მბრუნავი მანათობელი ბორბალი... ფეთქებადი ცეცხლოვანი ბურთები... ცეცხლოვანი ნაკადი... მანათობელი ლატები...“

როგორც ხედავთ, თვითმზილველები, ასევე მეცნიერები ტორნადოს დაბასიათებისას იყენებენ სიტყვებს: ცეცხლოვანი კოლონა, მანათობელი კოლონა, ცეცხლოვანი სვეტი.


აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ძველ ბერძნებს «ცეცხლოვანი სვეტი» დაერქმიათ, როგორც ტორნადოსათვის, ასევე იმ შენობებისთვისაც, რომელზედაც იხილეს დაშვებული «ცეცხლოვანი სვეტი» ანუ ტორნადო.

ატმოსფეროში დადებითად და უარყოფითად დამუხტული ჰაერის ნაწილაკები დიდძალი ენერჯის დაგროვების შემთხვევაში მიიზიდებიან ერთმანეთისაკენ. მათი შეჯახებისას წარმოიშეება ქვეა-ქუხილი — გაღვება. ეს ღრუბლებში დაგროვილი ენერჯის განმუხტვის — გარდაქმნის ერთ-ერთი სახეა. არსებობს ელქექის ღრუბელში დაგროვილი ენერჯის გარდაქმნის სხვა სახეებიც. ერთ-ერთი მათგანია აღნიშნული ენერჯის ტორნადოს სხეულში გარდაქმნა.

ატმოსფეროს მაღალ ფენებში ჰაერის იონიზაცია ძლიერია, ვინაიდან ეს პროცესი მზის სხივების პირდაპირი რადიაციის მეშვეობით ყალიბდება. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მინისპირა ფენებში ჰაერი ჩვეულზე მეტადაა დამუხტული. ასეთი პროცესი განსაკუთრებით გაზაფხულზე ხდება, როდესაც ტენიანი ჰაერის აღმავალი დენები ძალზედ სწრაფად მოემართებიან ცისკენ, ისინი განიცდიან ხახუნს დაღმავალი ჰაერის მასებთან შეჯახებისას. ხახუნი კი ხელს უწყობს ჰაერის ნაწილაკების დამუხტვას.

როგორც აღნიშნეთ, პირამიდა ინარჩუნებდა სიცივეს, რაც ხელს უწყობდა მის თავზე არსებული ჰაერის გაცივებას, რის გამოც ამ ფართზე ჰაერი არ განიცდიდა აღმავალ მოძრაობას. პირამიდის გარე ტერიტორიიდან კი პირიქით, გაზურებული ჰაერი ინტენსიურ აღმავლობას განიცდიდა ინტენსიურად აღმავალი ჰაერის მასები ხელს შეუშლიდნენ ღრუბელს მიღწეული გაცივებული ჰაერის მასების ზუსტად იმ ადგილზე დაბრუნებას, საიდანაც აღმართნენ ისინი ცაში. რის გამოც, ღრუბლის წინა ნაწილში შეიქმნებოდა მაღალი წნევა. გაცივებულმა ჰაერმა უნდა იპოვოს მინისკენ დასაბრუნებელი გზა. ამისათვის ღრუბლის წინამდებარე ჰაერის მასა პორიზონტალურ გადაადგილებას იწყებს დაბალი წნევის არისაკენ. ასეთი ადგილი კი პირამიდის თავზე მდგარი ღრუბლის წინა ფართი იყო. პორიზონტის ოთხივე მხრიდან აღნიშნული ღრუბლის მიმართულებით დაძრული ჰაერის მასებს შეჯახებისას

შეედლოთ სპირალისებური მოძრაობის წარმოქმნა და ამ სახით დაშვება ღრუბლიდან პირამიდის წვერისაკენ. პირამიდა ტემპერატურის არათანაბარი განაწილების შედეგად ახდენდა პაერის აღმავალი და დაღმავალი მასების გადაჯგუფებას განლაგებით: დაღმავალი პაერის სვეტი – პირამიდის თავზე, აღმავალი – პირამიდის გარშემო ტერიტორიაზე. ასეთ მდგომარეობაში დაღმავალი და აღმავალი პაერის მასების შეჯახების ანუ ხახუნის წერტილები, პირამიდაზე არსებული დაღმავალი პაერის სვეტის გარეკანი იქნებოდა. საპირისპიროდ მოძრავი პაერის დენების სიჩქარის გაზრდას ხახუნის გაძლიერება და პაერის ელექტრული დამუხტვა მოჰყვებოდა, რის შედეგადაც პირამიდის თავზე არსებული პაერის სვეტი განათებული კოლონის სახეს მიიღებდა. ტორნადოს სვეტის ამდაგვარი განათების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. კიდევ ერთხელ მოვიყვანო ვონეგუტის სიტყვებს: „ელექტრულ ძალებს და ელექტრულ გახურებას შესწევს უნარი, მისცეს საწყისი ტორნადოს“.



სურ. 18. დენის ხაზები ტორნადოს ცენტრში დიამეტრის ზრდის მიხედვით.

როგორც ცნობილია ტორნადოს შიგნით არსებული პაერის სწრაფი სპირალისებური მოძრაობა ითრეფს როგორც სვეტის გარე, ასევე სვეტის შიგნით მდებარე პაერს. სიჩქარეთა მატება სვეტის დიამეტრის გაზრდას უწყობს ხელს (სურ. 18). ტორნადოს დიამეტრის გაზრდით ცენტრში არსებული პაერი მბრუნავ რგოლში სრულად გაინოვება, რის გამოც ცენტრში პაერი იშუიათდება, ნნევა უკიდურესად ეცემა. მინას ან წყალს მიღწეული ტორნადო პაერის ნაწილს პერიფერიებში განდევნის, მეორე ნაწილი კი, ტორნადოს ცენტრში ხვდება და იქ არსებული დაბალი წნევის გამო უზარმაზარი სისწრაფით მიემართება ცისკენ. პაერის ამ მასას ნებისმიერი საგანი თუ სხეული ვერტიკალურად აჰყავს ღრუბლამდე.

ღრუბელს მიღწეული საგნები და სხეულები ახლა უკვე პორიზონტალური მიმართულებით აგრძელებენ მოძრაობას. კვლავ მინაზე ისინი შეიძლება ტორნადოდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით აღმოჩნდნენ.

პაერის მასების ზემოაღწერილი ვერტიკალურად ურთიერთსაპირისპირო მოძრაობის ჩამოყალიბება, გადაჯგუფება და მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ წყნარ ამინდშია შესაძლებელი. უცვრად ამოვარდნილმა პორიზონტალურმა ქარმა, შესაძლოა ჩაშალოს ტორნადოს დაბადების პროცესი.

ტორნადოს ჩამოყალიბების წინა პერიოდს თვითმხილველები ახასიათებენ, როგორც წყნარ, უქარო ამინდს ანუ სრულ შტილს. თვითმხილველთა ამდაგვარი აღწერა ჩვენი თეორიით აღწერილ პროცესებს ემთხვევა. ვინაიდან ქარის ამოვარდნის შემთხვევაში პირამიდის თავზე ვერტიკალური დაღმავალი პაერის სვეტის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა, შესაბამისად ჩაიშლებოდა ყველა შემდეგი პროცესი ტორნადოს ჩამოყალიბების ჩათვლით.

ბუნებრივია, აღნიშნული მასალის გაცნობისას იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ტორნადო პირამიდის ან კლდის გარეშე ჩამოყალიბდეს?

ცივი და ცხელი პაერის მასების შეჯახებისას ელქექის ღრუბელში მოხვედრილი ორთქლი სწრაფ კონდენსაციას განიცდის, რაც იწვევს ძლიერი ელექტროვლებების გაჩენას. ფარული სითბო, რომელიც ორთქლის კონდენსაციისას გამოიყოფა, მკვეთრად ზრდის ღრუბლის შინაგან ენერგიას, რაც ღრუბელში იწვევს ფართომასშტაბიან გრიგალურ მოძრაობას.

შეცნიერები ტორნადოს წარმოქმნელ ელქექის ღრუბელში არსებულ ენერგიას რამდენიმე ატომური ბომბის აფეთქების შედეგად გამოყოფილ სითბური ენერგიის სიდიდეს ადარებენ. ასეთი ენერგიის მფლობელ ღრუბელს თავად შეუძლია შექმნას დაღმავალი პაერის სადინარი ყელი, დაეშვას ამ ყელში და დაგვირგვინდეს ტორნადოს წარმოქმნით ყოველგვარი ე. წ. დამაჩქარებლის გარეშე. მსგავსი წარმოშობის ტორნადო დაფიქსირდა ბათუმში 2002 წელს (სურ. 19. ა. ბ.). რაც შეეხება პირამიდას, იგი თავის ქმედებით ტორნადოს ღრუბელში მიმდინარე პროცესებს დამატებით სტიმულს მატებს, რითაც განსაზღვრავს ტორნადოს სწრაფ ჩამოყალიბებას და მის მიმართულებას – ღრუბლიდან პირამიდისაკენ. ე. წ. დამაჩქარებლის გარეშე ტორნადოს ჩამოყალიბების პროცესი გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, რის განმავლობაშიც მის წარმოშობას შეიძლება დაასწროს ელქექმა, სეტყვამ, ნალექებმა და ამ მოვლენებთან ერთად ჩამოყალიბდეს თავად ტორნადოც. არ არის გამორიცხული,

ტორნადოს წინ დანეებულმა აღნიშნულმა კლიმატურმა პროცესებმა, ელქექის ღრუბელში დაგროვილი ენერჯია იმდაგვარად შეამკიროს, გამოანთავისუფლოს, რომ ტორნადო საერთოდ აღარ განხორციელდეს.



სურ. 19 ა, ბ. ბათუმის ტორნადო, 2002 წ.

ჩემი აზრით, ტემპერატურის არათანაბარი განაწილება, ანუ ე. წ. დამახინჯებლები ასეთ შემთხვევაში ხელს უწყობენ - აჩქარებენ ელქეტის ღრუბელში არსებული ენერჯის ტორნადოში გადაზრდას და არა სხვა სახით გამოთავისუფლებას.

თუ ეს მოსაზრება საფუძვლიანია, მაშინ პლანეტის იმ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს ტემპერატურის არათანაბარი განაწილების ობიექტები ანუ ე. წ. დამახინჯებლები (კლდე, კანიონი, ქვაბული...) შედარებით ხშირად უნდა ხდებოდეს ტორნადოს წარმოქმნა.

მეტეოროლოგები აშშ-ში მომხდარი ტორნადოების დახასიათებისას ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ კონტინენტზე ისინი ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოიშევაბა შუა შტატებში, იქ, სადაც „კლდოვანი“ მთიანეთის აღმოსავლეთის მხარეს მექსიკის ყურიდან და კარიბის ზღვიდან შესული ტენიანი ჰაერია გაბატონებული, საქართველოდან ძნელი სათქმელია, ზუსტად როგორი წარმოშობისაა ამერიკის შუა შტატებში მომხდარი ტორნადოები, და ასრულებს თუ არა რაიმე როლს მათ გაჩენაში იქ მდგარი კლდეები. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: იქ, სადაც ნელინადში 200-დან 600-მდე ტორნადო ყალიბდება, მათივე მონაცემებით, „კლდეებზე“ ფიგურირებს და „ტენიანი“ ჰაერიც.

ამერიკაში მომხდარი ტორნადოების ერთ-ერთ მიზეზად მეტეოროლოგები ცივი და ცხელი ჰაერის მასების შეჯახებას ასახელებენ. ტორნადოების ჩამოყალიბება, მართლაც, შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული პროცესის ძალით. რის თაობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ამასთან ერთად, აღსანიშნავია შემდეგი - ცივი და ცხელი ჰაერის შეჯახების პროცესი, შესაძლოა, არ გამოირიცხავდეს ტორნადოს ჩამოყალიბებაში კლდის მონაწილეობის ფაქტორს, არამედ კლდე, ე. ი. ტემპერატურის არათანაბარი განაწილება, შესაძლოა, თამაშობდეს დამატებითი სტიმულატორის როლს ტორნადოების გაჩენისკენ მიდრეკილ ამერიკის კლიმატისთვის. ამერიკის კლიმატის მგავსად, ძველ ეგვიპტეშიც ძალზე ხშირად ხდებოდა ცივი და ცხელი ჰაერის მასათა შეჯახების ფაქტები. ამის დასამოწმებლად კვლავ ისტორიას მივმართოთ. ჩანანერი ეკუთვნის ბრიუსს¹:

„აბიდოსში დილა ყოველთვის ნათელია, და მზე ყოველთვის 9 საათზე ანათებს. პორიზონტზე ჩნდება მცირე ზომის ღრუბელი, ოთხი ფუტის სიგანის, რომელიც თითქოს რაღაც ღერძის გარშემო ტრიალებს, უახლოვდება ზენიტს,

თავდაპირველად ანულებს მოძრაობას, შემდგომში კი იცვლის სახეს და ერცელდება რა მთელს ატმოსფეროში, თითქოს ყველა შერიდან თავისკენ იზიდავს ორთქლს. ორთქლის ნაწილაკები იქცევიან ასეთივე ღრუბლებად და მაღლწვენი რა იგივე სიმაღლეს, ევჯახებიან ერთმანეთს დიდი ძალით და დაძაბულობით. ჩქარა მოძრავი უძძიმესი ღრუბლების მიერ დევნილი პაერი წინამდებარე ღრუბლების გროვასთან დიდ წნევას ქმნის. და როდესაც გადაადგილებისას ერთი გროვა ღრუბელი დაიკავებს მეორის ადგილს, მაშინ გაისმის საშინელი ქუხილი, როგორც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, ხოლო მას წეიმა მოჰყეება. რამდენიმე საათის განმავლობაში ცა ისევე იწმინდება ჩრდილო ქარის გამო, რომელსაც ერთობ უსიაშოვნო სიცივე მოაქვს“.

ბრიუსის მონაყოლში ორ ფაქტს გამოეყოფდი:

აღნიშნული პროცესები მიგვანიშნებს კლიმატის ადგილობრივი წარმოშობის არამდგრად სტრატოფიკაციაზე. რუსი მეცნიერი ხრომოვი ტორნადოს წარმოშობას სწორედ ატმოსფეროს ძლიერ არამდგრად სტრატოფიკაციას უკავშირებს“.

ბრიუსის მონაყოლში ასევე აღსანიშნავია ჩრდილოეთიდან მონაბერი ცივი ქარის ხსენება. აღნიშნულ ქარს შემდეგი გარემოება განსაზღვრავს: ევკოპტეს მთელს სიგრძეზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ შრიდან გასდევს მათთა სისტემა. აღნიშნულ მთებს შორის იქნება ერთგვარი „დერეფანი“. სწორედ ამ დერეფანში გაბატონებულია ჩრდილოეთიდან მოძრავი ცივი ქარი. ნყალდიდობის პერიოდში ცაში აღმავალი თბილი, ტენიანი პაერის მასის ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ცივი პაერის მასასთან შეჯახება ორთქლის სწრაფ კონდენსაციას გამოიწვევდა. ასეთი პროცესი კი ღრუბლების სწრაფ ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. ორთქლის კონდენსაციის სისწრაფე კი როგორც აღნიშნეთ, განსაზღვრავს ღრუბლის შიგნით ძლიერი ელექტრული ველუბის გაჩენას, რაც ტორნადოს ჩამოყალიბებას დიდად უწყობს ხელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძველ ევკოპტეში არსებობდა ტორნადოს ჩამოყალიბებისათვის საჭირო ყველა პირობა: ტენიანი პაერი, ცივი და ცხელი პაერის მასათა შეჯახების ფაქტები, ტორნადოს სტიმულატორების ანუ ტემპერატურის არათანაბარი განაწილების ობიექტების არსებობა (კლდე, ხელოვნური კლდე-პირამიდა და ა. შ.).

დაახლოებით იგივე კლიმატური სიტუაციაა დღეს აშშ-ში: მექსიკის ყურიდან და კარიბის ზღვიდან კონტინენტი მარაგდება ქარბტენიანი ქაერით, კონტინენტის სიღრმეში აღინიშნება ჩრდილოეთის ცივი ქაერის მასების შემოჭრა და შეჯახება თბილ, ტენიან ქაერთან, კონტინენტზე მრავლადაა ტორნადოს ჩამოყალიბების სტიმულატორები ანუ ტემპერატურის არათანაბარი განაწილების ობიექტები (კლდეები, კანიონები, ქვაბულები და ა. შ.). შესაბამისად ხშირია ტორნადოს ჩამოყალიბების ფაქტები აღნიშნულ ტერიტორიაზე. დღესდღეობით ქარიშხლები და მათ შორის ტორნადო აშშ-ს ნოქერ პირველ სტიქიურ უბედურებად ითვლება. აღნიშნულმა სტიქიამ ამერიკაში ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ქვეყნის ეკონომიკა ყოველ წელს უზარმაზარ ზარალს განიცდის.

ტიქიკურ ლიტერატურაში ტორნადოს შემდეგნაირად ახასიათებენ: ყველა ტორნადო ელქეტის ღრუბლისგან წარმოიქმნება, ასეთ ღრუბელს ტორნადოს „დედა“ ღრუბელს უწოდებენ. მეცნიერთა აზრით ტორნადოს „დედა“ ღრუბელი – ეს პატარა ტროპიკული ქარიშხალია. ღრუბლის წინა ნაწილში მდებარე ქაერის პორიზონტალური მოძრაობა, ხოლო მისი უშუალო გაგრძელება ვერტიკალური სპირალისებური მოძრაობაა, რომელიც ეშვება დედამინამდე. ტორნადო შეისრუტავს და ცისკენ აღამალებს მტვრის, ქვიშის, წყალს, რაც მის ყელს მუქ შეფერილობას აძლევს. ტორნადოს სვეტის დიამეტრი რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევს. მექანიკის კანონის თანახმად, ტორნადოს სვეტში ბრუნვითი მოძრაობის სიჩქარე მატულობს და 200-300 მ/წ აღწევს. ასეთი დიდი ზომის მბრუნავი სიჩქარეები ავითარებენ ტორნადოში ცენტრიდანულ ძალებს, რაც ხელს უწყობს ტორნადოს ცენტრში წნევის დაცემას. ტორნადოს ღერძის გარშემო ქაერი გრიგალისებურ ვერტიკალურ მოძრაობას განიცდის. ტორნადო პორიზონტალურადაც გადაადგილდება სიჩქარით 30-50 კმ/სთ-ში სიჩქარით.

ცნობილია, როგორც რამდენიმე წუთის, ასევე რამდენიმე საათის ხანგრძლიეობის ტორნადოები. პორიზონტალურად იგი საშუალოდ 5-10 კმ-ზე გადაადგილდება. განსაკუთრებით შორ მანძილზე მავალნი არიან ამერიკის ტორნადოები, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში ტორნადოს 100 კმ-ის მანძილი დაუფარავს.

ტორნადო შეიქმნება დედამინის თითქმის ყველა რაიონში. განსაკუთრებით ხშირია მათი წარმოქმნა აშშ-ში.

განასხვავებენ ხმელეთის და წყლის ტორნადოებს. ამერიკის ოკეანეებში და ზღვებში მომხდარ ამ მეტეოროლოგიურ მოვლენას „სმერჩს“ ეძახიან, ხოლო ხმელეთზე „ტორნადოს“. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ სმერჩი წყალს და მასში მცხოვრებ არსებებს შეისროტავს, ხოლო ტორნადო მტვერს, მინას, სხვადასხვა საგანს, ცხოველებს, ფრინველებსა თუ ადამიანებს იტაცებს ცაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც წყალში დაბადებულ სმერჩს ხმელეთზე გადმოუნაცვლებია და პირიქით. წყალზე სმერჩი უმეტესწილად იმ პერიოდში ყალიბდება, როდესაც წყლის ტემპერატურა 27-28 გრადუსს აღწევს. თბილი წყალი წყალისპირა პაერს დიდი რაოდენობით ტენით ამარაგებს, რაც ტორნადოს ჩამოყალიბების საუკეთესო პირობაა. ტორნადოს მოახლოებისას ისმის უზარმაზარი ხმაური. ხმა წარმოიწმნება ქარისა და სხვადასხვა საგნების შეჯახებით. რაც შეეხება ტორნადოს პაერში ატაცების შესაძლებლობას, დაფიქსირებულია როგორც მცირე ზომისა და წონის ატაცება, ასევე 200-300 ტონამდე სიმძიმის საგნების აწევა პაერში, იმისდა მიხედვით, თუ რა სიმძლავრისაა ტორნადო ან მისი განვითარების რომელ ფაზაში მოექცა მის ცენტრში ესა თუ ის საგანი.

ყოფილა შემთხვევები, როცა ტორნადოს სამგზავრო მატარებლები და ხიდები აუტაცია პაერში, ასევე შეუნოვია და დაუცარიელებია ტბა, იქ მცხოვრებ თევზებთან და ქვეწარმავლებთან ერთად.

ყვებიან შემთხვევებს, როდესაც ტორნადოს ცენტრში მოხვედრილა სახლი. სახლის შიდა წნევას ვერ მოუსწრია ტორნადოში მყოფ დაბალ წნევასთან გათანაბრება, რის გამოც სახლი ბუშტივით გამსკდარა.

ასეთი შემთხვევა ტენესის შტატში დაფიქსირდა 1923 წელს:

დიასახლისი ორ ქალიშვილთან ერთად მაგიდასთან იჯდა. ეს ისე უცნაურად მოხდა, რომ ოჯახის წევრებმა ფეხზე წამოდგომაც კი ვერ მოასწრეს. სახლის კედლები და ქერი პაერში აიწია, მცირე ნაწილაკებად დაიშალა და გაფრინდა. დარწმუნდნენ, მაგიდა, დედა და ორი შვილი.

საერთოდ ადამიანთა გადაატანას ტორნადოს მიერ ზომავენ რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე ასობით მეტრამდე. გამონაკლის შემთხვევაში ადამიანთა გადაადგილება ტორნადოს მიერ კილომეტრებშიც იზომება.

ოკლაჰომაში ტორნადომ ფერმა დაანგრია. აიტაცა ორი ქალი, რომლებიც 3 კილომეტრის დაშორებით მკვდრები იპოვეს.

1927 წლის 12 აპრილს არკანზასში ტორნადომ აიტაცა ბავშვი, რომელმაც 4,5 კილომეტრი იფრინა და უცნებლად დაეშვა მინაზე.

ძალზედ ხშირია ასევე ტორნადოს მიერ ცხოველების გადაადგილების ფაქტები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ტორნადოს ზღვების, ტბების და ქაობების ზედაპირებიდან შეუსრუტავს მიკროორგანიზმები, თევზები, ბაყაყები, თაგვები... რის შემდეგაც ამ ადგილიდან ათობით კილომეტრის დაშორებით წვიმასთან ერთად ციდან მიწაზე ცვიოდა თევზების, ბაყაყების, თაგვების და სხვათა სხეულები.



სურ. 20 ა. ბაყაყების წვიმა, 1549 (Gudger, 1922, p. 84).



სურ. 20 ბ. თევზების წვიმა, 1555 (Gudger, 1929, p. 3).

პირამიდების მშენებლობა

თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით აღჭურვილ ცივილიზებულ მსოფლიოს უკვირს, როგორ შეძლეს ეგვიპტელებმა ამწეებისა და ქვის სათლელი დანადგარების გარეშე ასეთი სიზუსტის და უზარმაზარი ფორმის მქონე შენობების აგება. პეროდოტემ პირამიდის მშენებლობის შესახებ შემდეგი ინფორმაცია დაგვიტოვა¹¹:

„მაშ ასე, მეფე რამსისინიტის დრომდე, მიყვებოდნენ შემდეგ მოგვები, კარგი კანონების დროს ეგვიპტემ მიაღწია უდიდეს აყვავებას. მაგრამ მისმა მემკვიდრემ ხეოფსმა ქვეყანა უბედურებასა და ქაოსში შეიყვანა. მან ბრძანა დაეხურათ სალოცავები და აკრძალა მსხვერპლთშენიერვა. შემდეგ აიძულა ყველა ეგვიპტელი ემუშავა მასზე, ისინი იძულებულნი იყვნენ გადმოეტანათ ქვის უზარმაზარი ლოდები არავის მთების ქვის სათლელელებიდან. მდინარეზე ქვები გემებით გადმოქონდათ, სხვებს კი ნაბრძანები მქონდათ ეზიდათ ქვები ეგრეთწოდებული ლიბის მთებამდე. ასი ათასი ადამიანი ასრულებდა ამ სამუშაოს. ისინი იცვლებოდნენ ყოველ სამ თვეში. ათი წელი მოუნდა განვალებული ხალხი გზის აშენებას, რომელზეც ქვის ლოდებს ეზიდებოდნენ. ეს სამუშაო, მე მგონი თითქმის ისეთივე დიდი იყო, როგორც თავად პირამიდის მშენებლობა. გზა ხომ სიგრძეში 5 სტადიისა იყო, ხოლო სიგანეში 10 ორგისა, ყველაზე მაღალი ადგილი 8 ორგის სიმაღლის იყო. გზა აშენებულ იქნა გამოთლილი ქვებისაგან, რომლებზეც ფიგურები იყო გამოსახული. ათი წელი გრძელდებოდა ამ გზის და მინისქვეშა განსასვენებლის მშენებლობა ბორცვზე, სადაც დგანან პირამიდები. ამ განსასვენებელში ხეოფსმა მოახწო თავისი სამარხი კუნძულზე, გაიყვანა რა მთაზე ნილოსიდან არხი. თავად პირამიდის მშენებლობა გრძელდებოდა 20 წელი. ის ოთხმხრივია და აგებულია გამოთლილი ქვებისგან, რომლებიც ძალზედ ზუსტად არის მორგებული ერთმანეთზე. ყველაზე დიდი ქვის სიგრძე 30 ფუტი იყო.“

აღსანიშნავია, რომ ბერძნებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქალაქებში განსხვავებული სიგრძის საწოში ერთეულები ჰქონდათ. ამიტომ ძნელია განსაზღვრო, თუ ზუსტად რამდენ მეტრს უდრის მათი იმდროინდელი სიგრძის ერთეული. ასევე აღსანიშნავია ის, რომ ნყლის არხი არსებობს იმ პირამიდის გარშემო, რომელსაც ჩვენ ხეფრენის პირამიდას ვეძახით. ხოლო პეროფოტე რატომღაც არხის მქონე პირამიდას ხეოფსისას ეძახის.

მოუსმინოთ კვლავ პეროფოტეს:

„აშენებული კი იყვნენ პირამიდები ასე. თავიდან ის მიდოდა კიბის სახით, რომელსაც სხვები საფეხურებს ეძახდნენ. ჯერ დადგეს ქვების პირველი რიგი. ახალი საფეხურების შესავესები ქვები აპქონდათ ხისგან შეკრული მონყობილობების მეშვეობით. ასე აპქონდათ მინიდან ქვები კიბის პირველ საფეხურზე. იქ ალაგებდნენ ქვებს სხვა ხის მონყობილობაზე, რითაც აპქონდათ ქვები ახალ საფეხურზე. რამდენიც იყო საფეხურების რიგი, იმდენი იყო ხის ამნე მონყობილობები. შეიძლება ყოფილიყო სულ ერთი მონყობილობა, რომელიც ბლოკის აწევის შემდეგ, დიდი ჯაფის გარეშე აპქონდათ ახალ საფეხურზე. მე შემატყობინეს ორივე საშუალებაზე – ამიტომაც მომყავს ორივე მაგალითი. ასე ამგვარად, ჯერ იყო დამთავრებული პირამიდის ზედა ნაწილი, შემდეგ დაამთავრეს შუა ნაწილი და ბოლოს მიწაზე მდებარე ყველაზე ქვედა საფეხურები“.

ეგვიპტელ მოგვებს მოუყოლიათ პეროფოტესთვის ის, რომ პირამიდის მშენებლობა ფარაონს 1600 ტალანტი დაჯდომია. ეს ინფორმაცია პეროფოტეს მოგვებმა პირამიდის ძირში კედელზე ამოუკითხეს.

1600 ტალანტი, ზოგიერთი მონაცემით, დაახლოებით 5000 კგ. ოქროს უდრის. აქედან გამომდინარე, იმ დროს 1 ტალანტი ძალზე დიდად ფასობდა.

პეროფოტე ყვება გიზეს სამივე პირამიდის შესახებ. ამის შემდეგ პეროფოტე მხოლოდ ფარაონ მიკერენის შეილის, ასინისის პირამიდის მშენებლობას ეხება. მას შემდეგ კიდევ ერთმა ეგვიპტელმა იმოგზაურა ეგვიპტეში და პირამიდების მშენებლობის შესახებ ინფორმაცია დაგვიტოვა. ეს მოგზაური გახლდათ დიადორ სიცილიელი (I ს. ჩვ. წ. აღ-მდე)

მისი აზრით პირამიდები აშენებული იყო მონაყრილის მეშვეობით, ვინაიდან ამავე მონაყობილობები იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული. როგორც ვხედავთ, დიადორი მშენებლობის პროცესს სხვანაირად აღწერს, ვიდრე შეროდოტე. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, პირამიდები აშენებულია. ძველმა ეგვიპტელებმა შეძლეს იმ დროისთვის წარმოუდგენელი სიძნელის შენობის აგება, ყველაზე დიდ ხეოფსის პირამიდაზე მშენებლებმა 2300000 უძძიმესი ქვის ბლოკი გამოიყენეს.

თანამედროვე პრესაში გავრცელდა ინფორმაცია პირამიდის ერთ-ერთ ბლოკში ნაპოვნი ადამიანის თმების შესახებ. ეს ფაქტი აღმოჩნდა პირამიდების მშენებლობის ახალი ვერსიის საფუძველი. ვერსიის ავტორთა მოსაზრებით, პირამიდის სამშენებლო ბლოკები არაა კლდეებიდან გამოთლილი, არამედ ადგილზეა ჩამოსხმული.

ჩემი აზრით, ამ ვერსიის შემონახვა ძალიან იოლად შეიძლება. კლდედან უნდა ამოიჭრას ზუსტად იმ მოცულობის ერთი ბლოკი, როგორც პირამიდის ბლოკია და ორივე აინთოს. თუ ორივე მათგანი კლდედანაა ამოჭრილი, მაშინ მათ წონას შორის სხვაობა არ იქნება. ხოლო თუ პირამიდის ბლოკი ხელოვნურად არის ჩამოსხმული, მაშინ მის წონასა და ბუნებრივი კლდის ბლოკის წონას შორის სხვაობა უნდა იყოს.

დასაფიქრებელია შემდეგი გარემოება: ფარაონ სნეფრუს თეთრი პირამიდის გარშემო ჩამოყრილია უამრავი ქვის ბლოკი. სნეფრუს პირამიდის შემდეგ მრავალი პირამიდა აშენდა, მაგრამ არცერთი ჩამოყრილი ბლოკი მშენებლებს არ გამოუყენებიათ.

ამ ფაქტს შეიძლება ორი ახსნა მოვუძებნოთ: 1. შესაძლოა, ეგვიპტელთათვის, რელიგიური მოსაზრებიდან გამომდინარე, აკრძალული იყო სხვისი სამარხის ბლოკების გამოყენება; 2. შესაძლოა, მათ გაცილებით უფრო ადვილი ტექნოლოგია ჰქონდათ ბლოკის დამზადებისა და სნეფრუს პირამიდიდან გამზადებული ბლოკების ზიდვა უფრო შრომატევად საქმედ მიაჩნდათ.

თუ მათ მართლაც ჰქონდათ ბლოკების ჩამოსხმის ტექნოლოგია, მაშინ პასუხი გაეცემოდა შემდეგ კითხვებს:

როგორ ზიდავდნენ უძძიმეს ბლოკებს პირამიდაზე?

როგორ ასწრებდნენ პირამიდის აშენებას განსაზღვრულ დროში?

რატომ არ გამოიყენეს სნეფრუს პირამიდის გარშემო დაყრილი ბლოკები?

საქმე იმაშია, რომ ადგილზე ბლოკების ჩამოსხმა გაცილებით ნაკლებ ძალას და დროს საჭიროებს, ვინაიდან ნყლის, ქვიშისა და ცემენტის

მსგავსი ხსნარის ცალკადაც ზიდვა პირამიდაზე გაცვილებით უფრო მსუბუქი სამუშაოა, ვიდრე კლდიდან ჯერ ბლოკის ამოთლა და შემდეგ ბლოკის ატანა პირამიდაზე.

შესაძლოა, ძველ დროში ბლოკების ჩამოსხმის ტექნოლოგიის არსებობა ფანტასტიკის საფეროს განეკუთვნებოდეს... მით უმეტეს, რომ ისტორიული ჩანაწერები მშენებლობაში სწორედ კლდიდან ამოჭრილი ბლოკების გამოყენებას ადასტურებენ და არა ბლოკების ჩამოსხმის ტექნოლოგიას.

პირამიდების მშენებლობას ეხება შემდეგი კითხვაც. რატომ ააშენეს ეგვიპტელებმა ყველა პირამიდა მდინარე ნილოსის მარცხენა სანაპიროზე?

მდინარე ნილოსის მარჯვენა სანაპიროს უმეტეს ნაწილს მთის მასივი ემიჯნება, ხოლო მარცხენა სივრცე დაბლობითაა წარმოდგენილი (იხ. სურ. 15, გვ. 30). ნყალდილობისას, ბუნებრივია, წყლის უმეტესი ნაწილი მდინარე ნილოსის მარცხენე არსებულ დაბლობზე გაერჯელდებოდა. ჩემი აზრით, სწორედ ამან განაპირობა პირამიდების იმ მხარეს აშენება, საითაც ნილოსის წყალი შედარებით დიდ ფართზე ვრცელდებოდა. თუ რაოდენ საჭიროა წყლიდან აორთქლებული ტენი პირამიდებისათვის, ამაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება პირამიდების თითქმის ერთი მანძილით მდინარიდან დაშორებას, მდინარე ნილოსის მარცხენა სანაპიროზე ნოყიერი, ფხვიერი ნიადაგია, რაც პირამიდის შენობის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ხოლო რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდინარეს ერთიან ზოლად მიყვება კლდოვანი ნიადაგი, რაც კარგ საძირკველს წარმოადგენს მრავალტონიანი პირამიდის მშენებლობისათვის.

პირამიდის მშენებელი ეგვიპტელი არქიტექტორები მათემატიკის კარგი მკოდნეები იყვნენ. მოსკოვში პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში ინახება პაპირუსი, სადაც მოცემულია ამოცანათა კრებული. ასეთივე სახის პაპირუსი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში, რომლის სახელწოდებაცაა „საგნების ყველა საიდუმლოს შესასწავლი სახელმძღვანელო“. აღნიშნული სახელმძღვანელოები ეგვიპტელთა მათემატიკური აზროვნების მაღალ დონეზე მეტყველებს. მათ ნახევარსფეროს ფართის გამოანგარიშება შეეძლოთ. მათი რიცხვითი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეგვიპტურ გეომეტრიაში π რიცხვი უკვე ცნობილი იყო და იგი 3.16 უტოლდებოდა. მათი ციომილება ჩვენს ცოდნასთან შედარებით 0.02 -საა.

სხვა რითული ამოცანა, რომელიც ეგვიპტელებს ამოხსნილი ჰქონდათ ზემოაღნიშნულ ჩანაწერებში, არის ნაკვეთილი პირამიდის ფართობის გამოანგარიშება. ამოცანის ამოხსნის მიმდინარეობა გადმოცემულია ისეთი სოფუსტით, რომელიც უდებდა თანამედროვე გეომეტრიის ფორმულირებაში.

პირამიდის ზეგავლენა გარემოზე

პირამიდის აშენებით მოხდა მილიონობით ქვის ბლოკის ერთ ადგილზე შეგროვება — კონცენტრაცია. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია ტემპერატურის არათანაბარი განაწილება მიწაზე. მან, თავის მხრივ, მოახდინა ალმავეალი და დაღმავალი ჰაერის მასების გადაჯგუფება, რასაც მოჰყვა ნნევათა არათანაბარი გადანაწილება და ა. შ. ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული. ასეთმა ჯაჭურმა რეაქციამ შეიძლება მოგვეცეს ისეთი საზიანო-ანომალური მოვლენები, რომელთა ახსნასაც ჩვენი გონება ვერ სწვდება. ამიტომ ადამიანები უნდა მოვერიდოთ ბუნებაში არსებული ნონასწორობის დარღვევას, ენერგიათა ხელოვნურად გადაჯგუფებასა და კონცენტრაციას. ეს ბუნებისთვის ზიანის მომტანია, ერთი ენერგიის კონცენტრაცია იწვევს მეორე ენერგიის ამოქმედებას, რომელიც მუშაობს ენერგიათა გათანაბრებაზე ანუ პირველის ჩვეულ ფორმაში დაბრუნებაზე. ეს არის დედამინის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის იმუნიტეტი, სწრაფვა სიცოცხლის შენარჩუნებისაკენ. ამის დაბდასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს პლანეტაზე ბოლო დროს მომხდარი მოვლენები. ადამიანის მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დიდი რაოდენობით ხარჯვას მოჰყვა ჰაერის დათბობა და დაბინძურება, რამაც მეცნიერთა დაკვირვებით ოზონის შრე დააზიანა, გაჩნდა ე. წ. ოზონის ხვრელი. ეს ფაქტი დაემუქრა დედამინაზე ცოცხალ არსებათა სიცოცხლეს. ამოქმედდა დედამინის იმუნიტეტი. ბოლო დროის დაკვირვებებით გაირკვა, რომ ეს ხვრელები პატარაედება და შესაძლოა, საერთოდ დაიხუროს.

როდესაც ვამბობთ, ამოქმედდა იმუნიტეტი, ჩვენ არ ვიცით, რა დაიხარჯა ოზონის ხვრელის დასახურად ანუ რა ფასად დაუჯდა ეს ქმედება დედამინას?.. რა ამოწმედდა?.. ეგებ ეს ხარჯიც ენერგიაა, რომელიც ჩვენ რაიმე სხვა სახით დაგვაკლდა... რაც შეეხება გაზომვებს და ამა თუ იმ სტიქიათა შეჩერებას, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, დანყებული სტიქი-

ის შეჭრება ადამიანის მიერ შეუძლებელია. ადამიანის ხელშეწყობით სტიქიების წარმოქმნის ფაქტები კი სამსუხაროდე არსებობს!.. ოზონის ხერხელის გაზრდის აღმოჩენის შემდეგ ადამიანებს ერთი რამ დაგვრჩა – „ნერვიულობა“ ამ ახალი პრობლემის გარშემო. ფერფერობით სხვა ყველაფერი ბუნებამ თვითონ მოაგვარა. ადამიანი ასეთ სტიქიასთან მიმართებაში უძლეურია. ისტორიაში სტიქიის შეჭრების ერთადერთი შემთხვევა ცნობილი.

მარკოზის სახარება ქარი და ზღვა ემორჩილებიან მას

„მავე დღეს, რომ მოსალამოდდა, უთხრა მათ: „გადაეცურით გაღმა“.

გაუშვეს ხალხი და წაიყვანეს იგი ნავით, რომელშიც იჯდა. მასთან სხვა ნავებიც იყო.

ამოუარდა დიდი გრიგალი, ტალღები ნავს ეხეთქებოდა, ისე, რომ ნავი უკვე ივსებოდა.

ის კი კიროზე იყო და სასთუმალზე ეძინა. გააღვიძეს და უთხრეს: „მოძღვარო, რომ ეილეუებით, ნუთუ არ გენაღვლეება?“

წამოდგა და შერისხა ქარი და უთხრა ზღვას: „დადუმდი, ჩაეექ!“ ქარი დაეცხრა და დიდი მყუდროება ჩამოდგა.

უთხრა მათ: „რატომ ხართ ასე მზადანი? რატომ არა გაქვთ რწმენა?“

მათ დიდი შიშით შეეშინდათ და ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „უნ არის ეს, ქარიცა და ზღვაც რომ მას ემორჩილება“.

ბუნება ღვთის მიერაა შექმნილი და იგია მისთვის იმუნიტეტის მიმცემი. ეგებ დაეუბრუნდეთ პირველწყაროს?.. იგი ხომ ასე ახლოს იყო ჩვენთან 2000 წლის წინ, მას შეუძლია ნებისმიერი სტიქიის შეჭრება.

არაფერი უკვალოდ არ ქრება. პირამიდის გარშემო შემოაღნიშნულმა კონცენტრაციებმა და ძალთა გადაუგვრებებმა შესაძლოა სხვა ანომალიებშიც გამოიჩინოს, მაგალითად, ჩვეულ გრავიტაციულ ძალათა

დარღვევამდეც მიგვიყვანოს. ყვებიან შემთხვევებს, როდესაც პირამიდის თავზე მფრინავეებს შეუშინევიათ ხელსაწყობის ჩართვა-გამორთვისა და უჩვეულო მუშაობის ფაქტები. ეს შეიძლება სრულიად რეალური იყოს. თვითმფრინავის ხელსაწყობები ხომ ჩვეული გრავიტაციული კანონების გათვალისწინებითაა შექმნილი და არა ანომალიურისთვის. ამბობენ იმასაც, რომ პირამიდაში დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდება ხორცი, არ იფანება რკინა, რაც სრულიად რეალურია, პირამიდა ხომ "მარნის" თვისების მატარებელია. ჩვენს მარანში შედარებით დიდი ხნის მანძილზე არ ფუჭდება პროდუქტი, ვიდრე სახლში. ეს იმით ახსნება, რომ მარანში ტემპერატურის ცვალებადობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მის გარეთ. ზოგიერთ ადგილზე პირამიდის შიდა ოთახის კედლების სისტემა 100 მეტრზე მეტს აღწევს, რის გამოც პირამიდის შიდა ოთახში ტემპერატურის ცვალებადობა მინიმუმამდეა დასული, ამიტომ იგი მარნის თვისებების საუკეთესო მატარებელია.

მუდვიანაში არის გამონათქვამი – „გვერდითი მოვლენები“, რაც ნიშნავს შემდეგს: მაგალითად, გამოიგონეს ლუიძლის ნამალი. მისი მოვლებისას ნამალმა შეიძლება სხვა ორგანოს გამოჯანმრთელებასაც შეუწყოს ხელი ან პირიქით, ნამალმა შეიძლება დააზიანოს რომელიმე სხვა ორგანო. ეს ტერმინი „გვერდითი მოვლენა“ მიიღო ეუნადო პირამიდის ძირითადის გარდა სხვა მრავალ გამოვლინებას. ჩემი აზრით, ეგვიპტელ მეცნიერებს პირამიდის გვერდითი მოვლენების უმეტესობა გათვითცნობიერებული პქონდათ.

ზოგიერთმა თანამედროვე მკვლევარმა სწორედ ე. ნ. „გვერდითი მოვლენები“ შეისწავლა ზედმიწევნით ზუსტად და პირამიდის შიგნით ამ ქმედების აღსრულებაში ხედავდა მის ძირითად დანიშნულებას.

ეგვიპტის გარე პირამიდები

პირამიდები, ეგვიპტის გარდა, სხვა ისეთ ქვეყნებშიც შენდებოდა, როგორცაა „მაია“ – დღევანდელი მექსიკა, გონდურასი, გვატემალა. არის თუ არა ეგვიპტურ და ამერიკულ პირამიდებს შორის რაიმე კავშირი?

მექსიკური პირამიდები, ეგვიპტურისგან განსხვავებით უგუფური განლაგებისაა. მათ საფუძვრებიანი ფორმის კედლები აქვთ. ყველაზე დიდ პირამიდა 4 საფუძვრისგან შედგება. მისი ფუძე დაახლოებით 520 X 520 მეტრისაა, ხოლო სიმაღლე 54 მეტრია.

მეცნიერები თვლიან, რომ ეს შენობები ტაძრის დანიშნულებასაც ასრულებდნენ. ზოგიერთ მათგანში მარხავდნენ მეფეებსა და მოგვებს. მკვლევარები მექაიკოს პირამიდების მშენებლობის დათარიღებაში საერთო აზრამდე ვერ მივიდნენ. ზოგი მათ მშენებლობას ჩვენი ნელთალრიცხვის პირველ ასწლეულს უკავშირებს, ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ ეს პირამიდები რამდენიმე ასწლეულით უფრო ადრეა აშენებული. ორივე შემთხვევაში მექაიკური პირამიდები ეგვიპტურთან შედარებით ძალზე ახალგაზრდები არიან. სხვაობა დაახლოებით 2000 წელს შეადგენს. იმისათვის, რომ დადგინდეს, იქონია თუ არა ეგვიპტურმა პირამიდებმა ზეგავლენა ამერიკული პირამიდების გაჩენაზე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა დადგინდეს, შესაძლებელი იყო თუ არა უძველეს დროში გემებით ოკეანის გადალახვა? პეროდოტიკიდან მოყოლებული მრავალი ისტორიული ჩანაწერი შემოგვრჩა, მაგრამ არცერთ მათგანში არ არის აღწერილი გემით ამდაგვარი მგზავრობის შესახებ. არც ეგვიპტიდან ამერიკაში და არც ამერიკიდან ეგვიპტეში... ამ თეორიის შესამოწმებლად გაისარჯა ცნობილი ნორვეგიელი მკვლევარი და მოგზაური ტურ პეიერდალი. მისი ბრძანებით 1969 წელს გიზეს პირამიდების გვერდით აშენდა 15 ტონიანი ნავი, რომელსაც ეგვიპტელთა მზის ღვთაების, „რა“-ს სახელი დაარქვეს. პეიერდალი მაროკოდან გავიდა ოკეანეში. 5.000 კილომეტრის გაცურვის შემდეგ მოგზაურებს ქარიშხალი დაატყდათ თავს. ეკიბატი იძულებული იყო დაეტოვებინა გემი. 1970 წელს პეიერდალმა მეორეჯერ სცადა ბედი, ამჯერად აშენდა გაუმჯობესებული აფრიკანი ნავი, სახელწოდებით „რა-2“. 7 მეგზურთან ერთად 1970 წლის 17 მაისს ნავი გავიდა ოკეანეში. 57 დღის შემდეგ მოგზაურები მოადგნენ ამერიკის სანაპიროს.

მთელი მსოფლიო ულოცავდა ტურ პეიერდალს და მის თანამგზავრებს ატლანტიკის ოკეანის გადალახვას.

რა დამტკიცდა ამით?

ის, რომ ოკეანის გადალახვა შეძლო ტურ პეიერდალის რაზმმა?

თუ ის, რომ ძველ დროში სხვადასხვა კონტინენტის ცივილიზაციებს უჭინდათ მიმოსვლა ოკეანის გავლით?

ოკეანის წარმატებით გადალახვის მოუხედავად, თავად ტურ პეიერდალმა ამ საკითხისადმი კონკრეტული დასკვნა ვერ გააკეთა.

ამ თეორიის შემსწავლელი მკვლევარები ასევენიან, რომ ამერიკაში კოლუმბოს წინა პერიოდის არქეოლოგიურ ნივთებს შორის არ არის ნაპოვნი

ეგვიპტური წარმოშობის არცერთი ნივთი, ან ისეთი ნივთი, რომელზეც იგრძნობა ეგვიპტური კულტურის და ტრადიციების ზეგავლენა. აქედან გამომდინარე, ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ეგვიპტისა და ამერიკის პირამიდები წარმოიშვნენ სავსებით დამოუკიდებლად, თავიანთი შინაგანი სულიერი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე და ამ ხალხთა შემოქმედებით პოტენციალზე დაყრდნობით.

ჩვენი თეორიის მიხედვით, ეგვიპტელებს პირამიდების აშენება მართლაც შინაგანმა სულიერმა მოთხოვნებმა და სტიქიონის ღვთაების რანგში აღვანამ უბიძგა.

შესაძლოა თუ არა, რომ მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებსაც გასჩენოდათ ასეთი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სტიქიონის ხელოვნურად გამოწვევაც ეფიქრათ? ჩემის აზრით, იმისათვის, რომ მექსიკელებს გასჩენოდათ ასეთი სწრაფვა, მათ ჯერ უნდა ენახათ ტორნადოს ფიზიკურად. ტორნადოს ნახვის საშუალება კი მათ ნამდვილად პქონდათ, ეინაიდან როგორც ზემოთ აღუნიშნეთ, ჩრდილო ამერიკის კონტინენტი ტორნადოების სიუხვით გამოირჩევა. არც ისაა გამორიცხული, რომ მექსიკური პირამიდები საერთოდ არ ატარებდნენ ტორნადოს გამოსანვეუ შენობის დანიშნულებას, ეინაიდან ეგვიპტური და მექსიკური პირამიდების ფორმათა შორის სავსაოდ საგრძნობი სხვაობაა (სურ. 21). ჩემი აზრით, ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს.



სურ. 21. მექსიკური პირამიდა.

პეროდოტეს ინფორმაცია.¹ მითი თუ რეალობა?

V საუკუნე ძრისტანს შოგამდე

„აქედან სესოსტრიისი უკან სამხრეთისკენ დაბრუნდა, მიუახლოვდა მდინარე ფაზისს, იქ დატოვა თავისი ჯარის ნაწილი. მე არ შემოძლია ზუსტად ვთქვა, მეფე სესოსტრისმა თავად დატოვა ამ ქვეყანაში თავისი ჯარის ნაწილი, თუ მგზავრობით გადაღლილმა ჯარისკაცებმა თვითნებურად გადამწყვიტეს მდინარე ფაზისზე დასახლება.“

კოლხები, როგორც ჩანს, ეგვიპტელები ყოფილან: მე ამას თვითონ მივხედი მანამ, სანამ სხეებისგან შევიტყობდი. დავინტერესდი რა ამ საკითხით, გამოკითხეას მივყავი ხელი როგორც კოლხეთში, ასევე ეგვიპტეში. კოლხებმა შეინარჩუნეს უფრო ნათელი მოგონებანი ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ეგვიპტელები მიყვებოდნენ, რომ მათი აზრით კოლხები არიან სესოსტრიისის არმიის შთამომავლები, თვითონ მეც ასეთ დასკვნამდე მივედი, იმიტომ, რომ ისინი შევგრემანები არიან და ხვეული თმები აქვთ. თუმცა ეს კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. ხომ არიან ასეთივე იერის სხვა ერებიც. გაცილებით უფრო საფუძვლიანია შემდგომი დასკვნები. მხოლოდ სამი ერია მინაზე, რომლებიც უძველესი დროიდან წინდაიცივითებოდნენ: კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპიელები. ფინიკიელები და სირიელები, რომლებიც პალესტინაში არიან, თვითონ აღიარებენ, რომ ამ წესწვეულებას დაესახნენ ეგვიპტელებს.

დავასახელებ კოლხებისა და ეგვიპტელთა თვისებრივი მსგავსების კიდევ ერთ ნიშანს. მარტო ისინი და ეგვიპტელნი ამზადებენ ქსოვილს ერთნაირი მეთოდით. ცხოვრების წესწვეულებანი და ენაც მათი მსგავსია“.

ნახილი II

იეროგლიფები

„პირველად იყო სიტყვა“

საუკუნეთა განმავლობაში ეგვიპტელები აშენებდნენ პირამიდებს, „რა“-ს მხედრის – ტორნადოს ფარაონთა სამარხზე მოვლინების მიზნით. კერპთაღვანისმცემელთა ღვთაების პირამიდაზე დაშვების ფაქტს ეგვიპტელები ეპოქის უდიდეს მოვლენად შერაცხავდნენ, აქედან გამომდინარე, შეიძლება დაეასკვნათ, რომ აღნიშნული უდიდესი მოვლენების ამსახველ ეპიზოდებს თვითმზილველები აუცოლებლად დააფიქსირებდნენ ეგვიპტურ ხელნაწერებში.

პირამიდისა და ტორნადოს ჩანახატების პოვნის იმედით შვეალე კარი უცხო და იფუძალებით მოსილ იეროგლიფების სამყაროში. ძიებისას დადგინდა, რომ პირამიდის კედლებზე შემორჩენილ იეროგლიფებში ეგვიპტელებს ტორნადოსა და პირამიდის ფიგურები ჩაუხატავთ². აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იეროგლიფებში ტორნადოსა და პირამიდის ფიგურები ერთმანეთის სიახლოვეს მდებარეობენ, რაც უთუოდ მიუთითებს მათ ურთიერთკავშირზე.



ხურ. 22.

ჩემი წარმოდგენით იეროგლიფებით ანუ ნახატებით ეგვიპტელები გადმოგვცემენ სიმბოლურ სიტყვით მნიშვნელობებს, ხოლო სიტყვათა გამოიძლევა ჩანურული წინადადების შინაარსს. როგორც შემდგომში გავარკვევ, ჩემი წარმოდგენა ემთხვევა ძველევგვიპტურ იეროგლიფთა ტრადიციული კითხვის მეთოდს ანუ სიმბოლურ მეთოდს, სადაც იეროგლიფებს ენიჭებათ სიმბოლური, იდეოგრაფიკული, მეტაფორული მნიშვნელობები.


ტორნადოსა და პირამიდების ურთიერთკავშირის ცოდნით და ტორნადოს მახასიათებელ თვისებაზე დაყრდნობით აღნიშნულ იეროგლიფებს მივანიჭე სიმბოლური სიტყვიერი მნიშვნელობები, რის შედეგადაც ცნობილი გახდა იეროგლიფის შინაარსი.

გაშაფრული იეროგლიფი ნარეადგინე სპეციალისტების წინაშე. კასუბად უარყოფითი შეფასება მივიღე. აღმოჩნდა, რომ მე ვარ არაკომპეტენტური, სხეანაირად რომ ვთქვათ, დილექტანტი, რომელსაც არაფერი ესაუბრება იეროგლიფებში. ჩემს მიმართ გაიფლურა მონოდებამ, ყური მეგდო შოფლიოში აღიარებული მეცნიერებისათვის, რომელთა მამამთავრად, ზემთვის მანამდე უცნობი ფრანგი მეცნიერი ფრანსუაზ შამპოლიონი დამისახელეს. როგორც შემდგომში გავარკვიე, თურმე XIX საუკუნეში აკადემიკოს შამპოლიონის მიერ 5000 წლოვანი ძველევგვიპტური სიმბოლური მეთოდი ანულირებული ყოფილა. ამხვე პერიოდში მას შეუქმნია იეროგლიფთა კითხვის სრულიად ახალი, ეგრეთწოდებული შერეული, ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდი, სადაც იეროგლიფთა უმეტესობას ენიჭება ფონეტიკური ანუ ასოთა მნიშვნელობები, ხოლო სიმბოლური მნიშვნელობის იეროგლიფების არსებობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

წარმოუდგენელია... როგორ შეიძლება XIX საუკუნეში გააუქმო, რამდენიმე ათასი წლის მანძილზე არსებული ეგვიპტური სიმბოლური მეთოდი?! ამის გაფიქრებაც კი უზარმაზარ პროტესტს ბადებდა. ასეთი დიდი ავტორიტეტის მქონე მონინააღმდეგეთა გარემოცვაში მყოფს მომინია იმ არგუმენტების მოძიება, რომლებიც დაიცავდნენ ეგვიპტური კითხვის მეთოდის სისწორეს და ნაკითხული იეროგლიფის შინაარსის უტყუარობას.

კავშირი მეცნიერებათა შორის

ზემოაღნიშნული იეროგლიფის ნაკითხული ტექსტის შინაარსის სისწორის შესამოწმებლად გამოვიყენე კავშირი სხვადასხვა მეცნიერებათა შორის: ენათმეცნიერება, ისტორია, თეოლოგია, მეტეოროლოგია. ეს არის ერთ მილიანობაში არსებული ფასეულობა, რომელსაც დედამინაზე არსებული ჩვენი გონება იტყვს. მათი კავშირით იკვრება წრე, რომელსაც პირობითად შეიძლება ადაშიანთა ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის ისტორია ეუნოდოთ (სურ. 23).




სურ. 23.


ნარმოვიდგინოთ ნრე, სადაც პირამიდა სამი სხვადასხვა კუთხით იქნება აღწერილი: I – იეროგლიფური, II – მეტეოროლოგიური და III – ისტორიული. ჩემი აზრით, რაოდენ განსხვავებული კუთხით არ უნდა აღწეროთ პირამიდის დანიშნულება, ყველა აღწერილობა ერთი და იგივე შინაარსისა, კენ უნდა იყოს მიდრეკილი.

ისტორია (III) – ნიგნის პირველ ნაწილში მოყვანილია ლეგენდა პირამიდის დანიშნულების შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია ლეგენდებით, ლექსებით თუ თხზულებებით გადმოცემული ამბები, რომლებიც ერთხმად იუწყებიან პირამიდიდან „რა“-ს მხედრის მიერ „კა“-ს ცაში აყვანის ფაქტს. მოცემულ ნრეში შევითანოთ ისტორიული ინფორმაციის მოკლე, ძირითადი შინაარსი: „რა“-ს მხედარმა პირამიდიდან ცაში აიყვანა „კა“.

მეტეოროლოგია (II) – პირამიდისა და კლიმატის ურთიერთკავშირს მიეძღვნა ნიგნის პირველი ნაწილი, სადაც აშკარად გამოჩნდა პირამიდის დანიშნულება. პირამიდა ინვევდა ტორნადოს, რომელსაც ცაში ატაცების უნარი გააჩნია. მოცემულ ნრეში შევითანოთ კლიმატსა და პირამიდას შორის განვითარებული მოვლენები. „ტორნადომ აიტაცა ცაში პირამიდიდან...“

იეროგლიფები (I) – რომელ იეროგლიფებში შეიძლება ვეძებოთ ინფორმაცია პირამიდის დანიშნულების შესახებ? ადამიანს სჩვევია რაიმე საგანს, დანადგარს, ობელისკს თუ შენობას ზედვე ნააწეროს მისი დანიშნულება.

აღნიშნული იეროგლიფი  სწორედ რომ პირამიდის კედლიდანაა ამოხატული. ამასთან ერთად მუნ ფიგურა თავად პირამიდაა. ასე რომ, არაა გასაკვირი, თუ ამ იეროგლიფებში საუბარი თავად პირამიდაზე და მის დანიშნულებაზე იქნება. შევითანოთ იეროგლიფი ნრეში (სურ. 24).



სურ. 24.

წრეში არსებული პირამიდის ისტორიული და მეტეოროლოგიური აღწერილობები ძირითადად დაემთხვა ერთმანეთს, რაც საკვებით ნორმალური მოვლენაა. ვნახოთ, რამდენად ემთხვევა ისინი იეროგლიფის შინაარსს.

მოცემული იეროგლიფის მე-5 ფიგურა ყველსათვის კარგად ცნობილი სამკუთხედი - პირამიდაა.

იეროგლიფის მე-2 და მე-4 ფიგურა ჩიტის ორ ფრაგმენტს წარმოადგენს. პირველი - დიდი ზომის შინაზე მჯდარი მტაცებელი ჩიტი Δ რომელიც მზად არის: ასატაცებლად, ასაყვანად, ასამალლებლად... მეორე ცაში აფრენილი, ფრთაგამოშლილი ჩიტი, ∇ რომელიც ძალიან პატარა ჩანს სიშორის გამო.

სხვა რა სიტყვებით შეიძლება აღწერო მტაცებელი ჩიტის ამ ორი ფრაგმენტის მოქმედება თუ არა - „ცაში ასვლა“, „ამალლება“, „ატაცება“. მითუმეტეს სიტყვები „ცაში ამალლება - ატაცება“ ემთხვევა პირამიდის მეტეოროლოგიურ და ისტორიულ აღწერილობებს. გამომდინარე ბჭედან, ამ ჩიტებს შორის არსებული უღიფსი ცის კონტური უნდა იყოს.

უღიფსის ფიგურის შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი მეცნიერებს შორის. ჩემი აზრით, უღიფსი მართლაც შეიძლება იყოს ცის კონტური და აი, რატომ: ცნობილია, რომ ნებისმიერი ფიგურა ადამიანს ფურცელზე გადააქვს მისი კონტურის დახატვის საშუალებით. თუ თქვენ ახედავთ სუფთა ცას ისე, რომ ცის და მიწის შემაერთებული კონტურები არსად ჩანდეს, თქვენს წინ გადაიშლება სიკაროელე ყოველგვარი

კონტურის გარეშე, ცა უკუდევანოა. იგი უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი თვალსაწიერი, მაგრამ ჩვენ ვხედავთ ამ დიდის შოლოდ ნაწილს, ე. ი. ცის ეს ხილული ნაწილი ექცევა რაღაც ჩარჩოში და ეს ჩარჩო არის თქვენი თვალის ჩარჩო. ამ ელიფსური ფორმის ჩარჩოში ვხედავთ იმხელა ცას, რამხელაც ეტევა ჩვენს თვალსაწიერში, ე. ი. ელიფსურ კონტურში.

ეგვიპტელები სულის იმქვეყნად ყოფნის გარემოს - ადგილს შესაძლოა, არ ეძახდნენ კონკრეტულად „ცას“, არამედ შესაძლოა, ეძახდნენ - „ზევას“, „სამყაროს“, „თვალსაწიერს“, „სივრცეს“, „უსასრულობას“... ჩემი აზრით, ელიფსის ფიგურის მაგივრად ეგვიპტელები ხმარობდნენ ისეთი მნიშვნელობის სიტყვას, რომელიც სრულად გამოხატავდა სულის იმქვეყნიურ ადგილსამყოფელს.

აღნიშნულ ნაშრომში ელიფსის ფიგურის ნაცვლად პირაპითად ვიხმარ სიტყვა „ცას“. ჩიტების, ელიფსისა და პირაპიდის ნაცვლად ნრეში შევტანოთ „ცაში აღამაღლა პირაპიდიდან“.



სურ. 26.

დაგვრჩა იეროგლიფის პირველი ფიგურა. კარგად დააკვირდით იეროგლიფის სხვა ფიგურებს, იმ ფიგურებს, რომლებიც მიწაზე დგანან ფუძე მკვეთრად აქვთ გამოხატული და მათი ფორმა დგომის დროს არ არღვევს არავითარ მინიერ ფიზიკურ კანონებს. იეროგლიფის პირველი ფიგურით გამოხატული საგანი ან რაიმე არსება ვერ იდგება მიწაზე, ეს შუუბლუბულია. მისი ფუძე აშკარად ცაა, რაც ხაზგასმულია კოდეც ნახატში. ამოწმებოთ ნრეში არსებული სამივე ტექსტის სანუსი და დაუბახსიათოთ:

1. **Y** მისი ფუძე ცაშია, გაბერილია ზედა ნაწილი და მინისკენ ვიწროვდება.


2. „რა“-ს მხედარი – იგი ჩამოუიდა ცოდან პირამიდაზე და აიყვანა იქიდან ცაში...

3. ტორნადო – იგი ცაში იბადება, მისი ფუძე, გაბერილი ნაწილი ცაშია და ვიწროვდება მინისკენ. მინაზე ჩამოსულს შესწევს ცაში ატაცების უნარი.

დაბასიათებები ერთმანეთის მსგავსია, ე. ი. იეროგლიფის პირველი ფიგურა არის „რა“-ს მხედარი - ტორნადო. ამ ევრსიის გასამაგრებლად აღნიშნული ფიგურის ანალოგი უნდა ვეძიოთ იმ სურათებსა და ფოტომასალებში, რომლებშიც დაფიქსირებულია ტორნადოს სხეული.



სურ. 26 ა. ტორნადო კანზასში.
(Knight, 1964, p. 145)



სურ. 26 ბ. ტორნადო
ალფირის სანაპიროსთან.
(Zurcher et Margolle, 1983, fig 13)

აქ მოყვანილი ტორნადოების კონტურები და განხილული იეროგლიფის პირველი ფიგურა იდენტურია. ნრე მთლიანად შეივსო. აღნიშნული იეროგლიფი იკითხება შემდეგნაირად:

„რა“-ს მხედარმა აღამაღლა ცაში პირამიდიდან „კა“ (სული)“. ქართული ენა სიტყვათა სხვაგვარ განლაგებას მოითხოვს. „რა“-ს მხედარმა პირამიდადან ცაში აღამაღლა „კა“ (სული)“. ტექსტს დაემატა სიტყვა „სული“, თუმცა იეროგლიფში მისი აღმნიშვნელი ფიგურა არ არის გამოხატული. ამას შესაძლოა შემდეგი ახსნა შეჰქონდეს: უნაოდან სული უხილავია და მისი კონტური არაეის უნახავს, შესაძლოა, მას ვეგვიპტელები არანაირი ფიგურით არ გამოხატავდნენ. აღნიშნული იეროგლიფი სამარხის

კუთვნილებაა ანუ იგი რელიგიური ტექსტის ნაწილია, შესაძლოა, სამარხის სპეციფიკურ ტექსტში მოგვები, წინადადების კონტექსტიდან გამოძინარე, გულისხმობდნენ სიტყვა „კა“-ს - სულს იქ, სადაც ზდება სულის ცაში ასვლა, ღმერთთან წარდგენა და ა. შ. აღნიშნული

იეროგლიფის მუნი ფიგურა  თავად სამარხია. ძველი ეგვიპტელები სამარხს „კა“-ს ანუ სულის სახლს უწოდებდნენ. ასე რომ, მიღებულ წინადადებაში „კა“-ს სახლიდან „კა“-ს ამიღებების ფაქტზე საუბარი, სრულიად ლოგიკური და გამართლებულია, ასევე აღსანიშნავია შემდეგი გარემოება - ეგვიპტელები ხშირად უკავშირებდნენ „სულს“ ფრინველებს. ჩვენს იეროგლიფში ეს ფრინველის ორი ფიგურაა წარმოდგენილი...

გამოფრული იეროგლიფის შინაარსი შეტყვევებს იმაზე, რომ ეგვიპტელებმა ნახეს, თუ როგორ გაჩნდა ტორნადოს პირამიდასთან. ე. ი. ეს იეროგლიფი არის მომხდარის დოკუმენტური ჩანაწერი. აღსანიშნავია, რომ იეროგლიფში წარმოდგენილი „რა“-ს მხედრის ანუ ტორნადოს ფიგურა არის ტორნადოს „სანყისი“ ფაზის ჩანახატი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ აღნიშნულ ტორნადოს „სანყისი“ მისცა პირამიდაში, რომელიც ტორნადოს ფიგურის მახლობლადაა დახატული.

განვიხილოთ მეფის ასულ იფუტის სამარხის შიდა კედელზე გამოსახული სკულპტურული ბარელიეფი¹¹ (განხილულია ბარელიეფის ის ფრაგმენტი, რომელიც არ არის დაზიანებული).

მოგვხსენებათ, ყველა ეგვიპტელი პირამიდას ვერ აიშენებდა. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ პირამიდებს გარეთ დამარხულ ეგვიპტელებს არ უქონდათ ლტოლვა და სურვილი იმისა, რომ „რა“-ს მხედარს მათი სულელებიც აეყვანა ცაში - „რა“-სთან. აქედან გამოძინარე „მასტაბის“ ანუ მცირე ზომის სამარხის წარწერებში „რა“-ს მხედრის ფიგურის არსებობა ჩვეულებრივი და ამასთან სასურველი მოვლენაც იყო ეგვიპტელთათვის.

განვიხილოთ ცალკეული იეროგლიფები:

-  - შენობა, რომელშიც დგას სარკოფაგი, მცირე ზომის ეგვიპტური სამარხია - „მასტაბი“.
-  - ფიგურა გარჩეული გვაქვს - „ცა“, „ზეცა“, „სივრცე“, „თვალსაწიერი“, „პორიზონტი“, „უკიდევანო“...
-  - წინამდებარე იეროგლიფში ჩიტის ორი ფიგურა გვხვდება

მინაზე და შემდგომ ცაში. ჩვენ ფიგურების ამ ერთობლიობას უკვე მომხდარი ფაქტის – „სულის ცაში ამსაღლების“ სიტყვების მნიშვნელობა მივანიჭეთ. აქ კი მხოლოდ მინაზე გვხვდება ჩიტი. დავსვათ კითხვა – რას აკეთებს მტაცებელი ჩიტი? პასუხი – „გამზადებულია ასამაღლებლად“.



– ადამიანის ხელები ზემოდან ქვემოთ დახრილია რაღაცის ასაღებად, ასაყვანად, სიტყვითი მნიშვნელობა „აპყავს“.



– ტორნადოს განვითარებული ფაზა ანუ „რა“-ს მხედარი.



სურ. 27.

გარჩეული იეროგლიფის შინაარსი: „მასტაბიდან ცაში ასამაღლებლად გამზადებული სული აპყავს „რა“-ს მხედარს“.

აღსანიშნავია, რომ მასტაბის ანუ ეგვიპტური მცირე ზომის სამარხის შენობა არ იწვევს ტორნადოს, ამიტომ აქ ტორნადოს განვითარებული ფაზაა წარმოდგენილი და არა სანყისი. როგორც ნინა იეროგლიფში პირამიდის გვერდით ვიხილეთ (იხ. სურ. 22, გვ. 62).

გაფუკეთე რა ანალიზი გარჩეულ იეროგლიფების ფიგურათა მნიშვნელობებს, წაეანყდი ერთ საინტერესო გარემოებას. კერძოდ, ყველა არსებული სახელი მიღებულია იმ ფიგურებისაგან, რომლებიც დახატულნი არიან პირდაპირ ანუ ანფასში და სრულად. შესაძლოა, „პირდაპირ“ დახატული სრული ფიგურით ეგვიპტელი მწერალი გვიბიძგებს ფიგურის „პირდაპირი“ მნიშვნელობის სიტყვის მიღებისკენ. მაგ.:



– პირამიდა.



– „რა“-ს მხედარი.



– მასტაბი.



– „რა“-ს მხედარი.

ხოლო სხვაგვარად დახატული ყველა ფიგურა (არასრულად ანფასში, არასრულად პროფილში, სრულად პროფილში და ა. შ.), იძლევა სიმბოლური იდეოგრაფიული მნიშვნელობის სიტყვებს, მაგ.:



– რა გააკეთა მტაცებელმა ჩიტმა? – „აღამაღლა“.



– რას აკეთებს ხელები? – „აპყავს“.

სიმბოლური მეთოდით და კითხვის მკვირე გამოცდილებით ვცადე
 კტახ ზოტეპის სამარხში არსებული იუროგლიფების გამოფრვა“. თავიდან
 მოვიძიე პირდაპირი მნიშვნელობის ფიგურები – არსებითი სახელები,
 ანუ ფიგურები, რომლებიც დახატულია სრულად ანფასში.

 – „სახლი“

 – „რა“-ს მხედარი (ტორნადოს ფაზის ჩანახატი)

 – „მზე“

განვიხილოთ სხვაგვარად დახატული იუროგლიფების სიმბოლური
 მნიშვნელობები.

 – ისარს ნვერი არ უჩანს მაშინ, როდესაც ნატყორცნი ჩვენამდე მო-
 ვა - მოაღწევს და მინაში ჩაურჭობა.

კითხვა: რა მოხდა?

პასუხი: „მოვიდა“ - „მოაღწია“ ან „ჩაურჭო“.



მოცემულია ფიგურების არაბუნებრივი განლაგება: გველი, რომელიც
 ზღვაში ჩამავალი მზის თავზეა განლაგებული, ჩავატაროთ ძიება ცალ-
 ცალკე ფიგურებზე.

 – პროფილში დახატული გველი. მისი დამახასიათებელია სასიკ-
 ვდილო კბენა.

კითხვა: რას აკეთებს?

პასუხი: „გამზადებულია სასიკვდილო კბენისთვის“.

 – ზღვაში ჩამავალი მზე.

კითხვა: რა ხდება მზის ჩასვლისას?

პასუხი: „სინათლე ბნელდება“

„სასიკვდილო კბენის“ შემდეგ ადამიანს თვალთ „სინათლე უბნელდე-
 ბა“, რაც „სიკვდილის“ ტოლფასია. შესაძლებელია, ეგვიპტელებმა სწო-

რედ სიტყვა „სიკვდილის“ (გარდაცვალება, აღსასრული, დასასრული...) ჩასანერად გამოიყენეს გველისა და ჩამაქალი შზის ფიგურათა კონტექსტი.



განვიხილოთ მოცემულ იეროგლიფთა ჯგუფის ცალკეული ფიგურები: ადამიანის ფეხების გამოშახველი ფიგურები იეროგლიფებში მრავალგან სხვადასხვა მდგომარეობაშია წარმოდგენილი.

მაგალითად:  პროფილში დახატული ეს ორი ფეხი ნაბიჯებს დგამს და ძელი წარმოსადგენი არაა, რომ ამ ფიგურით ეგვიპტელები სიტყვა „სიარულს“ აღნიშნავდნენ. თუ ადამიანის ფეხებს დაეხატათ პროფილში, ოღონდ არა მოსიარულეს, არამედ გაჩერებულს – მდგარს. მაშინ ჩვენ ერთი ფეხის დახატვა მოგვჩვენებს, ვინაიდან მეორე, როგორც წესი, პირველს მოუფარება და არ გამოჩნდება. ასე მივიღებთ ჩვენს მიერ განსახილველ ფეხსაც.



კითხვა: რა გაკეთდა?

პასუხი: „წარსდგა“.



ჩემი აზრით, ეს არის უნიკალური იეროგლიფი. ეს ერთი ფიგურა იწახვედა პირამიდის დანიშნულების საიდუმლოს. პირამიდაში ჩახატულია ტორნადო ანუ არა“-ს შედარი და ამავდროს პირამიდას არა აქვს წვერი, რაც სრულებით ლოგიკურია. ეგვიპტელებმა ტორნადოს მიერ წვერმოჭრილი პირამიდის ფიგურა შეიტანეს იეროგლიფებში, ხოლო შიგთავად ტორნადო ჩახატეს. პირამიდის და არა“-ს შედარის შეხების შემდეგ, შესაძლოა, ეგვიპტელთათვის პირამიდა არა“-ს ტაძრის დანიშნულებას იძენდა.

 ჩვენს თვალწინაა სპირალისებური ფორმის მონახაზი. ტორნადოს  დახასიათებისას სიტყვა „სპირალისებური“ გვხვდება. კერძოდ, ტორნადოს შიგნით პერი სპირალისებურად მოძრაობს. არ არის გამოჩენილი, რომ სწორედ ტორნადოს შიგნით პერიის სპირალისებური მოძრაობის ამსახველი ფიგურა იყოს აქ წარმოდგენილი. ტორნადოს შიგნით პერიის ეს მოძრაობა „კრიფავს“ გზად მყოფ ცოცხალ თუ უსულო საგნებს და ეზიდება ცისკენ. თუ ეს მსჯელობა მართებულია... მაშინ კითხვაზე – რას აკეთებს სპირალისებურად მოძრავი პერი? პასუხია „კრიფავს“.



აღნიშნულ იეროგლიფთა ჯგუფის შესაძლო შინაარსი – „ნარსდგა
„კა“ სულების შემკრები ტაძრის წინაშე“.

 – პროფილში დახატული დანა. ძირითადი დანიშნულება –
ცხერის, ქათმის, ხბოს... დასაკლავად გამოიყენება. ე. ი. გა-
მოიყენება მსხვერპლშენირვისათვის.

კითხვა: რისთვისაა გამზადებული?

პასუხი: „გამზადებულია მსხვერპლშესანირად“.



– ქათამი

კითხვა: რისთვისაა გამზადებული?

პასუხი: „გამზადებულია დასაკლავად“.



– ლოცვის აღსაველენად და შენირვის დროს ცისკენ აღმართული
ხელები.

კითხვა: რას აკეთებს?

პასუხი: „შესწირა“ , „ილოცა“...




– ქვებს არ აქვს სახელოები ე. ი. ნაბატი არასრულია.

კითხვა: რა კეთდება ქვებში?

პასუხი: „საჭმელი“.



– ხაზების ასეთ განლაგებას ეგვიპტელთა მიერ შესრულებულ
წყალზე მოცურავე ნაუზის სურათზე ნავანყდი.




სურ. 28.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული იეროგლიფი წყლის დინების ფრაგმენტს იმეორებს. ამიტომ, კითხვაზე „რას აკეთებენ წყალზე?“, პასუხია: „დაცურავენ“.



– კითხვა: რამდენი?
პასუხი: „მრავალი“.



– სიმეტრიული ფიგურები
კითხვა: როგორი?
პასუხი: „ღამაზი“.

წარმოდგენილი ფიგურის სიმბოლური მნიშვნელობა მეტად რთული მისაგნები გახლავთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეცნიერებმა დაზუსტებით არ იციან, თუ რას წარმოადგენს ეს იეროგლიფი. მე გამაჩნია ჩემი ვერსია ამ იეროგლიფის შესახებ. როგორც ვიცით, ძველი დროის ადამიანები თვლიდნენ, რომ მზე ტრიალებს დედამიწის გარშემო. მოდით, დაეხაზოთ ცაზე მზის გადაადგილება დილიდან საღამომდე.




სურ. 29.

მზის გადაადგილების ნერტილების შეერთებით ვიღებთ მონახაზს, რომელიც მოცემული იეროგლიფის ფორმის იდენტურია.

ვინაიდან ცაზე მზის გადაადგილება დროის მსვლელობას განსაზღვრავს, ამიტომ, შესაძლოა ეგვიპტელები ამ იეროგლიფის ნაცვლად სიტყვა „დადგება დრო“-ს, „დადგება დღე“-ს ან ზოგადად დროის აღმნიშვნელ რომელიმე სხვა სიტყვას ხმარობდნენ.


საინტერესოა ამ ფიგურის შეტრიალებული ფორმა.



სურ. 30.

ცაზე მზის გადაადგილების ნერტილების შეერთებით ვიღებთ ფიგურას, რომელიც წარმოდგენილი იეროგლიფის შებრუნებული ფორმის იდენტურია. აღნიშნულ მონახაზში მზე ამოსვლის ნერტილზე უფრო დაბლა ჩავიდა. ამ იეროგლიფის მაგივრად შესაძლოა, ეგვიპტელები სიტყვა „ლაშეს“, „განვილ დროს“, „წარსულ დროს“, „განვილ დღეს“ ან რომელიმე სხვა შესაბამის სიტყვას გულისხმობდნენ.

აღსანიშნავია, რომ „დროს“ სხვადასხვა მონაკვეთის გამოსახატადად ეგვიპტელები ერთმანეთისგან განსხვავებულ სხვადასხვა სიმბოლურ ფიგურას ხმარობდნენ, ენაიდან დროის სხვადასხვა მონაკვეთის სხვადასხვა სიტყვით მნიშვნელობა ენიჭება. მაგ. დილა, შუადღე, საღამო, დღე, კორა, თვე, წელი და ა. შ.



სურ. 31.

გამხილული იეროგლიფის შესაძლო შინაარსმა შემდეგი სახე მიიღო:
 1. მოვიდა (დაურჩო) სიკვდილი. 2. წარსდგა „კა“ სულების შემკრები ტაძრის წინაშე. 3. მხვერპლშენიორვისათვის განემზადა სახლი. 4. დადგება დრო (დღე). 5. „რა“-ს მხედარი ცაში აღამალლებს სულს. 6. საკლავის დრო (დღე) დადგა. 7. მზეს საჭმელი შესწირეს. 8. დრო დადგა ცაში ცურვისა. 9. დაგვშორდებიან დრონი (დღენი) მრავალნი და ლამაზნი.

ცალკე განუხილეთ იეროგლიფთა ერთი ნაწილი.

 - „მოვიდა - დაურქო სიკვდილი“. როგორც ვიცით, ეგვიპტელები სულის იმპლემენტურ ადგილსამყოფელად ცას მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ისინი სიკვდილის მოსვლასაც ცას უკავშირებდნენ. საგულისხმოა, რომ სიტყვა „მოვიდა სიკვდილი“-ს მოსაღებად, მათ სწორედ სიერ-„ციდან“ მოფრენილი ისარი გამოიყენეს - „მოვიდა-დაურქო-უეცრად-ციდან სიკვდილი“.



ჩემი აზრით, იეროგლიფთა ეს ჯგუფი იკითხება შემდეგნაირად: „დრო დადგა ცაში ცურვისა, დაგვშორდებიან დრონი მრავალნი და ლამაზნი“.

„დაგვშორდებიან“ სიტყვის აღმნიშვნელი ფიგურა იეროგლიფში არ გვხვდება, მაგრამ როგორც ხედავთ მთლიანად იეროგლიფში სიტყვა

„დადგა დრო“ და მისი აღმნიშვნელი ფიგურა გვხვდება სამჯერ  ერთი და იგივე ზომისა, ხოლო მეოთხედ იგი გვხვდება შემცირებული ზომის  რეალობაში ფიგურა მცირდება ადამიანის თვალში მამონ, როდესაც იგი გეშორდება. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალე ამ ფაქტის ანუ დაშორების აღნიშვნა ტექსტის იმ ადგილას, სადაც ფიგურა მუორდება შემცირებულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, ვიღებთ წინადადებას - „დაგვშორდებიან დრონი მრავალნი და ლამაზნი“.

დავსვათ კითხვა - შეიძლება თუ არა, რომ ეგვიპტელებს ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული იეროგლიფით მქონოდათ გადმოყვებული?

ჯველისა და ჩამავალი მზის ფიგურებს ჩვენ „სიკვდილის“ სიმბოლური მნიშვნელობა მივანიჭეთ. ძველ ეგვიპტურ სახელმძღვანელოში „სიკვდილს“ ერთგან ჯველის ფიგურით გამოსახებენ, მეორეგან კი შავი ყორნის ფიგურით.

მზის მოძრაობის მონახაზს ჩვენ „დადგება დრო“-ს სიტყვითი მნიშვნელობა მივანიჭეთ. ზემოთაღნიშნული ძველ ეგვიპტურ სახელმძღვანელოში კი სიტყვა „დროს“ რამდენიმე სხვადასხვა იეროგლიფით გვთავაზობენ.

ამით აღნიშნული სახელმძღვანელო თავად მიგვითითებს, რომ ერთიდაი-
გივე სიტყვების მისაღებად ხანდახან ეგვიპტელები სხვადასხვა ფიგურას
იყენებდნენ. ასეთი რამ, მართლაც ახასიათებს დამწერლობას. მაგ. განუ-
ხილოთ შზის ამოსვლის აღნიშნული ქართული სიტყვები: დილა, გარიჟ-
რაჟი, აისი, ცისკარი, განთიადი და ა. შ. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვები
განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასოთა რაოდენობით, გამოთქმით...
თუშეა, დროის ერთსა და იგივე მონაკვეთს აღნიშნავენ.

ასეთი ანალიზით შეიძლება, ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობა-
საც მიუხედავად და დაეუშვათ ის, რომ ერთი და იგივე სიტყვა შესაძლოა
სხვადასხვა ფიგურით იყოს გამოსახული. რა ახსნა აქვს ამას?

შესაძლოა, ზემოთ მოყვანილი სიტყვები: დილა, აისი და ა. შ. ქართულ
ლექსიკონში სხვადასხვა დროში ცალკაღვე არსებობდა და არა, ყოველ-
თვის ყველა ერთად. მაგ. შეიძლება 500 წლის წინ შზის ამოსვლას ქართუ-
ლად – „აისს“ ეძახდნენ, 1000 წლის წინ – „განთიადს“, რომელიც სიტყვა
აისს დაემატა. 500 წლის წინ ამ სიტყვებს, შესაძლოა სიტყვა – „ცისკარი“
დამატებოდა. ხოლო, დღევანდელ სინამდვილეში ყველა ამ სიტყვას ერთად
აქვს თავი მოყრილი ჩვენს ლექსიკონში. ასეთი მსჯელობით, შეიძლება ეგ-
ვიპტურ იეროგლიფებსაც მიუხედავად. უნაიდან, იეროგლიფური დამწერ-
ლობა მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა (3000 წ.). ამო-
ცოშ, შესაძლოა სხვადასხვა დროში ერთი და იგივე სიტყვის გამოსახატავად
სხვადასხვა იეროგლიფი გამოყენებინათ. დღევანდელ სინამდვილეში კი,
ყველა მათგანს ერთად აქვს თავი მოყრილი. ეს მდგომარეობა ერთობ არ-
თულებს იეროგლიფების სიმშოლური მნიშვნელობების ამოცნობას.

ნარმოვიდგინთ ქტახ ხოტეპის სამარხში არსებულ იეროგლიფთა შემ-
დგომ გვუფს.

ჩ

– აღნიშნულ ფიგურას მეცნიერები სანერ მაგიდას უწოდებენ.

გვერდიდან დახატული სანური მაგიდა.

დანიშნულება – წერა.

კითხვა: რა გაკეთდა?

პასუხი: „გაკეთდა ჩანანური“.

ჲ

– ფიგურა – „რა“-ს მხედარი.

კითხვა: რა ხატია?

პასუხი: „რა“-ს მხედარი.

⌋ - როგორც აღნიშნეთ, ეს ფიგურა შესაძლოა იყოს სიტყვა „ღამის“ ან სიტყვა „განუღილი დროის“ გამომხატველი.

⌋ - ფიგურა - მელია პროფილში. ძირითადი მახასიათებელი ცბიერი. კითხვა: რა გააკეთა ცბიერმა მელიამ? პასუხი: „დაგვტოვა ცბიერმა“.

⌋ - ფიგურა გარჩეულია - „სიკვდილი“



ხურ. 32.

ნარმოვადგენთ აღნიშნული იეროგლიფის შესაძლო შინაარსს:

1. გაკეთდა ჩანანური; 2. „რა“-ს მხედარზე; 3. გაივლის დრო (ღამით);
4. დაგვტოვებს ცბიერი სიკვდილი.

ნაშრომში ნარმოვადგენილ იეროგლიფებს ახასიათებთ ერთი ნიშანი. ის ფიგურები, რომლებიც იძლევიან რაიმე მოქმედების აღნიშვნულ სიტყვას, სახით მიმართულნი არიან ამ მოქმედების შემსრულებლისაკენ. ზემოთ განხილულ იეროგლიფებში მტაცებელი ჩიტის, რომელიც იძლევა სიტყვა „ამაღლება“-ს, სახით მიმართულია იმ ფიგურისკენ, ვინც ასრულებს ამაღლების ქმედებას ანუ „რა“-ს მხედრისკენ.




აგრეთვე:

⌋ - „სიკვდილი“-ს აღნიშვნული ერთ-ერთი ფიგურა (გველი) სახით მიმართულია „დაურქო“-ს აღნიშვნული ფიგურისაკენ. ანუ დაურქო ვინ?-სიკვდილი.

⌋ - „ნარსდგა“-ს აღნიშვნული ფიგურა მიმართულია მისკენ. ვისთანაც ნარსდგა სული.



– „გაკეთდა ჩანანური“ – მაცვიდა სანური მხრით მიმართულია იმისკენ, ვიზუელ გაკეთდა ჩანანური, ანუ „რა“-ს შედრისკენ.



– „ნაევიდა ცბიური“ მელა მიმართულია იმისკენ, ვისაც ეკუთვნის ეს მოცემუდება ანუ „სიკვედილოსკენ“.

ფიგურათა ასეთი ურთიერთკავშირი არ უნდა იყოს შემთხვევითი. ჩემი აზრით, თავისი განლაგებით ფიგურები მიგვანიშნებენ იმას, თუ რომელი ფიგურა სხვა რომელ ფიგურასთანაა კონტექსტში განსახილველი. ამა თუ იმ ფიგურათა დანჯვილება ახალი იდეის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს, რაც მისაღები სიტყვის ცვალებადობასთან იქნება დაკავშირებული. მაგ. ტორნადოსკენ სახით მდგარ „ბუს“ ფიგურას ჩვენ „ამაღლების“ სიტყვითი მნიშვნელობა მივანიჭეთ და იეროგლიფის ნაკითხვა შესაძლებელი გახდა, მაგრამ როცა „ბუს“-თან „ბელურას“ ფიგურაა გამოსახული, მისაღები სიტყვა კარდინალურად იცვლება. ამის თაობაზე მოგვითხრობს აბ. ნ. აღ. IV საუკუნეში ეგვიპტეში შექმნილი წიგნი¹:

„როცა სურთ ასახონ ადამიანი, რომელიც თავის მეგარველს მიმართავს საშველად, ის კი მას არ შევლის, ბელურას (სორს) და ბუს ხატავენ: მონადირეების მიერ დამფრთხალი ბელურა (სორი) ბუს შეაფარებს თავს, სწორედ ის დაღუპავს“.

ახლა კი გთავაზობთ, შევამოწმოთ აქ განხილული იეროგლიფების ფიგურათა მნიშვნელობები: ხომ არ მოდიან წინააღმდეგობაში ეგვიპტური წერის მეთოდთან ანუ სიმბოლურ მეთოდთან? შევამოწმოთ ნაკითხულის შინაარსი ეგვიპტელთა რელიგიის, ადათ-წესების მიხედვით.

შევამოწმოთ ლოგიკურად – მიზანმიმართულად, აზრის შედეგობრივი დალაგების მიხედვით.

„დაერქო სიკვედილი“ – სიკვედილის მერე – „ნარსდგა ღმერთთან სული“.

„დაიკლა ქათამი“ – და ამის მერე – „მოხარშეს ჭაბში და შესწირეს მზეს“.

„შესწირეს“ – და ამის მერე – „დრო დადგა ციური მგზავრობისა“

„დაგვეშორდებიან დრონი მრავალნი და ლამაზნი“ – გაიხსენეთ ნებისმიერ თქვენთაგანს რა აშორებს თავიანთი გარდაცვლილი ახლობლისაგან. 40 დღე, წლისთავი და ა. შ. მხოლოდ და მხოლოდ „დრონი მრავალ“

ნი“. ლოგიკურ გაგრძელებად მიმაჩნია დაფიქსირება იმისა, რომ „გაკეთო და ჩანანერი რა“-ს მხედარზე“. ისიც სწორია, რომ „ცხოვრია სიკვდილი“, ხოლო იმის საპასუხოდ, რომ ტექსტის დასაწყისში – „მოვიდა სიკვდილი“, ტექსტის ბოლოს – „დაგვტოვა სიკვდილმა“.

განვიხილოთ პირამიდების ტექსტებში არსებული კიდევ ერთი იეროგლიფის ჯგუფი:⁷

 – პირამიდა.


 – ცა

 – ნარმოდგენილ იეროგლიფს მეცნიერები სიტყვა „ვზის“ მნიშვნელობას ანიჭებენ. დავესესხოთ მათ.

 – ჩვენს წინაშეა შეკრული თოკი, რომელიც ლასოს წააგავს. მოსით შეიძლება რალაცის დაჭერა, შეკერვა, შეზოჭვა.
კითხვა: რა გაკეთდება თოკით?
პასუხი: შეკერება, შეზოჭება და სხვ.

 – ძალზედ რთული ფიგურაა. მე გამაჩნია ერთი ვერსია, კერძოდ, ეს ფიგურა ჩაებატე მთის წინ და იეროგლიფი მთაზე აღმავალ ბილიკს დაემსგავსა. თუ ეს აზრი მართალია, მაშინ
კითხვა: როგორი ბილიკია?
პასუხი: „აღმავალი“.
იეროგლიფის საბოლოო სიტყვითი მნიშვნელობა ძიების საგანია.

 – ადამიანის თავი. შესაძლოა ეს იეროგლიფი პირდაპირ სიტყვა „თავს“ იძლეოდეს. გამაჩნია სხვა ვერსიაც. კერძოდ იეროგლიფებში ხშირად ვხვდებით ადამიანის ცალკეულ ფიგურებს: ყურს, ცხორს, თვალს და ა. შ. ისინი იძლევიან შესაბამისი გრძნობის ორგანოების მახასიათებელ სიტყვებს: სმენა, ყნოსვა, ხედვა... აქ მოცემულ იეროგლიფში კი მოცემულია ყველა აღნიშნული გრძნობის ორგანო. ადამიანის სახე ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ის რალაცას ყურადღებით ელოდება. თუ ეს ანალიზი სწორია, მაშინ ისმის კითხვა – რას აკეთებს? პასუხი: „ელოდება“.



ხურ. 33.

ნარმოდგენილი იეროგლიფის შესაძლო შინაარსი:

1. შუკერება; 2. გზა; 3. ცისკენ აღმავალი; 4. ელოდება ცა; 5. პირამიდას.

შევეამონმოთ აღნიშნული ტექსტი პირამიდისა და კლიმატის ურთიერთშედეგების კუთხით. წიგნის მეტეოროლოგიურ ნაწილში აღნიშნეთ და კიდევ გაფიქვორებ: პირამიდა არ არის შენობა, რომელსაც ერთპიროვნულად იწვევდა ტორნადოს. ტორნადოს იწვევს მიზეზთა ჯამი, პირამიდა კი – მიზეზთა ჯამის გამთლიანებას უწყობდა ზელს. მიზეზთა ჯამის ძირითადი კომპონენტები ცაში მიმდინარე მეტეომოვლენებში დევს.

ჩვენს მიერ განხილულ იეროგლიფებში მიღებული აზრი „ელოდება ცა პირამიდას“ გამართლებულია მეტეოროლოგიური თეალსაზრისით, ვინაიდან პირამიდის ექსპლუატაციაში შესვლით ცა იღებდა ტორნადოს ჩამოყალიბების მასტიმულირებელ პირობას. ტორნადო კი თავის მხრივ „პვრავს გზას აღმავალს ცისკენ“. ვგულისხმობ ერთგვარ აღმავალ „ლიფტს“ ცასა და დედამიწას შორის.

ამგვარად „შუკერება გზა აღმავალი ცისკენ, ელოდება ცა პირამიდას“ – შინაარსი ლოგიკურად გამართლებულია. ვინაიდან ასახავს ცის, პირამიდისა და ტორნადოს თვისებათა ურთიერთკავშირს.

აბლა განვიხილოთ ვერსია როცა ადამიანის თავის ფიფურის ნაცვლად სიტყვა „თავს“ გამოვიყენებთ ტექსტში.

„შუკერება გზა აღმავალი ცაში. პირამიდის თავი ცაშია“.

ძველი ეპოქისათვის წმ მეტრიანი პირამიდა იყო უმაღლესი შენობა დედამიწაზე. რომელსაც თავი მართლაც მაღლა ცაში ჰქონდა. როგორც ვიცით „პირამიდა“ ბერძნული სიტყვაა. ძველი ეგვიპტელები სამარხის შენობებს „კა“-ს სახლს ანუ „სულის სახლს“ ეძახდნენ. ეგვიპტელთათვის სასურველი, სულის საბოლოო ადგილსამყოფელი ცნობილი იყო, ეს იყო „ცა“. ასე რომ, აღნიშნული წინადადება რე-

ლიგურადაც გამართლებულია: შეიკვრება ვხა ცაში აღმავალი, სულის სახლის თავი (სანჯისი) ცაშია.

ტორნადოს ფაშების ფიგურები, ნაკვეთილი პირამიდები შიგ ჩახატული ტორნადოს სხეულით, თვალსაწიერი – ელიფსი ანუ ცის კონტურის ფიგურები იმდენად ხშირად გვხვდება იეროგლიფებში, რამდენადაც ხშირადაა გადმოცემული ეგვიპტის ისტორიაში პირამიდიდან სულის ცაში ასვლის იდეა.

ერთი ნიგნი ვერ დაიტყვეს აღნიშნულ იეროგლიფთა სიმრავლეს. სწორედ ამიტომ იძულებული ვარ შემოვიფარგლო მცირედით.

ცრუ სწავლების დაბადება

ჩემი აზრით, არსებობს ადამიანის შემეცნების 3 საფეხური:

პირველი – ქეშმარიტების ცოდნა.

მეორე – უცოდინარობა.

მესამე – ქართულ ენაში არის გამოთქმა: „არცოდნა არცოდება“. ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითია, ამიტომ არცოდნა მართლაც არცოდებაა. გააჩნია რასთან შედარებით. შე არ შეგონა, თუ იარსებებდა უცოდინარობაზე უფრო დაბალი საფეხური ადამიანის შემეცნებით პოტენციალში, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობს და ეს არის მესამე საფეხური ადამიანის შემეცნებისა – არასწორი ცოდნა ანუ ცრუ სწავლება. მასთან შედარებით არცოდნა მართლაც არცოდებაა.

XIX ს-ში დედამიწაზე არსებულ ცრუ სწავლებებს დაემატა ახალი ცრუ სწავლება – იეროგლიფების შერეული ფონეტიკურ-სიმბოლური კითხვის მეთოდის სახით ავტ. ფ. შამპოლიონი. იეროგლიფებზე მსჯელობისას საზოგადოების უმეტესი ნაწილი მპასუხობდა შემდეგს: შამპოლიონი – ეს ხომ იეროგლიფების კითხვის ფუძემდებელია. აქ დასმული ნერტილით მთავრდებოდა ცოდნა იეროგლიფების შესახებ... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დღეს საზოგადოება ძალზედ ზედაპირულად იცნობს, თუ რას ნარმოადგენს შამპოლიონის შერეული ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდი.

შე შეგონი, საზოგადოებას სრული უფლება აქვს იცოდეს, რას ატყვეუბენ მას... ნაშრომის შემდეგ ნაწილში სწორედ ამის ახსნას შევეცდები.

ვიდრე გავეცნობით აღნიშნული თემის ისტორიულ საფუძვლებს, კოდეც ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ ის, თუ რა სხვაობაა რამდენიმე

ათასწლოვან ეგვიპტურ-სიმბოლურ მეთოდსა და XIX საუკუნეში დაბადებულ შერეულ ფონეტიკურ-სიმბოლურ მეთოდს შორის.

მრავალი მკვლევარი, მათ შორის თავად აკ. შამპოლიონი თვლიდა, რომ თავდაპირველად ეგვიპტელები პიკტოგრაფიული დაშენებლობით სარგებლობდნენ, რაც ნიშნავს ფიგურათა დაბატვით

მათი პირდაპირი სიტყვითი მნიშვნელობის მიღებას მაგ.:  – მზე შემდგომ პერიოდში კი იდეოგრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობის ფიგურები იქნა შემოღებული მაგ.:

 – ქამა  – სიბერე

დროთა განმავლობაში საჭიროებამ მოიტანა იეროგლიფში ადამიანთა სახელების ჩანერა, რაც უთუოდ გაართულებდა საქმეს. უნაიდან ადამიანის სახელს, ვერანაირად ვერ გამოხატავ რაიმე სიმბოლური ფიგურით. ეგვიპტელებმა იპოვეს გამოსავალი, კერძოდ, იეროგლიფებიდან გამოიყვანეს რამდენიმე ფიგურა, რომელთა დაბატვითაც იკითხებოდა დაბატულ ფიგურათა პირველი ასო, რამდენიმე პირველი ასოს ჯამი კი იძლეოდა სახელს.



ხურ. 34. კლუმატრა.

ფონეტიკური მნიშვნელობის ფიგურები ტექსტში არსებული სხვა ფიგურებიდან ეგვიპტელებმა ოვეალური ჩარჩოებით გამოიყვანეს. ამ გამყოფ ჩარჩოებს მეცნიერებმა კარტუშები უწოდეს (ხურ. 34).

XIX ს-ში მცხოვრები ინგლისელი მეცნიერი თომას იუნგი შამპოლიონზე ადრე გამოთქვამდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ოვეალურ ჩარჩოებში იეროგლიფები იძენენ ფონეტიკურ მნიშვნელობას. ოვეალური ჩარჩოს გარეთ არსებულ იეროგლიფებს თომას იუნგი კითხულობდა სიმბოლური მეთოდით. ასეთი მეთოდით ნაიკითხა მან ხაყოველთაოდ ცნობილი როზეტის ქვის ტექსტი.

თომას იუნგისგან განსხვავებით ფრანსუაზ შამპოლიონი როზეტის ქვის ტექსტს ახალი მეთოდით კითხულობს. მისი აზრით, იეროგლიფები იძენენ ფონეტიკურ მნიშვნელობას, როგორც ოვალური ჩარჩოების შიგნით, ასევე მის გარეთ. რაც შეეხება სიმბოლურ მნიშვნელობის ფიგურებს – შამპოლიონის აზრით, იეროგლიფებში ასეთი ფიგურებიც არსებობენ, მაგრამ ძალზე მცირე რაოდენობით. ეს არის ძირითადი სხვაობა სიმბოლურსა და შერეულ ფონეტიკურ-სიმბოლურ მეთოდს შორის.

ახლა კი გავცნოთ უძველესი დროიდან დღემდე მოღწეულ იმ ინფორმაციებს, რომლებიც იეროგლიფური დამწერლობის არსის შესახებ მოგვითხრობენ.

პერიოდულ სიმბოლოებისა და ასოების შერეულ მეთოდზე არანაირ ცნობას არ გვანვიძის.

I ს. ქრისტეს შობამდე - დიადორ სიცილიელი, ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგს:²

„მათი – ანუ ეგვიპტელების – ნერალი მოცემული სიტყვების მარცვლების შეერთებით არ შედგება, არამედ გამოსახულ ფიგურებში არის შეტაფორული აზრები“.

იგივე აზრისაა ჩვენი ნელთალრიცხვით III საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები რომაელი მწერალი აბულეო.

აბ. ნ. აღ. I ს. - ფილოსოფოსმა ხერემონმა შექმნა ტრაქტატი იეროგლიფების შესახებ, რომელშიც საუბარია იეროგლიფების სიმბოლურ და ნიშნულებაზე.

აბ. ნ. აღ. I-II ს. - პლუტარქე თავის ტრაქტატში „ისიდა და ოსირისი“ გვატყობინებს, რომ ეგვიპტური ალფაბეტი შედგება 25 ასოსაგან.

როდესაც შამპოლიონის მომხრეებს ეკითხებიან, თუ რატომ არ არსებობს რაიმე ისტორიული ცნობა შამპოლიონისეულ შერეული მეთოდის შესახებ, ისინი პლუტარქეს მოიშველიებენ ხოლმე - მან ხომ ახსენა ეგვიპტურ იეროგლიფებში ალფაბეტის არსებობა.

კი, მაგრამ მას ხომ არ უხსენებია შერეულ-სიმბოლურ ფონეტიკური კითხვის მეთოდი?..

ჩემი აზრით, პლუტარქეს მიერ ნახსენები ალფაბეტი და შამპოლიონისეული შერეული სიმბოლურ-ფონეტიკური მეთოდის არსი ძალზე დიდ დად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რა თქმა უნდა, ეგვიპტელებს უნდა პქონოდათ ალფაბეტი, მაგალითად, კარტუშებში ჩანერილი მეფეთა სახელების წასაკითხად. ჩემი აზრით, პლუტარქეს მიერ დატოვებული ინფორმაცია შამპოლიონის ცრუ სწავლების ყველაზე დიდი მამხილებელია, ვინაიდან პლუტარქემ აღნიშნა, რომ ეგვიპტური ალფაბეტი შედგება 25 ასოგან. შამპოლიონმა კი თავისი სწავლებისათვის შექმნა ალფაბეტი, რომელიც ასზე მეტ ნიშანს შიცავს. ასსა და ოცდახუთს შორის განსხვავება კი ძალზე დიდია.

ახ. წ. აღ. II ს. ლეთისმეტყველი კლიმენტი ალექსანდრიელი გვაძლევს, რომ ეგვიპტელებს აქეთ რამდენიმე დამწერლობა:

იეროგლიფიკა – ანუ ნშინდა მონუმენტური დამწერლობა ამოკვეთილ ქვებზე;

იერატყიკა – მოგვითა ნშინდა წერილი;

ეპისტოლოგრაფიკა – დამწერლობა ყოველდღიური ხმარებისათვის.

ახ. წ. აღ. III ს. – ნეოპლატონიზმის სკოლის ფუნქციონირება ფილოსოფოსი პლოტინი იეროგლიფებს უპირობოდ ანიჭებს მეტაფორულ და სიმბოლურ მნიშვნელობებს. აღსანიშნავია ის, რომ პლოტინი დაიბადა ეგვიპტეში. განათლება მიიღო ალექსანდრიაში. მის ეპოქაში ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა იეროგლიფური დამწერლობა, ასე რომ მას შამპოლიონისაგან განსხვავებით პქონდა ყველა შესაძლებლობა ზუსტად სცოდნოდა იეროგლიფების წერა-კითხვის ძირითადი არსი. თუმცა ჩვენი ეპოქის ზოგიერთი ეგვიპტოლოგი არად აგდებს ასეთ მნიშვნელოვან ფაქტებს.

ახ. წ. აღ. II ს. – უდიდესი რომაელი ისტორიკოსი ტაციტი

II-III ს. – დიონ კახი

IV ს. – ამიან მარცელინი

სამივე მეცნიერმა დაგვიტოვა ინფორმაცია ეგვიპტური იეროგლიფების თაობაზე და აღნიშნავს დამწერლობის მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ ამიან მარცელინიმ ბრწყინვალედ ნათქვამა სიმბოლური მეთოდით ერთ-ერთი ობელისკზე ამოკვეთილი იეროგლიფი, რომელიც ეკუთვნოდა ეგვიპტელ გერმაპიონს.

ახ. წ. აღ. IV ს. – ეგვიპტეში შეიქმნა ნიგნი „Hieroglyphica“, რომლის ავტორად მეცნიერები ასახელებენ ეგვიპტელ პოეტს „Hera Pollinis“. აღნიშნულ ნიგნში იეროგლიფებს ენიჭებათ მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა.

ზემოთ ნახსენები ადამიანები ცხოვრობდნენ ჩვენი წელთაღრიცხვით 394 წლამდე ანუ იმ თარიღამდე, სადამდეც ფუნქციონირებდა იეროგლიფი.

ფების დაძვრობა. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანებს აქონდათ უნიკალური შანსი კოცხლად ენახათ იეროგლიფების პრაქტიკულად მომხმარებელი ეგვიპტელი სპეციალისტები და გამოეკითხათ ისინი იეროგლიფების წერის მეთოდის თაობაზე, რასაც გააკეთებდნენ კიდევ. როგორც ვხედავთ, ისინი აღნიშნავენ იეროგლიფების სიმბოლურ მნიშვნელობას, რაც უდიდესი ბრგუმენტია იეროგლიფების სიმბოლური კითხვის მეთოდის სასარგებლოდ.

აკადემიკოს შამპოლიონის შერეულ, ფონეტიკურ-სიმბოლურ მეთოდს არაერთარი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია. სწორედ ამიტომ ის იმ სახურებს შეფასებას – ისტორიულად უსაფუძველო არაეგვიპტური წარმოშობის მეთოდი.

XVIII –XIX ს-ში ანტიკური კულტურის მიმართ დიდი ინტერესი აღიძრა. ეს ინტერესი იეროგლიფებსაც შეეხო. ამ დრომდე იეროგლიფების კითხვა მიმდინარეობდა ზემოთ აღნიშნული წიგნის (Hieroglyphica) მხედველი ანუ სიმბოლური მეთოდით.

1799 წელს ეგვიპტეში ქალაქ როზეტთან იქნა ნაპოვნი ქვა სამი ტიპის წარწერით.



სურ. 35. როზეტის ქვა.

პირველი წარწერა შესრულებული იყო ეგვიპტელთა იეროგლიფური დამწერლობით.

მეორე – ეგვიპტური დემოთური ანუ სახალხო დამწერლობით.

მესამე – ბერძნულ ენაზე. უნაიდან ბერძნული დამწერლობა ცნობილი იყო, ამიტომ მესამე ტექსტი წაკითხულ იქნა. იქ მოითითებული იყო მეცნიერებისათვის მეტად სასიხარულო ფაქტი. კერძოდ, ბერძნული ტექსტის შინაარსი მუორდება დემოთური და იეროგლიფური წერილშიც.

აქედან დადგინდა, რომ ადამიანებს ხელში ჩაუვარდათ უცვლელად გაშიფრული იეროგლიფური ტექსტი. მეცნიერებს დარჩენილი პქონდათ ცალკეული ბერძნული სიტყვის შესატყვისი იეროგლიფის მიგნება ეს თითქოსდა იოლი ამოცანა საკმაოდ რთული განსაზოვრელებელი აღმოჩნდა.

1814 წელს ამ ამოცანის ამოხსნას შეუდგა ინგლისელი მეცნიერი თომას იუნგი.

იუნგმა დაადგინა – უნაიდან დემოთურ ხელნაწერებში ასზე მეტი სხვადასხვა ნიშანია, ხოლო არცერთი აღფაფი არ შეიძლება შედგებოდეს ასზე მეტი ასოსაგან, ამიტომ დემოთურ წარწერაში არსებული ნიშნები გადმოგეცემენ სიმბოლურ სიტყვებს და არა ასოებს. ასევე სიმბოლური დანიშნულება მიანიჭა მან იეროგლიფურ წარწერებსაც. იუნგმა როზეტრის ქვაში დაადგინა იეროგლიფების 70 ჯგუფის აზრობრივი მნიშვნელობა. ასევე დაადგინა ცალკეული ფიგურების სიმბოლური მნიშვნელობები. ის თვლიდა, რომ გამონაკლის შემთხვევაში იეროგლიფები ფონეტიკურ დატვირთვას იღებენ, კერძოდ, ოვალურ ჩარჩოებში, იქ, სადაც მეფეთა სახელებია ჩანერილი.

1808 წელს როზეტრის ქვის შესწავლას შეუდგა ფრანგი მეცნიერი შამპოლიონი. 1821 წელს შამპოლიონი მადის დასკვნამდე, რომ სიმბოლური დატვირთვის იეროგლიფებს შორის უნდა იყოს ფონეტიკური ნიშნებიც. ამ დრომდე იგი ისევე, როგორც თომას იუნგი, თვლიდა, რომ ფონეტიკური ნიშნები მხოლოდ ოვალურ ჩარჩოებში – კარტუშებში მეფეთა სახელების ჩასაწერად გამოიყენებოდა. ხოლო კარტუშებს გარეთ იგი იეროგლიფებს სიმბოლურ მნიშვნელობებს ანიჭებდა. შამპოლიონმა წარმატებით მოახდინა ოვალურ ჩარჩოებში ჩანერილი ყველა მეფის სახელის წაკითხვა, რითაც სრულიად დამსახურებულად მოიპოვა აღიარება.

1822 წლის 14 სექტემბერს შამპოლიონმა განაცხადა, რომ მან შეიკვალა თავისი აზრი ოვალურ ჩარჩოებს გარეთ არსებულ იეროგლიფთა სიმბოლური ხასიათის შესახებ. და შესთავაზა საზოგადოებას იეროგლიფურ

ბის კითხვის სრულიად ახალი მეთოდი, რომელსაც დაერქვა შერეული ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდი.

იეროგლიფების ნიშნებს შორის შამპოლიონმა გამოყო სამი კლასი:

- მიმიკური ანუ ფიგურული ნიშნები;
- სიმბოლური მნიშვნელობის ნიშნები;
- ფონეტიკური ანუ ხმოვანი ნიშნები.

შამპოლიონი აღნიშნავს, რომ მიმიკური და სიმბოლური ნიშნები მოთავსებულია სხვა იეროგლიფთა შერე მნიშვნელების მიზნით. მისი აზრით, მიმანიშნებლები არ იკითხებიან, არამედ შოლოდ მიგვანიშნებენ იმას, რომ მათ ნინ მოთავსებულ იეროგლიფთა ჯგუფი გამოსახავს მიმანიშნებლის სიტყვით მნიშვნელობას.

შამპოლიონმა იეროგლიფების მცირე რაოდენობას მიანიჭა სიმბოლური მნიშვნელობა, ხოლო იეროგლიფების უმრავლესობას მან ფონეტიკურ-ხმოვანი მნიშვნელობა მიანიჭა.

ამგვარად შამპოლიონი დაუპირისპირდა ათეულობით საუკუნით არსებულ ეგვიპტურ სიმბოლურ მეთოდს და იგი შეცვალა ეგრეთწოდებული შერეულ სიმბოლურ-ფონეტიკური მეთოდით. როდესაც შეეუდეთ იეროგლიფების შესახებ არსებული ლიტერატურის გაცნობას, მეგონა, შემხედებოდა ძველი ეგვიპტური მეთოდის უარყოფის შესახებ შექმნილი რაიმე ნიგნი ან ნაშრომი, რომელშიც იქნებოდა საფუძვლიანად უარყოფილი ეს „უვარგისი“ მეთოდი. ასეთ შრომას მე ვერ ნაგანყდი.

ახალი მეთოდის შესვეურთა აზრით, ეგვიპტური სიმბოლური მეთოდით ზოგიერთი იეროგლიფი არ იკითხებოდა, ზოგიერთი იეროგლიფის შინაარსი კი მათთვის გაუგებარი იყო. ეს მოსაზრება თურმე საკმარისი გამოდგა 5000 წლოვანი მეთოდის დასამარცხებლად!..

იგივე მოსაზრება ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გამოეთქვათ ახალი მეთოდის მიმართ.

ახალი მეთოდით ანუ შერეული სიმბოლურ-ფონეტიკური მეთოდით ზოგიერთი იეროგლიფი არ იკითხება, ზოგიერთი ნაკითხული იეროგლიფის შინაარსი კი გაუგებარია. ეს მართლაც ასეა. მაშ რაღა საჭირო იყო მეთოდის შეცვლა, თუ ძველის დანუწების კრიტერიუმში ახალ მეთოდსაც მოერგო. აქ ალბათ სპეციალისტები შემომედაეებიან იმაში, რომ ახალი მეთოდის შესვეურთ გაცილებით მეტი იეროგლიფის ნაკითხვაზე აქვთ პრეტენზია, ვიდრე სიმბოლურითაა ნაკითხული. წემი

აზრით, რაოდენობა ყოველთვის არ განსაზღვრავს ხარისხს. რაში მაინტერესებს ნაკითხულ იეროგლიფთა რაოდენობა, თუ ნაკითხული შინაარსი სიცრუეა. განვიხილოთ ერთ-ერთი იეროგლიფი, რომელიც ახალი მეთოდით ნაკითხულ იეროგლიფთა სიაში შედის.



ახალი მეთოდით — „მ“ „რ“

სიმბოლური მეთოდით — „რა“-ს შედარება აღამაღლა ცაში სული პირამიდიდან”

როგორც ვხედავთ, მიღებულ შინაარსებს შორის უზარმაზარი სხვაობაა. ახალი მეთოდის მიხედვით აღნიშნულ იეროგლიფში ბოლო ფიგურა არის აღნიშნული იმისა, რომ დანარჩენ ოთხ ფიგურაში დაშიფრულია ამ შენობის სახელი. ხოლო თავად სიტყვა, რომელიც ამ ე. წ. აღნიშნულის წინა ფიგურებითაა მოცემული, გამოითქმება „მ“ „რ“ -თანხმოვანი ბგერებით. „ახლები“ თელიან, რომ ეგვიპტელები თანხმოვან ბგერებს ნერდნენ, ხოლო ხმოვან ბგერებს გულსხმობდნენ. ე. ი. მოცემული სიტყვის ბოლომდე გასახმოვანებლად უნდა იგულისხმობოთ „მ“ „რ“-ს წინ, შუაში ან ბოლოში — 0, ერთი ან რამდენიმე ხმოვანი, თავად შამპოლიონმა არ დაგვიტოვა ცოდნა იმის შესახებ, თუ სად რამდენი ხმოვანი ეიგულისხმობოთ. ჩნდება „მ“ „რ“-ს საწინააღმდეგო რამდენიმე არგუმენტი.

არგუმენტი 1.


ფაქტია, რომ აღნიშნულ იეროგლიფში მუწ ფიგურა  არის ჩვეულებრივი რიგითი ფიგურა. ეს ჩანს იქიდან, რომ ავტორი ანუ ეგვიპტელი მწერალი არავითარ საბაბს არ იძლევა საიმიტოდ, რომ ფიგურა მივიჩნიოთ განსხვავებული დატვირთვის მქონე ფიგურად ანუ აღნიშნულად. არავითარი ამის მიმანიშნებელი თავად ფიგურებში ეგვიპტელ მწერალს არ დაუტანია.

შესაძლოა, „ახლები“ მუწ ფიგურას აღნიშნულის დანიშნულებას იმოტივ ანიჭებენ, რომ ეს ფიგურა იეროგლიფების ბოლოში ხატია. ასეთ მსჯელობას აბსურდამდე მოვყავართ. ნებისმიერ იეროგლიფთა ჯგუფში ერთ-ერთი ფიგურა ყოველთვის ბოლოში ხვდება. მაშინ ყველა ბოლო ფიგურა იმის აღნიშნული ყოფილა, რომ მის წინა ფიგურებში ინახავენ ე. წ. აღნიშნულის სახელს. ე. ი. ეგვიპტელებს იეროგლიფებში უმეტესწილად სახელები ჩაუნერიათ. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა აბსურდულია.


გამომდინარე ზემოთქმულიდან, მე-5 ფიგურისათვის აღმნიშვნელის ფუნქციის დაკისრება შამპოლიონის კრძო ინოციატივად და თავად ევოლუციები აქ არაფერ შუაში არ არიან.

არგუმენტი II.


ენახით რა მოსდის ჩვენს მიერ ნაკითხული იეროგლიფის შინაარსს, როდესაც ფიგურებს რიგრიგობით გამოვაკლებთ.



„რა“-ს შედარმა აღამაღლა ცაში სული პირამიდიდან



„რა“-ს შედარმა აღამაღლა ცაში




„რა“-ს შედარი აღამაღლეს ცაში




აღამაღლეს ცაში


მცირდება იეროგლიფის რაოდენობა, ბუნებრივია, მცირდება სიტყვათა რაოდენობაც. ახლა განვიხილავთ თანამედროვე მეთოდით რა მოსდის იგივე იეროგლიფს ფიგურების რიგრიგობით შემცირების შემთხვევაში.



„მ“ „რ“



„მ“ „რ“



„მ“ „რ“



„მ“ „რ“

უზარმაზარი ძალის მქონე ცოფრი მოვლენა – ტორნადო, მტაცებელი ჩიტი, უზარმაზარი მისიის მატარებელი შენობა – პირამიდა ეხატება აქ თუ არ ეხატება, მაინც ორ ასოს „მ“ „რ“-ს იღებენ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია.

აშკარაა - ეს არაა ეგვიპტელთა აზროვნების ნაყოფი. ეს ავადმყოფობა აღნიშნულ იეროგლიფს ჩვენს ეპოქაში შეეყარა. ჩემი ღრმა რწმენით, ეგვიპტელები ერთ ხაზსაც არ გააუღებდნენ უაზროდ, აქ კი უზარმაზარი ფიგურების არსებობას აზრი აქვს დაკარგული.

არგუმენტი III.



ჩემი აზრით, იმისათვის, რომ ნაკითხულ იქნას 5-ფიგურიანი იეროგლიფი სიმბოლური მეთოდით, უნდა იცოდეს ხუთივეს მნიშვნელობა. შამპოლიონი ვერანაირად ვერ ნაკითხავდა წარმოდგენილ იეროგლიფს სიმბოლური მეთოდით იმ უბრალო მიზეზით, რომ 5 ფიგურიდან პირველი და მესამე ფიგურის მნიშვნელობები მისთვის უცნობი იყო. ასეთ შემთხვევაში ძველი მეთოდის მხოლოდ საკუთარ ყაიდაზე გადაყვანა და შემდეგ ძველის უარყოფა აძლედა თანამედროვე მეთოდის ავტორებს საშუალებას მოეხდინათ კითხვის შთაბეჭდილება.

1.  - შამპოლიონისა და მისი მიმდევრებისთვის ამ ფიგურის მნიშვნელობა დღემდე უცნობია.
3.  - ელიფსის ფიგურას შამპოლიონი ანიჭებდა პირის მნიშვნელობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ელიფსს ეანიჭებ თვალის კონტურის ფიგურულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ სიმბოლური მეთოდის მხარდამჭერი ინგლისელი მეცნიერი თომას იუნგი აღნიშნავდა წარმოდგენილ იეროგლიფს და თვალის ფორმის მსგავსებას - „ოვალს, რომელიც აგავს თვალს გუგის გარეშე“²⁰.

რატომ მიანიჭა შამპოლიონმა წარმოდგენილ იეროგლიფს პირის მნიშვნელობა?

გაგვიკვირდებათ, მაგრამ საქმე ისევ და ისევ აღფაეიტში ყოფილა.

შამპოლიონმა ოვალურ ჩარჩოებში მეფეთა სახელების კითხვისას ელიფსს მიანიჭა ასო „რ“-ს მნიშვნელობა. მან წარმატებით ნაკითხა მეფეთა სახელები. ამის შემდეგ ლექსიკონში მან მოაგნო სიტყვა პირს, რო-

მელოც ასო „რ“-ით იწყება და ვინაიდან ელიფსი ფორმით წააგავს პირს, მითუმეტეს ლექსიკონში პირი „რ“ ასოზე იწყება, ასე დაასკვნა შამპოლიონმა ელიფსის მნიშვნელობა – „პირი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შუიძლება ითქვას, რომ შამპოლიონმა ლექსიკონი გამოიყენა აღნიშნული ფიგურის მხატვრული სახის დასადგენად.

ჯერ ერთი – ისევე როგორც ძველ ეგვიპტურში, ასევე კოპტურში, ბერძნულსა თუ ებრაულში უამრავი სიტყვა იწყება ასო „რ“-ზე.

მეორეც – კოპტური არ არის ძველევგვიპტური!.. ძველევგვიპტური ენა არაფერ იცის. ეგებ სიტყვა „თვალ“-ც „რ“-ასოზე იწყებოდა ძველ ეგვიპტეში?

ენას, ლექსიკონს და დაშერლობას სწევია ცვლილებები. აიღეთ თუნდაც ქართული დაშერლობა და ლექსიკონი. 5000 წლის წინ განა სიტყვა „პირი“ ასო „პ“-ზე იწყებოდა? ვინ მოგეცემს ამის გარანტიას?

მოადით, მოუფსმინოთ, რა აზრს გამოითქვამს რუსი მეცნიერი ნ. ს. პეტროვისკი ძველევგვიპტურ, შუაევგვიპტურ, ახალევგვიპტურ, დემოთურ, კოპტურ ენებზე და მათ სახეცვლილებაზე”.

„ძველევგვიპტური ენა I-VIII დინასტიის დროის (XXX-XXIII საუკუნე ჩვ. წ. აღ.-მდე) საზოგადოების ენას წარმოადგენს. იგი ძველი სამეფოს ენაა, ე. ი. პირამიდის ტექსტების“ – ენაცაა. პირამიდის ტექსტები კი მხოფლიოში უძველეს რელიგიურ ტექსტებს წარმოადგენს.

შუაევგვიპტური ენა – ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება შუა მეფობის ცოცხალი და სალიტერატურო ენა ამ სიტყვის ფართო გაგებით (IX-XIII დინასტია).

ახალევგვიპტური ენა – ახალი სამეფოს და ნაწილობრივ უფრო გვიანდელი ხანის (XVIII-XXIV დინასტიის) სალაპარაკო საწმიანი დოკუმენტების ენაა მიაბლოებით XVII-VII საუკუნის ჩვ. წ. აღ.-მდე. ხოლო ჩვ. წ. აღ.-მდე XV ს-დან იგი სალიტერატურო ენადაც გვევლინება. დღევანდელ დღეს არსებობს აზრი, რომ ახალევგვიპტური ენა არ წარმოადგენს შუაევგვიპტურის გაგრძელებას. მართლაც, ახალევგვიპტური საგრძნობლად განსხვავდება შუაევგვიპტურისაგან.

დემოთური ენა – ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება დოკუმენტების და სალიტერატურო ენა, რომელიც შესრულებული იყო დემოთური დაშერლობით. VIII ს. ჩვ. წ. აღ.-მდე.

კომპტურ ენა - წარმოადგენს ეგვიპტური ენის ბოლო საფეხურს (III ს. ჩვ. წ. აღ-დან VII-XII - მდე). ამ ენაზე საუბრობდნენ ქრისტიანი კომპტები, ძველი ეგვიპტელების შთამომავლები. კომპტებმა აითვისეს ბერძნული ალფაბეტი. დაამატეს მას რამდენიმე დემოთური ნიშანი იმ ბგერათა გადმოსაცემად, რომელიც არ უკონდა ბერძნულს. კომპტურ ლექსიკონში დიდი ადგილი ბერძნულმა სიტყვებმა დაიკავეს."

აღნიშნულის გარდა, არსებობს სხვა მრავალი ინფორმაცია, რომელიც მეტყველებს ეგვიპტური ენის განვითარებასა, სახეცვლილებასა და არსებობის შეწყვეტაზე.

ახ. წ. აღ. IX ს-ში იწყება კომპტური ენის დაქინება. რამოდენიმე საუკუნეში იგი წყვეტს თავის არსებობას, როგორც სალაპარაკო ენა. მას შემდეგ მხოლოდ ქრისტიანი კომპტი მღვდლები იყენებენ მას ლეთის-მსახურების დროს. როგორც ცნობილია, ძველ ეგვიპტეში რამდენიმე დიალექტი არსებობდა. შემდეგ ენამ მრავალგზის განიცადა ცვლილება. თავად კომპტურშიც თურმე 5 დიალექტი ყოფილა. აღნიშნული სირთულეების გარდა, როგორც ვიცით, ქრისტესობამდე 525 წელს ეგვიპტური ცივილიზაცია დაიშალა. იქ ასობით წლობით შეფობდნენ უცხო ტომები: ბერძნები, რომაელები, არაბები. დამპყრობლები თავის ენით მართავდნენ ქვეყანას და არა ეგვიპტურით. ასე რომ, მათი ენა ძლიერ ზიანს მიაყენებდა ადგილობრივ ენას. ამის კარგი მაგალითია ის, რომ არაბულმა კომპტური ენა საერთოდ გამოდევნა ეგვიპტიდან. ახლა დაესვათ კითხვა - რამდენად გამართლებულია უძველესი დროის იეროგლიფების სიტყვითი მნიშვნელობების დადგენა კომპტურ, ებრაულ და ბერძნული ლექსიკონების დახმარებით? ვინ მოგვექმს იმის გარანტიას, რომ სიტყვა „პირი“, ზუსტად ისე გამოითქმებოდა ძველ ეგვიპტეში, როგორც ეს აღნიშნულ ლექსიკონებშია დღეს?!

კომპტურ ენაში უცვლელად შეიძლება იყოს შემორჩენილი მცირე რაოდენობა იმ სიტყვებისა, რომლებიც ძველ ეგვიპტეში არსებობდა, მაგრამ არავინ იცის, რომელია ისინი... უმეტესობა მათგანი სახეცვლილი იქნება დროის მსვლელობის გამო ან დამპყრობთა ენების ზეწოლის შედეგად. ამისდა მოუხედავად შამპოლიონი და მისი მიმდევრები აღნიშნულ ლექსიკონებში ეძებენ იეროგლიფთა სიტყვით მნიშვნელობებს. იეროგლიფები კი რამდენიმე ათასი წლით ხანდაზმულია, ვიდრე აღნიშნული ლექს

სიკონები. მათ შორის დიდი შეუთავსებლობაა, მაგრამ შამპოლიონი და „ლექსიკონები“ ხომ განუყრელი მცნებებია...

ჩემი აზრით, ადამიანის პირის დასახატად ან დახატული პირის ფიგურის ამოსაცნობად საკმარისი უნდა ყოფილიყო სხვა ადამიანზე დაკვირვება ან ბოლოს და ბოლოს სარკეში ჩახედვა. ახალი მეთოდის მიმდევრებმა სარკეში ჩახედვას აღფაფტში ჩახედვა ამჯობინეს და ასე დაადგინეს, თუ რა დახატა ეგვიპტელმა აღნიშნული იეროგლიფით.

შოდით, თავად ეგვიპტელ მხატვრებს დაეკუთხოთ, რა ფიგურა ხატია ელიფსის სახით.

ეგვიპტელები ადამიანების თვალს და პირს, იეროგლიფების გარდა, გამოსახავდნენ ადამიანთა ფიგურების შესრულებისას.

აქ წარმოადგენილია ეგვიპტელთა მიერ შექმნილი სხვადასხვა ადამიანის თვალის და პირის ფიგურები.



ტუტანხამონის თვალის კონტური



ტუტანხამონის პირის კონტური



ქნატონის თვალის კონტური



ქნატონის პირის კონტური



სფინქსის თვალის კონტური



სფინქსის პირის კონტური



ელიფსი

შუაში ჩავსვით საკამათო ფიგურა ელიფსი და მოვახდინოთ მათი შუადარება. იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც აცხადებენ, რომ ელიფსი არის პირი, იბადება კითხვა:

– თუ ელიფსი არის პირი და არა თვალის კონტური, მაშინ როგორ ხატავდნენ ეგვიპტელები თვალის კონტურს?

– რატომ ნაართვით ეგვიპტელებს თვალის კონტურის დახატვის უფლება? ისინი ხომ ამ ფიგურას ელიფსის გარდა ვერანაირი სხვა ფიგურით ვერ გამოსახავდნენ?

– რატომ ადანაშაულებთ ასეთი სიზუსტეების მქონე მხატვარ ეგვიპტელებს უზარმაზარ უზუსტობაში?

პირსა და თვალს შორის არის განსხვავება, რაც მშვენივრად ჩანს ეგვიპტელთა მიერ შექმნილ ადამიანთა გამოსახულებებში. ეგვიპტელები ამ მოცემულ საკამათო ელიფსის ფიგურას არ დააკლებდნენ რამდენიმე შტრიხს, რათა მიუღოთ „პირის“ ფორმა, ხოლო ელიფსი დარჩენილყო იმ ფიგურად, რაც სინამდვილეში თვალის კონტურია.

არ გამოერიცხავ, რომ არსებობდეს დამატებით შტრიხებიანი ელიფსის იეროგლიფი, რომლითაც ეგვიპტელები გამოსახავდნენ „პირს“. შამ-პოლიონის აღმოჩენებისადმი მიძღვნილ ნიგნში²² მოცემულია იეროგლიფი, რომელიც ნათელს აჩვენს საკამათო ფიგურის რაობას.




ხურ. 36.

კარტუშის ბოლოდან მესამე იეროგლიფი, აშკარად განსხვავდება კარტუშის ბოლო ელიფსის ფიგურისაგან.

ისმება კითხვა – თუ ეს ორივე ფიგურა „პირია“, რატომ განასხვავა მათი ფორმები ერთმანეთისაგან ავტორმა?

კიდევ ერთხელ მოყახდინოთ ზემოთ აღნიშნული შედარება. ამჯერად შესადარებელ ფიგურებად წარმოვიდგინოთ აღნიშნული კარტუსიდან ამოღებული ბოლო და ბოლოდან შესამე ფიგურები:



ამ შედარებებიდან ირკვევა, რომ ელიფსის მაგაესი ფიგურა, რომელსაც კიდები ძირს აქვს ჩამოწეული, გაცილებით მეტად ჰგავს ეგვიპტელების მიერ დახატულ პირს, ვიდრე თავლის კონტურს, ხოლო მის გვერდით წარმოდგენილი იდეალური ელიფსის ფიგურა გაცილებით მეტად ჰგავს თავლის კონტურს, ვიდრე პირს.

ამ მცირე განმასხვავებელი შტრიხებით ეგვიპტელმა მწერალმა გადაადგა ნაბიჯი იმისკენ, რომ იეროგლიფების ნამკითხველს არ აერიოს მაგაესი იეროგლიფების ფიგურული მნიშვნელობები ერთმანეთში.

იეროგლიფებში გვხვდება ელიფსის სხვადასხვა ფორმები:

 ... ჩემი აზრით, მათ შორის არსებული ჩვენთვის ერთი შეხედვით უმნიშვნელო სხვაობები ეგვიპტელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა და ყოველი მცირეოდენი სხვაობა, აბაღი სიტყვის მიმანიშნებლის როლს შეასრულებდა. სამპოლიონის მიხედვით კი ყველა ეს ფიგურა „el“ ასოსთანაა დაკავშირებული.

სამპოლიონის მიერ ნახატის ამოცნობამ ლექსიკონის მიხედვით და იეროგლიფებისათვის ასოთა მნიშვნელობების მინიჭებამ ფიგურათა

მატერულ მხარეს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა შესძინა, რამაც მათი მატერული მხარის უგულებელყოფა განაპირობა.

არგუმენტი IV.

უძველეს ისტორიკოსთა მიერ დატოვებული ხელნაწერები ეგვიპტისა და პირამიდების შესახებ გაგლენთილა სულიერებაზე საუბრით. ზოგიერთი თანამედროვე მოღვაწე აკრიტიკებენ მათ ამის გამო და იმასაც კი ამბობენ, რომ სწორედ ეს ხანაწერები უბნევენ გზას იეროგლიფთა გამოყენებაში მოღვაწე თანამედროვე მეცნიერებს. ძველი ხანაწერების რა ბრაზილია, თუ ზოგიერთი მეცნიერი ვერ მიხვდა რომ სულიერების ფაქტორი მართლაც დიდ როლს თამაშობდა ძველ ეგვიპტელთა ცხოვრებაში და ეს ფაქტი შესაბამისად და კანონზომიერად აღიბეჭდა ძველ ხელნაწერებში.

გამოაცალეთ სულიერების ნიშანი პირამიდების მშენებლობას და მათი შენება იდეაშივე გაქრება. გამოაცალეთ სულიერების ნიშანი აქ მოყვანილ იეროგლიფებს და მათი ნაკითხვის შესაძლებლობა სამუდამოდ დაიკარგება.

სამარხების ტექსტებში ძალზე ბევრგან გვხვდება ერთად ტორნადოს, ჩიტისა და ელიფსის ანუ ცის ფიგურები. მათი ერთობლიობა იძლევა ცაში სულის ასელის იდეას და თუ ჩვენ უარს ვიტყვით „ელიფსის“ - „ცის“ მნიშვნელობაზე, მაშინ ამ ფიგურების ერთობლიობა კარგავს სულიერების ნიშნს. ჩვენს მიერ განხილული ელიფსისთვის ცოური მნიშვნელობის მინიჭება გვაძლევს უფიქრეს შედეგს. ტორნადო, ცა და ჩიტი ეს ზომ თავისთავად განუყოფელია ერთმანეთისაგან და მერე სად? იმ ადამიანების სამარხებში, რომელთათვისაც ცაში სულის ფრენა, ცოური მარადიული ცხოვრება იცნებად იყო ქცეული. აღნიშნული იეროგლიფის სიმბოლური კითხვის მეთოდით მიღებული შინაარსი ამაგრებს პირამიდის ისტორიულ დანიშნულებას და მის არსს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იეროგლიფების ეპოქაში მცხოვრებმა ადამიანებმა იცოდნენ მათი სიმბოლური დანიშნულება. აღნიშნულ ცოდნას ეგვიპტელები იყენებდნენ პრაქტიკაში, კითხულობდნენ რა იეროგლიფებს სიმბოლური მეთოდით. საინტერესოა, როგორ ხსნიან ამ ფაქტს იეროგლიფების კითხვის თანამედროვე მეთოდის შესვეურნი¹²:

„მითუშეტეს არ არის არაფერი გასაკვირი, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ დროს არ ცხოვრობდნენ ეგვიპტეში, მაგრამ ინტერესს გამოთქვამდნენ ეგვიპტური დაშენებლობის

მიმართ (მაგ., უდიდესი ისტორიკოსი რომიდან ტაციტი - I-II ს. ახ. წ. აღ.; დიონი კასი - II-III ს. ახ. წ. აღ., ამიან მარცელინი - IV ს. ახ. წ. აღ.) სწორედ ასახელებდნენ ცალკეულ იეროგლიფებს, რომლებიც იძენდნენ ამა თუ იმ სიტყვით ან შეგრიძებით მნიშვნელობებს, რაც ადასტურებს დამწერლობის მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ნელთალრიცხვის პირველ საუკუნეებში, არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც, ეჭვგარეშეა, პრაქტიკულად კარგად იცოდნენ ეგვიპტური დამწერლობა. ამაზე შეტყველებს იეროგლიფებისა და დემოთური დამწერლობის არსებობის დასასაჩუქრის თარიღები (იეროგლიფები - 395 წ.)

ამას გარდა ამიან მარცელინმა ბრწყინვალედ გადათარგმნა ბერძნულ ენაზე იეროგლიფური ხელნაწერი ერთერთი ობელისკიდან, რომელიც ეგვიპტელ გერმაპიონს ეკუთვნოდა და მაინც ეგვიპტური დამწერლობის სისტემის აღქმის თეორიული ცოდნა დაკარგული იყო¹⁴.

ნ. ს. პეტროვსკი.

როგორც ბოლო აბზაციდან გამოჩნდა „ახლები“ შეუპოვარი ენერგიით ცდილობენ შთაგუწინერგონ, რომ იეროგლიფების ფუნქციონირების ეპოქაში მცხოვრებმა ეგვიპტელებმა არ იცოდნენ ეგვიპტური დამწერლობის თეორია, თუმც იმას ვერ მალავენ, რომ „უცოდინარი ეგვიპტელები“ მაინც კითხულობდნენ იეროგლიფებს...

ანალოგიურ აზრს ანეითარებს ვ. ი. პეტროვსკაია თავის სტატიაში¹⁵.

„არსებული გარჩევები ადასტურებს, რომ პიროპოლონი სწორედ აღნიშნავს იეროგლიფის იდეოგრაფიკულ მნიშვნელობას, რომელიც ხანდახან იეროგლიფით დანერილი სიტყვის სწორ მნიშვნელობასაც იძლევა (იეროგლიფი „ურდღელი“ - „გახსნილი“). ამავე დროს სიტყვის ხმოვან მხარეზე მას აღარავითარი წარმოდგენა არ აქონდა, თუმცა მაინც მოპყავს იეროგლიფთა გარჩევის მაგალითები, რომლებიც, როგორც ჩანს, დაფუძნებულია ცრუ „ეტიმოლოგიურ“ ალიტერაციის გზით“.

ამ რიგად ვ. ი. პეტროვსკაიას აზრით პოროპოლონს ცრუ გარჩევის გზით მიუღია კურდღლის იეროგლიფის სიმბოლური სიტყვითი მნიშვნელობა „გახსნილი“. თუმცა, თავად მიღებული სიტყვა სწორი ყოფილა. თანამედროვე მეთოდის მიხედვით კი, კურდღლის ფიგურას უნდა მიენიჭოს ხმოვანი, ბგერითი მნიშვნელობა და ამ გზის გაველით ლექსიკონიდან უნდა იქნეს მიღებული სიტყვა „გახსნილი“... არადა ეგვიპტელებს პქონდათ კურდღლისათვის აღნიშნული სიმბოლური მნიშვნელობის მინიჭების საფუძვლიანი მიზეზი და რომ არა მათ მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია, შესაძლოა ვერასდროს ვერ ამოგვეცნო აღნიშნული იეროგლიფის შესაბამისი მნიშვნელობა. იმისათვის, რომ კარგად ჩავენვდეთ „ახლების“ კრიტიკის უსაფუძვლობას, გავეცნოთ, თუ რატომ ანიჭებდნენ ძველი დროის ადამიანები კურდღლის ფიგურას სიტყვა „გახსნილის“ სიმბოლურ მნიშვნელობას, წიგნიდან *"Hera Pollinis Hieroglyphica"*¹⁵ აბ. წ. IV ს.

„გახსნილის აღსანიშნავად, ისინი ხატავდნენ კურდღელს, იმ მიზეზით, რომ ამ ცხოველს ყოველთვის გახსნილი აქვს თვალები“.

როგორც ზედავთ თავად კურდღელი იძლევა სიმბოლურად სიტყვა „გახსნილის“ მინიჭების მიზეზს. უძველესი ისტორიკოსები კი იძლევიან იმის საბაბს, რომ იეროგლიფური დაშვრლობა სიმბოლურად მივიჩნიოთ. გასაკვირი რჩება ერთი – რაღას უჩიან ახლები კურდღელს.

დედამონაზე არა ერთი ცრუ სწავლება არსებობს. უმეტესი მათგანი ერთნაირი ხელნერით არის ჩამოყალიბებული, ისინი:

თავდაპირველად შეისწავლიან და საზრდოობენ პირველწყაროდან.

შემდგომში ხდება პირველწყაროდან მიღებული ცოდნის გადმოთავისება, გადაკეთება.

თავისი სწავლების დასამკვიდრებლად პირველწყაროს უარყოფენ.

სწორედ ასეთი რიგითობა დაიცვა შამპოლიონმა, რომელიც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ნახევარში სრულიად ემშრობოდა ეგვიპტურ სიმბოლურ მეთოდს და, რა თქმა უნდა, შეისწავლიდა ზემოთ აღნიშნულ ეგვიპტურ სახელმძღვანელოს.

ამის შემდეგ მის შემოქმედებაში დგება მეორე – გადმოთავისების ეტაპი, და, როგორც ზედავთ, იგი მშვენიერად ართმევს თავს ამ ამოცანას, ანიჭებს რა სიმბოლურ ფიგურებს ფონეტიკურ ნიშნებს.

შესაბუთებელი - გადაკეთების შემდეგ საკუთარი მეთოდის დასამკვიდრებლად უარყოფს პირველწყაროს ანუ კითხვის ეგვიპტურ სიმბოლურ მეთოდს და ამკვიდრებს ახალს. შამპოლიონის სამეცნიერო ექსპედიციებს აღინანებდა დიდი ფრანგი რევოლუციონერი ნაპოლეონი. ჩემი აზრით, ამ ეპოქის რევოლუციის ტალღა მეცნიერებასაც შეეხო. თავად შამპოლიონმაც შეიძლება ითქვას „რევოლუციური“ ნაბიჯები გადადგა იეროგლიფებში, გაანადგურა რა ძველი სიმბოლური მეთოდი და შექმნა ახალი.

მოდით, ერთი წამით ავყვეთ შამპოლიონის იდეებს, დავუხმაროთ მას და განვატყუროთ. თუ რევოლუციაა, რევოლუცია იყოს! ყველანი დავურაზმოთ ძველევგვიპტური სიმბოლური მეთოდის წინააღმდეგ!

იმისათვის, რომ დაეამკვიდროთ შამპოლიონის მეთოდი, რომელსაც არ გააჩნია ისტორიული საფუძვლები, საჭიროა, ყველა ის ისტორიული წიგნი, რომლებიც მოგვითხრობენ იეროგლიფების სიმბოლურ არსზე, განადგურდეს. დაენუთ, ამოუბოთ ეს ფურცლები ისტორიოდან, იმიტომ, რომ ისინი ხელს უშლიან თანამედროვე მეთოდის არსებობას. ასევე საჭიროა რამენაირად დაეახუჭინოთ თვალი კურდღელს, ეს გაცილებით უფრო რთული ამოცანაა, ვინაიდან ეგვიპტური ცივილიზაციიდან მოყოლებული თურმე კურდღელს ეს თვისება გააჩნია, იგი თვალს არ ხეჭავს არც ძილისას, არც სიკვდილისას... და მას დღემდე არ დაუხუჭავს თვალი, რის გამოც მისთვის იეროგლიფებში სიტყვა „გახსნილი“ სიმბოლური მნიშვნელობა მოუნიჭებიათ ეგვიპტელებს. ეს გარემოება ძალიან გვიშლის ხელს, იმიტომ თვალებს თუ არ დაუხუჭავს ეს ჯოჯოხი ცხოველი, ხელი მაინც აუაფაროთ ან აუეკრათ თვალები!.. განა ეს ჩვენ არ შეგვიძლია?!. თუ არც გაგვიკეთებია?! განა კურდღელი შეიძლება იქცეს განსწავლული ცივილიზაციის შემაჩერებელად?!

კურდღელმა ამ ცრუ სწავლებაზე არ დაუხუჭა თვალები, მაგრამ რა ვუყოთ იმათ, ვინც დაუხუჭა თვალი, ნაუყრუა ისტორიის ლოგიკას, პირველწყაროს ზურგი შეატყია, შეისწავლა ეს ცრუ სწავლება და სხვადასხვა ასწავლის მას...

80-იან წლებში წვენც გვასწავლიდნენ ერთ ცრუ სწავლებას - „შეცნიერულ კომუნიზმს“. ამ დროისათვის არც ლექტორებს, არც სტუდენტებს აღარ სჯეროდათ ბელადის გამონათქვამები ძირმომშალი კაპიტალიზმის შესახებ, მაგრამ სწავლის პროცესი მაინც მიმდინარეობდა... ეს იყო მომაცვედავი სწავლება და სულ მალე აღესრულა კიდევ.

საინტერესოა, რა მიდგომით ხორციელდება აკ. შამპოლიონის მეთოდის სწავლება დღეს.

ბუკლებად უნდა გავაანალიზოთ შემდეგი საკითხი:

შეიძლება შამპოლიონის მიერ ნაკითხული ზოგიერთი იეროგლიფის შინაარსი სწორი იყოს თუ არა?

ჩემი აზრით, შეიძლება. და აი, რატომ. დაუკვირდით მისი მეთოდის სახელს. „შერეული ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდი“, სადაც იეროგლიფების უმეტესობა ფონეტიკური მნიშვნელობისაა, ხოლო მცირედი მათგანი სიმბოლურის.


სადაც აღნიშნული მეთოდის მიმდევრები იეროგლიფებს სწორად მიაჩნებენ სიმბოლურ მნიშვნელობას, იქ, რა თქმა უნდა, შინაარსი სწორი იქნება.

თქვენ ნახეთ თუ როგორ დღეში ჩააგდეს კურდღლის სიმბოლური მნიშვნელობა „გახსნილი“. თუ ისინი კურდღლის ფიგურის მაგივრად ასოებს იგულისხმებენ, შემდგომში ამ ასოებით ლექსიკონის გავლით ისევე სიტყვა „გახსნილს“ შემოგეთავაზებენ, მაშინ მეთოდი გადაკეთებული იქნება, ხოლო შედეგი იგივე. ასეთ შემთხვევაშიც, კითხვა კვლავ სწორ შინაარსს მოგვცემს. აღსანიშნავია, რომ „ახლებში“ სიტყვის მიღების აღნიშნული მიდგომა არა მარტო კურდღლის იეროგლიფის მიმართ გამოაველინეს...

და, რა თქმა უნდა, მათთვის უცნობი ფიგურებისაგან შემდგარი

იეროგლიფები (𐀀-𐀁 „მ“ „რ“), სადაც მათ მიერ ნაკითხული იეროგლიფის შინაარსი აშკარა სიცრუეა. და არაეინ იყოს, რამდენი ასეთი ცრუ ტექსტი აქვთ მიღებული ახალი მეთოდის მიმდევრებს. მათ თავის მეთოდს „შერეული ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდი“ შეარქვეს. მე ამ მეთოდით ნაკითხულ იეროგლიფთა შინაარსებს „სიცრუითა და სიშარბლით ნაზავს“ ვუწოდებდი.

კვლავ მოვიყვანოთ ზემოთ განხილული იეროგლიფი, რომელიც პტახ ხოტეპის სამარხიდანაა ამოღებული.



აღნიშნულ იეროგლიფში მოცემული 22 ფიგურიდან მინიმუმ 8 ფიგურის სიმბოლური მნიშვნელობა შამპოლიონისთვის უცნობი იყო:





თავად განსაზღვრეთ, როგორ მიიღებდა მის მიერ წაკითხული იეროგლიფი ქეშმარიტ შინაარსს?..

ამ „კოდნის“ მქონე ადამიანმა შეცვალა თავად მეთოდი. ეს საკვირველია... აღნიშნულ იეროგლიფში აშკარად ჩანს ის, თუ რამ უბიძგა შამპოლიონს მეთოდის შეცვლისკენ. მან უცნობი იეროგლიფების სიმბოლური მნიშვნელობის ამოცნობა ვერ შეძლო, შესაბამისად ვერც სიმბოლური მეთოდით კითხვას შეძლებდა. გამოსაეალი ქეშმარიტი გზიდან გადახვევაში ნახა – უარყო სიმბოლური მეთოდი, მიანიჭა ფიგურებს ასოთა მნიშვნელობები, ასოებით კი ეძებეთ ლექსიკონებში სიტყვები... ნაპოვნი სიტყვებით იეროგლიფების მაგივრად მიიღებთ წინადადებას. შეიძლება ეს წინადადება საერთოდ არ ემთხვევა ეგვიპტელების მიერ მოცემულ შინაარსს, მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოს უკვე უნდა – „იეროგლიფების მაგივრად მიღებულია წინადადებები“...

მოვიყვანოთ კიდევ ერთი იეროგლიფი, რომლის მაგივრადაც ახალი მეთოდით მიღებული შინაარსი ერთობ საკვირველ შთაბეჭდილებას ტოვებს.

DIAGNOSIS

XV 8-9



თარგმანი:

დიაგნოზი

XV 8-9

არ უნდა თქვა მის შესახებ: „მას აქვს ნეკნების მოტეხილობა, სადაც მას მიაყენეს ქრილობა. მკურნალობას არ ექვემდებარება“.

თარგმნა ახალი მეთოდითაა შესრულებული²⁴. გამოცემა 1930 წ.

სიმბოლური კუთხით დავახასიათოთ ზოგიერთი იეროგლიფი:

პირველი რიგის მერვე ფიგურა Δ ნეერმოჭრილი პირამიდაა შიგ ჩახატული ტორნადოს ფაზით, მას თან ახლავს თვალსაწიურის ანუ ცის კონტურის ფიგურები, თუმცა ახალი მეთოდით ნაკითხულ შინაარსში რაიმე მსგავსი სიტყვა არ შეგვხვდრია.

მეორე რიგის პირველმა ოთხმა ფიგურამ სიმბოლური მიდგომით მეტად საინტერესო შინაარსი შეიძლება მოგვცეს:

დადგება დღე \uparrow , შეხედებიან \Rightarrow (?), გადაშვეთი \times , სხივები \uparrow .

ნიგნის მეტეოროლოგიურ ნაწილში ჩვენ არაერთხელ შეგვხვდა ტერმინი — ჯამური რადიაცია, რომელიც გადაშვეთი სხივებით მიიღება პირამიდის გარშემო ტერიტორიაზე. ლოგიკურია ამ ჩანაწერის არსებობა იეროგლიფებში (ფიგურის \Rightarrow საბოლოო სიმბოლური მნიშვნელობა ძიების საგანია).

მესამე რიგში ჩვენთვის ნაცნობ ფიგურებთან ერთად რამდენიმე ახალი ფიგურაა შემოტანილი, კერძოდ:

მე-4 ფიგურა — ☉ — ამ ფრინველს ზოგან სიტყვა „ცუდი“-ს მნიშვნელობას ანიჭებენ, ზოგან სიტყვა „დიდი“-ს მნიშვნელობას. ჩემთვის უცნობია ამ ფიგურის სიმბოლური მნიშვნელობა.


მე-5 ფიგურა — ☽ — უარყოფის ნიშნად ადამიანის გაშლილი ხელები — „არა“

მე-6 ფიგურა — ☾ — „ხედავს“, „იანს“

მე-7 ფიგურა ☼ — უცნობია? აქ შეიძლება შოლოდ ვივარაუდოთ. ჩემი აზრით, ადამიანს როდესაც სურს მიგვანიშნოს „ყველა“ ტერიტორიაზე, „ყველა“ საგანზე ან „ყველა“ ადამიანზე ერთად, იგი აკეთებს ხელის მოძრაობას, რომელი მოძრაობის მონახაზიც უკავს აღნიშნულ ფიგურას. დღევანდელ სინამდვილეში ძალზე ხშირად ვხედავთ ადამიანის ხელით აღნიშნული მონახაზის შესრულებას, მაშინ, როდესაც ის გეოგრაფიულ რუკაზე დიდ ტერიტორიას აღნიშნავს. მაგ. — ამინდის პროგნოზის გაკეთებისას. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მე-7 ფიგურა იძენდეს სიმბოლურ მნიშვნელობას — „ყველგან“ (ფიგურის ☼ საბოლოო მნიშვნელობა ძიების საგანია).

მე-8 ფიგურა ☽ — „წყლის დინება“, „წყლის გამოღწევა“, „წყლის გამოსვლა“ (ფიგურის ☽ საბოლოო მნიშვნელობა ძიების საგანია).

გთავაზობთ მესამე რიგში მყოფ იეროგლიფების შესაძლო სიმბოლური შინაარსს:



რა"-ს მხედარი აღამაღლებს ცაში სულს. რა (?) აღარ ჩანს ყველგან
წყლის გამოფენა".

მიღებული შინაარსის პირველ წინადადებაში მითითებულია ის, თუ
ეინ აღამაღლებს ცაში სულს (რა"-ს მხედარი).

ისტორიულად ცნობილია, ეგვიპტეში წყალდიდობის წლებს შორის
იყო წლები, როდესაც ნილოსის წყალი არ იწვედა სასურველ სიმაღლემ-
დე. ხოლო, საბოლოო ჯამში, წყალდიდობამ ეგვიპტეში საგრძნობლად
იკლო. შესაძლოა, აღნიშნული იეროგლიფი შეიქმნა სწორედ ასეთ
წლებში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული იეროგლიფის მეორე წინადა-
დებაში გამოთქმულია აზრი „არ ჩანს წყლის გამოფენა“. რა ფაქტიც, რო-
გორც უკვე ვიცით, ძალზე შეუშლიდა ხელს პირამიდაზე რა"-ს მხედრის
დაშვებას. ასე რომ, სიმბოლური კითხვით მიღებული შინაარსი შორს არ
არის ჭეშმარიტებისგან.

არჩევანი „უარესა“ და „ცუდს“ შორის

იეროგლიფების ფიგურათა ამოცნობის ცოდნის დაკარგვის გამო ჩვენ ვერ
რასდროს ვერ შევძლებთ ეგვიპტურ დაწერლობაში არსებული ყველა
ტიქსტის ნაკითხვას. ჩემი აზრით, სწორედ ამ გარემოებასთან შეგუება
გაუჭირდათ XIX-XX ს-ში მოღვაწე მეცნიერთა ერთ ჯგუფს, რომლებმაც
მიზნად დაისახეს ყველა ხერხით გადაეღებათ ეს ბარიერი. აღნიშნულმა
მეცნიერებმა წარუდგინეს საზოგადოებას ახალი მეთოდი, რის შედეგა-
დაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა გააკეთა არჩევანი „უარესა“
და „ცუდს“ შორის. „უარესად“ ჩაითვალა ეგვიპტური მეთოდი, ეინაიდან
სიმბოლურად იეროგლიფების გაშიფერა არ ნებდებოდა ადამიანის გო-
ნებას. „ცუდად“ ჩაითვალა აღნიშნული ახალი მეთოდი, რომელიც რან-
გით „უარესზე“ მაღლა დადგა. ახალმა მეთოდმა იმით დაამსახურა შედა-
რებით მაღალ რანგზე დგომა, რომ მისი გამოყენებით, როგორც აღნიშ-
ნეთ იეროგლიფების ნაცვლად შესაძლებელი გახდა „წინადადებების მი-
ღება“... ყველაზე თვალწარმტაცი ამ ახალ ხისტიემაში არის ის, რომ მას-
ში არსებობს აღფაეიტები, ცხრილები, სისტემები, ჭეშმარიტებები. ამ

საილუსტრაციო მასალით ახალმა აშკარად გაუსწრო ძველს. მრავალმა ადამიანმა გამოთქვა ეჭვი ამ სიახლესთან დაკავშირებით. მაგრამ საზოგადოების ძირითადმა ბირთვმა ახლის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. ვინაიდან, ჩვენს ეპოქაში ლამაზი ცხრილები გაცილებით უფრო დიდად ფასობს, ვიდრე ეგვიპტელების ინფორმაციები იეროგლიფთა სიმბოლური არსის შესახებ. მათ წიგნებშიც კი, რომლებიც ზოტბას ასხამენ შამპოლიონის სიახლეს, იგრძნობა ის უსაფუძვლოება, რომელიც ახასიათებს ახალ მეთოდს. მაგ. ი. ფრიდრიხის წიგნში „დავინწყებულ ზელანდურთა დემოფირება“ ვკითხულობთ²⁷:

„მინდა აღვნიშნო, რომ ამ წიგნში არსებული ეგვიპტური დამწერლობის ანალიზი (იგულისხმება ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდის ანალიზი) მოცემულია თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რომელიც არ არის აღმოცენებული ეგვიპტური სიტყვებიდან“.

გასაკვირი ისაა, რომ ამის შემდგომ ავტორი იწყებს, როგორც თვითონ დაახასიათა, ისტორიულად სრულიად უსაფუძვლო კითხვის მეთოდის ზოტბის შესხმას. არადა, რატომ არ უნდა აქონდეს ახალ მეთოდს ისტორიული საფუძველი?... ერთგან მინც, რატომ ვერ მოიძიეს სიტყვები – იეროგლიფური დამწერლობა შერეული სიმბოლურ-ფონეტიკური არხისა...

შამპოლიონის მეთოდი კითხვის ცრუ ეფექტს ახდენს დიდი აღფაეიტების მეშვეობით. „ფონეტიკური იეროგლიფის პარამონიულ ცხრილში“, ძველებრაულ, კოპტურ და ბერძნულ ანბანებიდან აღებული 26 ასოს მინიჭებული აქვს 134 ეგვიპტური ნიშანი. ხოლო „გრამატიკაში“ კოპტური ასოები 26-მ ეგვიპტურ ნიშანთანაა გაიგივებული²⁸, და რაც კიდევ უფრო საკვირველია, ავტორის აზრით, ახალი იეროგლიფების ნაკითხვის პარალელურად აღფაეიტი კიდევ უნდა გაზრდილიყო. განვიხილოთ ცხრილი (სურ. 37)²⁹.

თავად მკითხველმა განსაჯოს, თუკი ნიშანი  არის ასო P, რაღაში დასჭირდებოდა ეგვიპტელს კიდევ 22 ნიშანი იგივე ასოს გამოსახატავად. შამპოლიონს სჭირდებოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო... მაგრამ ეგვიპტელს რაში უნდა დასჭირებოდა, ესაა უცნაური?... შამპოლიონის აზრით დიდი აღფაეიტები - „შეიძლება საკვირველი იყოს, აღფაეიტური ნერის თანამედროვე წარმოდგენისთვის“³⁰. აქედან გამომდინარე, იგი

თვლიდა, რომ ძველი ეგვიპტელებისთვის ეს მისაღები იქნებოდა. ძალ-
ზედ საინტერესო და დამაფიქრებელი გამოსავალია. ძველი ეგვიპტელები
ალარ არსებობენ, ასე რომ, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ მისაღები იქ-
ნებოდა თუ არა ძველი ეგვიპტელებისათვის აბსურდული სიდიდის ალ-
ფაბეტი?.. რაც შეეხება თანამედროვე ადამიანებს – მათ უკვირთ შამპო-
ლიონის ალფაბეტის სიდიდე, რისი სრული საფუძველიც სახეზეა.

ჰ. Π. Φ. Π. Φ				
ⲡ	ⲛ ⲟ ⲛ	Ⲡ ⲡ Ⲣ	Ⲥ ⲥ Ⲧ	Ⲫ ⲫ Ⲭ
Ⲯ ⲯ				
ⲓⲑ			Ⲛ ⲛ	
ⲓⲒ	ⲛ	ⲛ	ⲛ ⲛ	ⲛ ⲛ
Ⲡ. Ⲫ. Ⲫ.				
ⲓⲑ	ⲛ ⲛ	ⲛ ⲛ	ⲛ ⲛ ⲛ	
Ⲯ. Ⲡ(ⲛ). Ⲡ(ⲛ).				
ⲓⲑ				
ⲓⲒ				
ⲓⲓ		ⲛ ⲛ		
ⲓⲔ				
ⲓⲕ	ⲛ	ⲛ	ⲛ	
ⲓⲌ	ⲛⲛ	ⲛⲛ		
ⲓⲍ	ⲛⲛ	ⲛⲛ		
ⲓⲎ	ⲛⲛ			
ⲓⲏ	ⲟ ⲟ	ⲟ	ⲟ ⲟ	

სურ. 37.

შამპოლიონის შემდგომ წლებში მოღვაწეობდნენ მეცნიერები:

გ. კლასროტი, გ. ზეიფარტი, ი. ა. გულიანოვი. ისინი კვლავ რჩებოდნენ იეროგლიფების სიმბოლური კითხვის მეთოდის მომხრენი.

შამპოლიონის საქმის გამგრძელებელი გამოდგა არა მისი რომელიმე მოწაფე ან თანამემამულე, არამედ გერმანელი ლინგვისტი, არქეოლოგი და ეგვიპტოლოგი რიპარდ ლესიუსი. მან მიიღო შამპოლიონისეული ყველა ძირითადი იდეა. მაგრამ მას თავისებურად ესმოდა იდეოგრაფიკულ ფონეტიკური სისტემის შიდა ორგანიზაციული ფორმა. ზოგიერთმა თანამედროვე ეგვიპტოლოგმა ლესიუსის ნაშრომი შამპოლიონთან შედარებით უკან გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია, ეინაიდან ლესიუსი თვლიდა, რომ იეროგლიფებში უმეტესობა არის იდეოგრაფიკული, სიმბოლური ნიშნები და მცირედი ფონეტიკური. შამპოლიონი კი საპირისპიროს ამტკიცებდა. მოვიყვანოთ ლესიუსის ხელნაწერის ციტირება¹⁷:

„იეროგლიფური დამწერლობა ყველა დროში სიმბოლური იყო, რომელშიც ყოველი ნიშანი იძლევა მთლიან იდეას და მის შესაბამის სიტყვას. მართალია, უძველესი დროიდან ჩვენ ეპოქაობით იეროგლიფებში სუფთა ფონეტიკური ნიშნის, შერეულს სხვა ნიშნებს შორის, მაგრამ მათ გეორეზარისხოვანი ხასიათი გააჩნიათ. მათ არ ევალებოდათ იეროგლიფური ნიშნების გამოთქვება, არამედ მხოლოდ მიანიშნებდნენ მომავალი სიტყვის მნიშვნელობას, ფონეტიკური ნიშნები ასევე გამოიყენებოდა სახელების დასაწერად“.

თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ლესიუსი შამპოლიონის იდეის გამაგრებლებლადაა დასახელებული, მაგრამ როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, იგი უფრო სიმბოლური დამწერლობისადმი იჩენს სიმპატიას.

რა დაუშავა „თხამ“ კლასიკოს ეგვიპტოლოგებს


შერეული ფონეტიკურ-სიმბოლური მეთოდის გამგრძელებლად და დამაგვირგვინებლად ითვლება გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ადოლფ ერმანი (1854-1937 წ.წ.) მან მეცნიერებაში კლასიკოსი ეგვიპტოლოგის სახელი დაიმკვიდრა. ერმანმა შეამკორა ერთგვარად ალფაბეტის ნიშნების რიცხ

ხვი, ხოლო მისი ორბმომავანი ალფაბეტური ნიშნები 2 ასუფლს აღემატება. კლასიკოსი ეგვიპტოლოგები თვლიდნენ, რომ არსებობდა სამი სხვადასხვა ხასიათის იეროგლიფური ნიშნები: სიტყვიერი მნიშვნელობის – მცირე რაოდენობით; ფონეტიკური მნიშვნელობის – უმეტესი; მუნჯური.


ამ უკანასკნელს, როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერებმა მიმანიშნებლები ანუ დეტერმინატივები შეარქვეს, რომლებიც არ გამოითქმება, არამედ მხოლოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ წინა იეროგლიფებში დეტერმინატივის სიტყვიერი მნიშვნელობაა ჩანერილი. სწორედ ე. წ. დეტერმინატივებზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. მაგრამ სანამ უშუალოდ აღვნიშნული ავტორების მიერ შემოთავაზებულ დეტერმინატივებზე გავერძობით, მინდა გავცნოთ კლასიკოს ეგვიპტოლოგთა აზრს იეროგლიფების სიტყვიერ და ფონეტიკურ ნიშნებზე. გაგაცნობთ რამდენიმე ცხრილს, რომელსაც გვთავაზობს ი. ფრიდრიხი¹².



სურ. 38. ეგვიპტური ნიშნები სიტყვებისათვის, რომლებიც აღნიშნავენ კონკრეტულ ცოცხალ არსებებს და ხაგნებს (იენსენის მიხედვით)



სურ. 39. ნახატები, რომლებიც აღნიშნავენ გრანობიდი აღთქმით გაგების და ქმედებას (იენსენის და ერმანის მიხედვით).



სურ. 40. ორბმომავანი ფონეტიკური ნიშნების ნაწილი (ერმანის მიხედვით).



სურ. 41. ერთხმოვანი ნიშნები ეგვიპტურ დამწერლობაში
 ფრეანოდებული „ალფაბეტი“ (გრმანის მიხედვით).

როგორც ხედავთ, აღნიშნულ იეროგლიფებში არ არის ნიშნები, რომლებიც ხმოვან ბგერებს გამოხატავენ, ვინაიდან აღნიშნულ მეცნიერთა აზრით, ეგვიპტელებს არ ჰქონდათ ხმოვანთა აღნიშნული ნიშნები და ხმოვან ბგერებს გულისხმობდნენ და გამოთქვამდნენ თანხმოვნებს შორის საქაროებისა და მიხედვით. ასეთი მიდგომა ძალზე დიდ სირთულეებს ბადებს მკითხველისათვის. ვინაიდან ორი თანხმოვანი ბგერისგან შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა სიტყვის მიღება. როგორ უნდა გაარჩიოს მკითხველმა, რომელი სიტყვა იგულისხმა დამწერმა. ი. ფრიდრიხს აღნიშნულ ნიგნში თავად მოჰყავს ასეთი მაგალითები.

„მაგალითად როგორ გავარჩიოთ სიტყვა „იხ“ (თხა) და „იჰ“ (წყურვილი). თუ კი მათ ერთი და იგივე ფიგურული ნიშნებით გამოსახავდნენ“.

იეროგლიფებით ეს მაგალითი ასე გამოიყურება:

იხ - „თხა“

 იჰ - „წყურვილი“.

როგორც ხედავთ, ერთობ რთულია ორი ერთი და იგივე ფიგურის შემხედვარე მიხედვ. რომელი სიტყვა იგულისხმა დამწერმა „თხა“ თუ

„წყურვილი“. ფრიდრიხი აქვე გვაცხადებს განმარტებას, რომელიც, რა თქმა უნდა, კლასიკოსი ეგვიპტოლოგების მოგონებას ეკუთვნის.

„იძისათვის, რომ გავარჩიოთ სიტყვები, რომლებიც გრაფიკულად ემთხვევა ერთმანეთს, ნარმატივულად იყენებდნენ სიტყვის ბოლოში მუნჯ ნიშნს, ამ მუნჯ გამრჩევ ნიშნებს დეტერმინატივებს ეძახით“.

𐎏𐎎𐎍 - „თხა“ 𐎏𐎎𐎍𐎎 - „წყურვილი“

ჩვენ მივადექით ქვეთავის გმირს „თხა“-ს. ჩემი აზრით, აღნიშნული დეტერმინატივის შემოღება არ ექვემდებარება არანაირ ლოგიკას. ვინაიდან, თანამედროვე სისტემათა შესვეურნი თავად მოგვითხრობენ, რომ ეგვიპტელებს აქონდათ იეროგლიფები, რომელთა ნაცვლადაც ისინი გამოთქვამდნენ ნარმოდგენილი ფიგურის პირდაპირ სიტყვით მნიშვნელობას. მაგალითად, 𐎏𐎎 - ჟირაფი (იხ. სურათი 38, გვ. 107). მაშინ, რატომ არ შეეძლოთ „თხის“ დახატვა და ასე უბრალოდ სიტყვა „თხის“ ნარმოთქმარითი ფობია „ჟირაფი“ „თხას“? ლოგიკურია კითხვა: რა დაუშავა კლასიკოს ეგვიპტოლოგებს „თხამ“?

„ჟირაფისაგან“ განსხვავებით თურმე სიტყვა „თხის“ ჩასაწერად ეგვიპტელები ხატავდნენ მცენარის ფიგურას, რომელიც ყოფილა ასო - 𐎏. შემდეგ ხატავდნენ ფეხს, რომელიც ყოფილა ასო - 𐎎 და ასე სურდათ გამოეხატათ სიტყვა „თხა“.

მოუხედავად ეგვიპტელი მწერლის დიდი ძალისხმევით, თურმე მკითხველისათვის მაინც გაუგებარი რჩება ჩანეროლი სიტყვის არსი, ვინაიდან ამ ნიშნებით თურმე სხვა სიტყვაც შეიძლება იყოს ნარმოთქმული. პრობლემა დიდია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეგვიპტელი მწერალი ხვდება მკითხველის გასაჭირს და რათა მცენარის ფიგურის და ფეხის შემხედვარე მკითხველი ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, რომ მის ნინაშეა სიტყვა - „თხა“, ორი ფიგურის ბოლოს თავად „თხას“ ხატავს.

არ უცხი თქვენი, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ მე გაკვირვებული ვარ. თუკი თხის დახატვა მაინც მიწევს, რა საჭიროა მცენარის ფიგურა და ფეხი?..

პირდაპირ თხა რომ დავხატო, ვინ იტყვის რომ ეს სიტყვა - „წყურვილია“?

ამით ხომ თავიდან აიცილებდნენ ეკიპტელები „თხის“ და „წყურულის“ სიტყვების ერთმანეთში არევას!..

რატომ გვთავაზობენ წერის მეთოდის ასეთ გართულებას „ახლები“? მოდით, განვიხილოთ რა ევოლუცია განიცადა დამწერლობამ.

პირველი საფეხური – პიკტოგრაფია ანუ ნახატებით დამწერლობა, სადაც დაბატული ფიგურის ნაცვლად მისი პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვას ვიღებთ. მაგ., თხა.



შემდეგი საფეხურები იყო: იდეოგრაფიკული, სიმბოლური, სილაბური და ა. შ. შევადაროთ დამწერლობის პირველი და ბოლო საფეხურები ერთმანეთს.

პირველი საფეხური – ტლანტი დამწერლობაა, რომლითაც რამდენიმე ათეული ან ასეული სიტყვის ჩანერა იყო შესაძლებელი.

დღეისათვის ანუ ბოლო საფეხურზე კი ჩვენ მივიღეთ დამწერლობის უნივერსალური ანბანური ფორმა, რომლის ლექსიკონი ათიათასობით სიტყვის ჩანერის საშუალებას იძლევა.

დამწერლობის ეს ევოლუცია რამდენიმე ათასი წელი მიმდინარეობდა პირველყოფილი ტლანტი დამწერლობიდან – უნივერსალურისაკენ.

XIX საუკუნეში აღმოჩენილი იეროგლიფების თანამედროვე წერის მეთოდი კი დამწერლობის განვითარების უკუევოლუციას გვთავაზობს. კერძოდ:

სიტყვა „თხის“ პირდაპირი მნიშვნელობით ჩანერა პირველ საფეხურზე მდგომი დამწერლობით, ტოვებს გაცილებით უფრო უნივერსალურ შთაბეჭდილებას, ვიდრე შემდგომ საფეხურზე მდგომი, სიმბოლურ-ფონეტიკური წერის მეთოდი. რომელიც საშველს ისევ დაბალი საფეხურის დამწერლობაში პოულობს, იყენებს რა „თხის“ ფიგურას იმის მისაღწევად, რომ როგორმე არ აგვერიოს სიტყვა „თხა“ სიტყვაში – „წყურვილი“. წინა საფეხურთან შედარებით ერთი ფიგურის მაგივრად იხატება სამი მხატვრული სახე. ასეთი დამწერლობა პირველთან შედარებით გაცილებით რთული, ტლანტი და მოუქნელია.

ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნული დამწერლობის ევოლუციის გზას „ტლანტიდან – უნივერსალურისაკენ“. და, პირიქით, უკუმაძრავობას გვთავაზობს – „უნივერსალურიდან ტლანტისაკენ“. ასეთი უკუგანვითარებით რომ ევლო დამწერლობას, დროთა გან-

მავლობაში შესაძლოა სიტყვა „თხის“ ჩანერის საშუალება საერთოდ გამ-
ქრალიყო და განვითარების არა უმაღლეს, არამედ 0 ეტაპზე აღმოჩენი-
ლიყო, როდესაც დამწერლობა საერთოდ არ არსებობდა.

რა დაგვიშავა „კურდღელმა“ და „თხამ“ არ ეცვი...

რა დაუშავეს „კლასიკოს ეგვიპტოლოგებს“ მომავალმა თაობებმა,
რომლებიც ამ სიცრუეს სწავლობენ? ეს კი დამაფიქრებელია...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი მეთოდით გარჩეულ იეროგლიფ-
ში Δ პირამიდის ფიგურა იგივე დეტერმინატივის ანუ მიმანიშნებლის
ფუნქციას ატარებს, სწორედ იხუთს, როგორსაც „თხა“ ატარებდა წინამ-
დებარე იეროგლიფში. როგორც ვიცით, ახალი მეთოდის მიხედვით ეგ-
ვიპტელები მხოლოდ თანხმოვნებს წერდნენ, ხოლო ხმოვნებს გულის-
ხმობდნენ. „ახლებმა“ აღნიშნულ იეროგლიფს მიანიჭეს ორი თანხმოვანი
ასოს მნიშვნელობა – „მ“, „რ“. დანარჩენი ხმოვნები თურმე უნდა ეიგუ-
ლისხმით, რომ სიტყვის შინაარსი ბოლომდე გახდეს ცნობილი.

უცნაურია, თუ „ახლებმა“ გაშიფრეს ეს იეროგლიფი, მე რატომ უნდა
ეიგულისხმო დარჩენილი ასოები?.. ეს რაღაც ნახევარფაბრიკატული
მიდგომა ჩემთვის გაუგებარია...

მოდით, ერთი ნაბიჯით დავეყუთ მათ აზროვნებას და „მ“ „რ“ თანხმო-
ვნების – თავში, ბოლოში და შუაში ეიგულისხმით ხმოვანი ასოები: „მ-
რი“, „ომარი“, „მური“, „მარი“, „ომორი“, „მური“, „მარი“ ... როგორც
ქართულში, ასევე ნებისმიერ სხვა ენაში „მ“ „რ“ გამოყენებით შეიძლება
ბევრი სხვადასხვა სიტყვის მიღება. ასევე იწებოდა ეგვიპტურშიც. რო-
გორ უნდა მიმხედარიყო ეგვიპტელი მკითხველი, რომელ სიტყვას გუ-
ლისხმობდა დამწერი. აქ ალბათ შეგვახსენებენ, რომ სწორედ ასეთი გაუ-
გებრობის თავიდან ასაცილებლადაა „დეტერმინატივი“ Δ მიხატული. ამ
აზრს, ისევ უპირისპირდება „თხის“ გარშემო მოყვანილ კითხვათა კორიან-
ტელი – რაში მჭირდება, ტორნადოს ფაზის, ჩიტების, თვალსანიერის
ფიგურათა დახატვა, თუკი პირამიდის დახატვის გარეშე მე მაინც ვერ
მიქვდები, რომ ეს ყველაფერი სიტყვა „პირამიდაა“?!

იეროგლიფთა დეშიფრირების 100 წლისთავთან დაკავშირებით ერ-
მანმა განაცხადა²²:

„ის, რაც შემოლოინმა დატოვა თავისი ნაადრევი სიკ-
ვდილის შემდეგ, ვერ არ წარმოადგენდა კარგად ორგანიზუ-
ბულ სწავლებას. მას გენიალურად ესმოდა სიტყვები და

წინადადებები, მაგრამ დაშწერლობის სისტემა, რომლითაც იგი კითხულობდა, მას არასდროს არ წარმოუდგინა სწორად”.

როგორც ზედათ, შამპოლიონის მეთოდის მიმართ მისივე მიმდევრები მეტად კრიტიკულად არიან განწყობილნი, რაც ჩემი აზრით, ეჭვქვეშ აყენებს ახალი მეთოდის ქეშმარიტებას. მოუხედავად ყველაფროსა, დღემდე მეცნიერები აღიარებენ იეროგლიფთა კითხვის შერეულ ფონეტიკურ-სიმბოლურ მეთოდს, რომელსაც სათავე შამპოლიონმა დაუდო.

„ახლებს“ აერთიანებთ ერთი რამ, ისინი უარყოფენ ძველევგვიპტურ სიმბოლურ კითხვის მეთოდს, რითაც ეჭვქვეშ აყენებენ უძველეს მეცნიერთა ცოდნას. გავეცნოთ ი. ფრიდრიხის ერთ-ერთ მოსაზრებას³¹:

„კლასიკური სიძველეების ეპოქაში, ეგვიპტური დაშწერლობის შესწავლაზე დიდად არც ზრუნავდნენ. ეს აიხსნება იმით, რომ იმ დროის ადამიანებს ასეთი ინტერესი არ უჩნდებოდათ, ამას ერთვოდა ის გარემოება, რომ ძველ ეპოქაში არსებობდა გაბატონებული აზრი — ეგვიპტური დაშწერლობა არ შეიძლება ყოფილიყო ისეთი, როგორცაა ყველა სხვა დაშწერლობა, იეროგლიფები ინახავს ფილოსოფოს მოგვთა საიდუმლო სიბრძნეებს და ხელმისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც ნაზიარებია ამ მაგიურ საიდუმლოებებს. ასეთი აზრია გადმოცემული ნიგნში „იეროგლიფიკა“ ვინმე პიროპოლონის მიერ. ბერძნულ ენაზე დანერილ ამ ნიგნში არსებულმა სწავლებამ სიმბოლური მეთოდის შესახებ ახალ ეპოქამდეც კი მოაღწია და მრავალი წელი ეს დაშწერლობა კვლავ ბრძნთა საიდუმლო დაშწერლობად აღიქმებოდა“.

ჩემი აზრით, თანამედროვე მეთოდის მიმდევართა ისტორიის მიმართ ამდაგვარი დამოკიდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ ვერ იპოვეს თავიანთი მეთოდისათვის საჭირო ისტორიული საფუძველი იმ მარტივი მიზეზით, რომ ისტორიაში ასეთი მეთოდი არ არსებობდა... და ბი საშაგიერო რეაქცია... მათი აზრით, თურმე ზედა ეგვიპტის მკვიდრი — „ვინმე პიროპოლონი“ არარსებული სიმბოლური მეთოდით „არარსებულ“ საიდუმლოებებზე გვესაუბრება. და არა მარტო „ვინმე პი-

როპოლონი“, არამედ „ვინმეები“ – „დეადორი“, „ტაკოტი“, „კლოტინი“, „დიონ კასი“, „ამიან მარცელონი“ და სხვ.

იუროგლიფებისგან განსხვავებით, კლასიკოს ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა ხელნაწერების ნაკითხვა თავისუფლად შესაძლებელი, მაგრამ ნაკითხვის გარდა, საჭიროა ამ ხელნაწერებში ჩადებული ინფორმაციის სწორი გათვითცნობიერება.

გაეარჩიოთ ფრიდრიხის ნიგნიდან ამონერილი ზემოთ მოყვანილი აზრი: „ის, ვინც არ არის ნაზიარები მაგიურ საიდუმლოს, ვერ ნაკითხავს იუროგლიფებს“.

დამწერლობის შექმნამდე არსებობდა ინფორმაცია, რომლის ჩანერის საჭიროებამ დაბადა თავად დამწერლობა. ეს ინფორმაცია, შესაძლოა, უკვე მოიცავდა ბუნების აღწერილობას, ბუნებაზე დაკვირვების საფუძველზე კი დაიბადა სხვადასხვა მეცნიერება. მაგ.: ქიმია, ასტრონომია, მეტეოროლოგია და ა. შ. შესაბამისად, არსებობდნენ ამ სპეციალობის ადამიანებიც, რომლებსაც იუროგლიფების შექმნა თავის სპეციალობებში არსებული ინფორმაციის ხელნაწერით დაფიქსირების საშუალებას მოსცემდა. ანუ ამ ადამიანთათვის იუროგლიფური დამწერლობა იქნებოდა „საშუალება“ ინფორმაციის ფიქსაციისა და არა სპეციალობა, ისევე, როგორც დღეს ქიმიკოსი არ გახლავთ ფილოლოგი ან ენათმეცნიერი, ხოლო დამწერლობის ცოდნა მას ეხმარება ქიმიური ინფორმაციის დაფიქსირებაში. არც ენათმეცნიერები არ არიან ქიმიკოსები. ამიტომ, ისინი ვერ შეძლებენ ქიმიკოსის მიერ გაკეთებული ქიმიური ტექნოლოგიური პროცესის ამსახველი ხელნაწერების გარჩევას, სადაც, როგორც წესი, მრავლად არის გამოყენებული ქიმიკოსების მიერ ქიმიური ელემენტების აღწერისათვის შექმნილი „ნიშნები“. ენათმეცნიერები ვერ გაარჩევენ ამ ხელნაწერებს ერთი მიზეზის გამო, ვინაიდან ისინი არ არიან „ნაზიარები“ ქიმიკოსის სპეციალობას. აქ ჩვენ ვახსენეთ სიტყვა „ნაზიარები“. სწორედ ის სიტყვა, რომლის განხილვაც გვაქვს განზრახული. ჩემი აზრით, ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა მიერ დატოვებული ეს ინფორმაცია: „ის ადამიანი, ვინც არ არის ნაზიარები მაგიურ საიდუმლოებას, ვერ ნაკითხავს იუროგლიფებს“, იგივე აზრის მატარებელია, რაც ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამი: „ის ადამიანი, რომელიც არ არის ნაზიარები ქიმიის სპეციალობას, ვერ ნაკითხავს ქიმიკოსის მიერ შექმნილ ხელნაწერებს“. აქ სხვაობა მხოლოდ ტერმინებშია, რაც განვლილი 2000 წლის მანძილზე ლექსიკონების შედმივი ცვლილებებით არხსნება.

ნარმოციდგინოთ, ხეოფსის ეპოქაში მცხოვრები ქიმიკოსი. მის მიერ გაკეთებული რაიმე აღმოჩენის გაკეთებისთანავე დაიბადებოდა ამ ტექნოლოგიური პროცესის დაფიქსირების აუცილებლობა. ქიმიკოსი შექმნიდა იეროგლიფურ ნიშნებს, რომლებითაც სიმბოლურად გამოსახავდა ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილე ქიმიური ელემენტებს. იგი აუბსნიდა და გადასცემდა ქიმიასთან „ნაზიარებ“ ადამიანებს აღნიშნულ იეროგლიფთა სიმბოლურ მნიშვნელობებს. ხოლო ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ „ნაზიარები“ ქიმიას და შესაბამის იეროგლიფთა მნიშვნელობებს, ვერასოდეს ვერ ნაკითხავდნენ ამ ხელნაწერებს. ეს სრულიად ლოგიკურია. ჩემი აზრით, სწორედ ამას ნერინ კლასიკოსი ისტორიკოსები და ფილოსოფოსები. ამ ანალიზის მიხედვით ზემოთ აღნიშნული „კლასიკოსის ისტორიკოსთა“ ტექსტი აბსოლუტურად სწორი ინფორმაციის წყაროა. ამის ბრწყინვალე დამადასტურებელი ფაქტია შემდეგი მაგალითი. ეგვიპტელი მეტეოროლოგის მიერ გაკეთებული ჩანაწერი $\nabla \Delta \Delta$ ვერ ნაკითხეს მეტეოროლოგიას არ „ნაზიარებმა“: შამპოლიონმა, ერმანმა, ფრიდრიხმა... უნაიდან, აღნიშნული იეროგლიფის ნასაკითხად საჭირო იყო შემდეგი ცოდნა:

როგორ იხატება ტორნადოს ფაზა - ∇ ;

რა თვისებების მატარებელია ტორნადო? - აქვს „ცაში ატაცების“ უნარი;

რა უწყობს ხელს ტორნადოს წარმოშობას? - ტემპერატურის არათანაბარი განაწილება;

რა პეწნის ტემპერატურის არათანაბარ განაწილებას? - კლდე ან ხელოვნური კლდე-პირამიდა.

სიმბოლური მეთოდით ჩვენს მიერ ნაკითხულმა იეროგლიფმა მოგვცა ტემპერატურის არათანაბარი განაწილების შედეგად კლიმატში მიმდინარე მეტეოროლოგიურ პროცესთა შინაარსი. ასეთი პროცესების ცოდნას შესაძლოა ძველ ეგვიპტეში საიდუმლოთა ცოდნას ეძახდნენ და მათი კითხვა, რა თქმაუნდა, საიდუმლოსთან ნაზიარებ ადამიანს შეეძლო. ბუნებრივია, ეგვიპტელი მეტეოროლოგის მიერ გაკეთებული იეროგლიფური ჩანაწერის ნაკითხვის მეტი შანსი ეწებოდა მეტეოროლოგიას, თუნდაც მკორედ „ნაზიარებ“ ადამიანს.

ჩემი აზრით, არამც თუ მრავალი წლის შემდეგ მაგალითად ქიმიასთან არ ნაზიარები ადამიანი ვერ ნაკითხავს ხეოფსის ეპოქაში მცხოვრები ქიმიკოსის იეროგლიფურ ჩანაწერს, არამედ ხეოფსის ეპოქაშივე მცხოვრებ

ადამიანს ქიმიაში გაუთვითცნობიერებულს, დიდად გაუჭირდებოდა ასეთი ტექსტის სრული შინაარსის აღქმა. თუმცა შეიძლება იგი იეროგლიფთა გადამწერის სპეციალობისა ყოფილიყო. ამას შემდეგი ახსნა აქვს: ისევე როგორც დღეს, ასევე მაშინაც იქნებოდა სხვაობა „მეცნიერსა“ და „გადამწერს“ შორის. დღეს ქიმიკოსი მეცნიერი აძლევს ხელნაწერს მბეჭდავს ანუ გადამწერს, გადამწერი ზუსტად გადაბეჭდავს ხელნაწერს, თუმც მის არსზე წარმოადგენაც არ ექნება. ასევე ძველ ეგვიპტეში, ვთქვათ 70 წლის ქიმიკოს მეცნიერს არც ექნებოდა იმის ფიზიკური შესაძლებლობა, თავის მიერ შექმნილი ქიმიური ტექნოლოგიური პროცესის აღწერილობა რომელიმე მაღალ ობელისკზე ჩაქუჩით ამოეტვიფრა. ამისათვის ალბათ არსებობდნენ „გადამწერი“ სპეციალისტები, რომლებსაც მოსცემდა ქიმიკოსი პაპირუსზე დაწერილ იეროგლიფთა ჩანაწერს და იგი პატიოსნად გადამწერდა იეროგლიფებს ქვაზე, თუმცა მის შინაარსზე ღრმა ცოდნა, შესაძლოა, არც მქონოდა. რა თქმა უნდა, ეგვიპტელ ბრძენთა მიერ შედგენილი ტექსტების გვერდიგვერდ იქნებოდა სტანდარტული ტექსტების შინაარსის მატარებელი იეროგლიფებიც, ისეთები, როგორიც შეიძლება ყოფილიყო ფარაონის მიერ გამოცემული რაიმე დეკრეტი, მიმართვა მოსახლეობისადმი და სხვ. აღნიშნული მსჯელობით, შესაძლოა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: მართებულია თუ არა ახ. წ. აღ. IV საუკუნეში ეგვიპტეში შექმნილ ნიგნს Hieroglyphica მოეთხოვოთ ყველა იეროგლიფზე ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია?

რა თქმა უნდა, არა. IV საუკუნისთვის 3000-წლოვანი იეროგლიფური დამწერლობა ითვლის თავის არსებობის ბოლო წლებს. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნიგნის შექმნამდე დაახლოებით 800 წლით ადრე ეგვიპტური ცივილიზაცია დაიშალა. მას მერე იქ დამპყრობლები ბატონობდნენ. გამომდინარე აქედან, ჩემი აზრით, ახ. წ. აღ. IV საუკუნისათვის ეგვიპტეში შემორჩენილი იქნებოდნენ უმეტესწილად გადამწერის დონის სპეციალისტები, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ სტანდარტული ტექსტების კითხვის მეტნაკლები მცოდნენი. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს თავად ზემოთ აღნიშნული ეგვიპტური სახელმძღვანელო, რომელიც შედგება ორი ნიგნისაგან. პირველი ნიგნი წარმოადგენილია სამოცდაათი თავისაგან, მეორე ას ცხრამეტი თავისაგან. თითოეულ თავში უმეტესწილად ერთ ან ორ იეროგლიფზეა საუბარი. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, ავტორი აღნიშნულ ნიგნში არ აცხადებს პრეტენზიას ყველა იეროგლიფის ცოდნაზე (არსებობს

დაახლოებით 800 იუროგლიფი). ეგვიპტეში მცხოვრები იმპოტების დონის ბრძენები უმეტესწილად იქნებოდნენ იმ ეპოქის შეილები, როდესაც ეგვიპტური ცივილიზაცია პყვანდა. როგორც წესი, მეცნიერება განვითარებას განიცდის ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში. ხოლო აღნიშნული წიგნის შექმნის ეპოქაში ეგვიპტე მრავალგზის დაპყრობილი გახლდათ. ეგვიპტელ ბრძენებს შესაძლოა, მიტოვებულაც პქონდათ დაპყრობილი ქვეყანა. აქედან გამომდინარე, დაეინჯებას მოუცემოდა ბრძენ-მეცნიერთა მიერ შექმნილი ცალკეულ იუროგლიფთა სიმბოლური მნიშვნელობა. რამაც საბოლოო ჯამში მეტად გაართულა იუროგლიფთა კითხვის შესაძლებლობა.

დაესვათ შემდეგი კითხვა. ვინაიდან, ზემოთ აღნიშნული წიგნი ვერ იძლევა სრულ და ამომწურავ ინფორმაციას იუროგლიფების ყველა ფიგურის შესახებ, მართებულა თუ არა წერის მეთოდის შეცვლა?... ანუ ის, რაც გააკეთეს შამპოლიონმა და მისმა მიმდევრებმა?..

რა თქმა უნდა, არა!.. ეს ხომ აბსოლუტურად სხვადასხვა პრობლემაა. შამპოლიონმა და მისმა მიმდევრებმა შეცვალეს წერის მეთოდი, განა ამით ცნობადი გახდა უცნობი ფიგურები?...

ზემოთ მე მოვახდინე სიმბოლური მეთოდით იუროგლიფების კითხვის მცდელობა. მეტნაკლები სიზუსტით, მაგრამ ჩემი აზრით განზილულ იუროგლიფთა ძირითადი შინაარსები მიღებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლური მეთოდით კითხვა შესაძლებელია, მისი შეცვლის ვერანაირ მიზეზს მე ვერ ვხედავ. ამასთან, მე არ გამოფრცხავ, რომ ჩემს მიერ ნაკითხულ იუროგლიფთა შორის იქნება ისეთი ფიგურები, რომელთაც მე არასწორი სიტყვითი მნიშვნელობა მივანიჭე. ამის გამოსასწორებლად საჭიროა გაგრძელდეს ძიება იუროგლიფთა სწორი სიმბოლური მნიშვნელობების მოსაძიებლად და არა მეთოდის შესაყველად...

რაც შეეხება წერის მეთოდს. ძველ ისტორიკოსთა უმეტესობამ ერთხმად აღნიშნა „იუროგლიფური დამწერლობა სიმბოლურია“. როგორც ხედავთ, ამ დამწერლობის ზოგადი არსი სამი სიტყვით გადმოიცემა, რაც ძნელი დასაკარგია იუროგლიფების ფიგურებისგან განსხვავებით (დაახლოებით 800), სიმრავლის გამო მათი სიმბოლური მნიშვნელობების დამახსოვრება და 5000 წლის მანძილზე დაუკარგავად და შეუცვლელად შენახვა ერთობ ძნელი ამოცანა იქნებოდა.

იუროგლიფები ძველი ცივილიზაციის შექმნილია და ჩემი აზრით, ცოცხალიზაცია უნდა გაშიფროს ის და არა ერთმა კონკრეტული სპეციალო-

ბის მქონე ადამიანმა. არ შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს პრეტენზია წაუყენოს და უთხრას – რატომ ვერ კითხულობ იეროგლიფებს? მე ასეთ პრეტენზიას არ გამოეთქვამ ახალი მეთოდის შესვეურთა მიმართ. მე ვაპროტესტებ მეთოდის შეცვლის ფაქტს, რომელიც ამბინჯებს ძველ ეგვიპტელთა დამწერლობას.

ის, რომ მეთოდის შეცვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს, ძალიან უბრალოდ აიხსნება.

ნარმოიდგინეთ სკოლის მონაფე, რომელსაც ასწავლეს:

1. ანბანის ნიშნები, რითაც ვნერთ ასოებს – ა ბ გ ...

2. შემდეგ ასწავლეს წინადადებების კითხვა – ა ი ია

3. შემდეგ ასწავლეს ყველაზე რთული – გრამატიკა

მოსწავლემ შეისწავლა მხოლოდ 15 ანბანური ნიშანი, ნაცვლად 33-ისა. შეუდგა წინადადებების კითხვას, ვერ წაიკითხა ისინი და თქვა: „ველაფერის ბრაღი უვარგისი გრამატიკაა. უნდა შეეცვალო!“

თქვენ როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველო, გრამატიკაა ამ მონაფის პრობლემა, თუ ანბანურ ნიშანთა უცოდინარობა?

საინტერესოა, რა პასუხს გაგაცემდნენ ამ კითხვაზე ფ. შამპოლიონი, ა. ერმანი და სხვ. არა მარტო მათი, არამედ მთელი ჩვენი ეპოქისათვის იეროგლიფების ცოდნა ზემოთ აღნიშნულ „მოსწავლის“ ცოდნას არ აღემატება, ვინაიდან ჩვენთვის უცნობია N-რამოდენობით ფიგურის მნიშვნელობა. ასეთ სიტუაციაში რომელ მეთოდის შეცვლაზე ლაპარაკი?..

ჩვენ იეროგლიფებში უმდაბლეს საფეხურს, ნიშანთა ცოდნას ვერ გავცდით, რომ მეთოდი უკვე შეუცვლიათ!!! და თუ ვინმე მაინც გამოთქვამს სურვილს შეიცვალოს მეთოდი, ერთ რჩევას მივცემდი – შევწინით თქვენი იეროგლიფები და თქვენივე მეთოდით წაიკითხეთ. არ შეიძლება სხვის დამწერლობაზე საკუთარი მეთოდის შექმნა. ანუ ჩაასხავთ ძველ ტკეცებში ახალ ლენოს“. ციკითხით ძველი ზღნანერები ძველი ცნობიერებით ახალი – ახლით...